


შ ი ნ ა ა რ ს ი:

- I. ასული ფარაონისა (ისტორიული რომანი) გეორგ
ებერსისა, ნაწილი პირველი. 3
- II. «მართლის-ცხოვრების» პირველ-გარდმოცემათა
წყარონი და მათი ხასიათი, წიგნი დიმ. ბაქრა-
ძისა 45
- III. სახალხო ლექსები 67
- IV. პედაგოგიური მოსაზრებანი. «არიტმეტიკა», სა-
ხელმძღვანელოდ სოფლის სასწავლებელთათვის, შედგე-
ნილი მიხეილ ზაალას-ძის ყიფიანისაგან. თბილისი 1883 წ. 69
- V. მართვით ძველებური საერო გართობა-ასპა-
რეზობანი, პეტერბურგელის სტუდენტისა. . . . 89
- VI მართული თეატრი ზამთრის სეზონი. საზოგადოების
ყურადღების მიქცევა. ანტრეპრიზა ყაყანი, მისი უსათუე-
ვლობა და უსარგებლობა განხილვა კერძობითი: 1, მოთა-
ვეობა და მართვა სცენისა. 2, აქციონები და აქტრისები.
3, რეპერტუარი. 4, პუბლიკა.—დრამატის საზოგა-
დოების მომავალი საზრუნველი საქმე. 3-სი. . . . 122
- VII მიხრწნილი (ლექსი) თ. რაფ. ერისთავისა . . . 136
- VIII შარაჩუდელი ლოთი (ლექსი) ავ. ცაგარდისა. . . 137

38

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო
ჟურნალი



19

თბილისი

ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მედიკოსის ქუჩაზე
1885

Дозволено цензурою. Тифлисъ 1 Января 1885 г.



ბანსხადებანი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში — «დროების» რედაქციაში; ქუთაისში — მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მესე ნათაძესთან; თელავში — ვანო რუსტომიძესთან; გურში — ალაფო თუთაჯთან.

ფასი გაზეთისა მთელის წლით — 9 მან., 6 თვით 5 მან.

იქვე და იმავე პირობებთან, რომელნიც ზემოთ არიან გამოცხადებულნი, მიიღება აგრეთვე ხელის-მოწერა ჟურნალს

„ივერიისაზედ“

ვინც ცალკე დაიბარებს მთელის 1885 წლით ჟურნალს «ივერიისა», უნდა გამოგზავნოს წლის ხუდრი ფული შვიდი მანათი (სოფლის მასწავლებელთათვის ხუთი მანათი) «დროების» რედაქციაში ამ ადრესით: Въ Тифлисъ въ Редакцію «Дროება» ანუ Въ Редакцію журнала «Иверія».

ვისაც უფრო ემარჯვებოდეს, შეუძლიან «დროება» და «ივერიისა» ერთის წერილით დაიბაროს და ამისთვის ხუდრი ფული 16 მანათი გამოგზავნოს «დროებისკუ» ადრესით.

რედაქცია «ივერიისა» ჭსთხრეს მათ, ვისაც წერილების და სტატიების გამო საქმე ექმნება რედაქციასთან, მიჭმართონ თვითონ რედაქტორს ყოველ-დღე დილის რვა საათიდან დილისკუ ათს საათამდე გარდა კვირის დღეებისა და უქმეებისა — ახალ ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 1.

რედაქტორი «ივერიისა» ილია ჭავჭავაძე.

გაიხსნა ხელის-მოწერა 1885 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს

„მწყემსი“

და «მწყემსი»-ს რუსულ თვიურ დაგაბეზაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელთა და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციულო მართებლობათა, გონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამტაცება შესაძლო იქნება; 2) განკრტელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო ცოდნა; 3) განკრტელოს საქართველოს სამღვდელთა და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და საღმრთოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელთა და საერო მისამსახურე პირთა ზოგიერთი საეკლესიო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოკვლეობის ასრულებებისათვის.

გაზეთი «მწყემსი» გამოვა წარსული წლების მსგავსად, რეგულარულად ერთხელ, რეგულარულად ყოველწლიურად.

რუსული დამატება «მწყემსი»-საკუ პრეზერვაციით და მიმართულებით გამოვა რეგულარულად ყოველწლიურად — თვეში ერთხელ.

«მწყემსი»-ს ფასი მთელი წლის გზავნილთა — ხუთი მანათი. ნახევარი წლის — სამი მანათი. «მწყემსი»-ს ფასი რუსული თვიური დამატებით ერთი წლისა ექვსი მანათი, ნახევარი წლისა ოთხი მანათი. ცალკე რუსული დამატების ფასი წლისა — სამი მანათი, ნახევარი წლისა ორი მანათი.

წერილები და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბეზაში, რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთის დაბეზა შეიძლება ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію «МЦКЕМСИ». (უვირიაში, «მწყემსი»-ს რედაქციაში.)

ფარაონის ასული

ისტორიული რომანი

გეორგ მბერსისა

ნაწილი პირველი.

I

ნილოსი ნაპირებიდან გადმოვარდა. თვალ-გადუწკდნელი წყალი მოეთინა არე-მარეს იქ, სადაც სხვა დროს მშენიერი ყანები და ყვავილით მოთენილი ველები იყვნენ. მხოლოდ ზღუდე შემოკლებული ქალაქები, მათი უზარ-მარადი ტაძრები და სასახლეები, სოფლების სახლის ბანები, მალაღი ბზისა და ავადიის კინწირები მოჩანდნენ წყლის ზემოდან. ზოგჯერ ხეების თოთოლი ტალღებს ეთამაშებოდნენ, ვერცხლ-ფერფლის ვერხვები კი, თავის მალა წასულის შტოებით, თითქოს ცდილობდნენ აღეკვებულ წყლისათვის თავი მოეშორებინათ. აღმოხდა ბადრი მთვარე, რომლის მკრთალი სხივები დასაკლეთის ჭრისზონტთან შეერთებულს მთა-გრებილს ეფინებოდნენ. თუთი და ლურჯი ყვავილები წყლის სივრცეზე დასცურაობდნენ. სხვა-და-სხვა ნაირი დამურები დაჭურინავდნენ ღამის დამშვიდებულს ჭაქში, რომელიც ავადიისა და იასამნის სურნელებით

იყო შეზავებული. მალაღი ხეების გინწირობებზედ გარეული მტრუ-
 დები და სხვა მთვინელები გარინდუღნი ისხდენ, ზედიკანები,
 უარყატები და წეროები ნილოსის ნაპირებზედ მდგარს
 ხეებს შეჭთვარებოდენ; ზედიკანებს თაკუთი გრძელ-ნისკარ-
 ტიანი თაკები ფრთებში ამოყუთ და ისე უძრავად ისხდენ,
 წეროები კი მალ-მალ ფრთხილადობდენ, რამწამს გაიგებდენ რი-
 სამე ხმაურობას, ან მენაკეთა სიძღერას, მაშინვე წაიგრძელებ-
 დენ გრძელს კისრებს და შეშინებულნი შორს გაიტყობოდენ.
 მთვარის სხივებზედ, რომელნიც წყლის სივრცეზედ გამკამებდენ,
 ვარგად სჩანდა, რომ ნილოსი, რომელნიც ზემო ეგვიპტის უზარ-
 მისარი ტაძრების ახლოს გაშმაგებული მარბოდდა, იქ უფრო
 მდგომარეობდა და მშვიდდებოდა, სადაც იგი რაკდენსამე ტო-
 ტად იყოფოდა და ზღვას უახლოვდებოდა.

ამ მთვარისს ღამეში 528 წლის წინად ქრისტეს დაბა-
 დებადის ნილოსის ტოტში ნაკი დასტურდა. იმის ჩარდახის
 ბანზედ ეგვიპტელი იჯდა და იქიღამ ნიჩახს უსკამდა. თვით
 ნაკში ნახეკრად გატიტვლებულნი მომსმულნი მღეროდენ და
 თავიანთ მოკალებას ასრულებდენ. ნაკის ჩარდახის ქვეშ ბალო-
 შებზედ რჩი კაცი წამოწოლოდა. ეტყობოდათ, რომ იგი-
 ნი ეგვიპტელნი არ იყვნენ. მთვარის შუქზედ მათ აღვიდად
 შეატყობდით ბერძნის ჩამომავლობას. უფროსი ძალიან მა-
 ლაღი და ღონიერი კაცი იყო, რძიმოც-და-ათის წლისა მეტი-
 სა იქნებოდა, მოსულს მხრებზედ თმები სქლად ვყარა, ტან-
 ზედა უბრალო მანტია ესხა და წყალს დაფიქრებული დასტყერო-
 და; მუცლე ამხანაგი პირველზედ რცის წლით პატარა იყო,
 უფრო შინიანი და მოყვანილი ტანისა, იგი ხან ცას შესტყე-
 როდა და ხან თავის მშვენარს ტანისამოსს, წაბლის ფერ
 თმებს და წვერს ისწორებდა.

ამ ნახევარ საათის წინად ნავი ნაუკრატისიდაში წამოვიდა. მხლელად ეს ერთი ზღვის ნაპირის ქალაქი ეკუთვნოდა ბერძნებს მაშინდელს ეგვიპტეში. ჭალაჩა და დაფიქრებულს კაცს მოგზაურობის დროს არც ერთხელ ხმა არ ამოუღია, ამხანაგმაც მას ფიქრი არ შეუშალა. როდესაც ნავი ნაპირს უახლოვდებოდა, მოუსვენარი მოგზაური წამოდგა და უთხრა თავს ამხანაგს:

— ამ საათში მივალთ დანიშნულს ადგილას, არისტომას. აგერ მარცხნივ ის მხარეული სახლი თავის ბაღით ჩემი მეგობარი ქალის როდობისის სადგური არის. ის სახლი იმისმა განსვენებულმა ქმარმა ხარაქსმა ააშენა ზე ახლა უკვლავ იმ ქალის მეგობრები და თვით მეფეც ცდილობენ ის სახლი უფრო და უფრო გაამშენიერონ. ტყუილი შრომაა! მთელი ქვეყნის საუნჯეც რომ შეჭკრიბონ იქა, იმ სახლის დამამშენებელი მაინც თვით იმის მშენიერი პატრონი იქნება.

მოხუცი ზეზე წამოდგა, სახლს თვალი გადასვლო, გაიხილა სქელი თეთრი წვერი, რომელიც ნიკაპსა და ლოყებს უფარავდა და არა ტუჩებს და ჭკითხა:

— შენ რა ძალიან აქებ, ძანეს, ამ როდობისს? როდის აქეთ მოსწონთ ათინელებს მოხუცი ქალები?

ამხანაგმა გაიღიმა და კმაყოფილებით მიუგო:

— მე მგონია, რომ ხალხს კარგად ვიცნობ და განსაკუთრებით უფრო ქალებს; კარწმუნებ, რომ მთელს ეგვიპტეში ამ მოხუცებულს ქალზედ უკეთესს არავის ვიცნობ. როდესაც ნახავ მას და იმის მშენიერს შვილის-შვილს—ქალს და მოისმენ შენს საყვარელს სიმღერებს, რომლებსაც კარგად გაწვრთნილი ტყვე ქალები იმღერებენ, უსათუოდ მადლობას გადამიხდი.

— მაინცა და მაინც, უთხრა სპარტანელმა:—მე შენ არ წა-

მოგუებოდი, თუ იმედი არა მქონოდა, რომ დედაჩემს ძრის
აქ შევხვდები.

— შენ მას ნახავ. მეც აგრეთვე იმედი მაქვს, რომ სამღუ-
რა შენზედ კარგად იმოქმედებს და გაჭყანტავს შენს ბნელს
ფიქრებს.

არისტომასმა გაიქნია თბობა და უთხრა:

— შენ, ჭკუა სუბუქ ათინელს, ადვილად გაგამხიარულებს
შენი ქვეყნის სამღერა; მაგრამ მე როდესაც ალკმანის სამღუ-
რას გავიგონებ — იგივე მემართება, რაც ღამე უძილოების
დროს: ჭმუნვარება კი არ მიმცირდება, ერთი-ორად უფრო
მიცხროვდება.

— ნუ თუ შენა გგონია, ჰკითხა ძანესმა — რომ მე ჩემი
საყვარელი ათინისაკენ არ მივისწრაფებოდე, იმ ადგილებისკენ,
სადაც მე ჩემი სიყმაწვილე გაკატარე? მართალია ჩემთვისაც
ტბილი არ არის განდევნილობაში ნაშრონი ლუკმა ზური, მაგ-
რამ იგი მანაც სასიამოვნოა ამისთანა სახლობის გაცნობის
წყალობით, და როდესაც გავიგონებ ჩემ საყვარელს ელანურს
სამღერებს, რომლებსაც ასე მშვენივრად მღერიან, მაშინ სამ-
შობლო ჩემს ოცნებას თვალ-წინ უდგება; მე ვხედავ იმის ზე-
თის-ხილის და ნადვის ჭალებს, იმის ცივს ზურმუხტის ფე-
როვან წყლებს, მის ლურჯად მოკამყამე ზღვას, მის ბრწყინ-
ვალე ქაღალტებს, თოვლიანს მთებს და მარმარილოს დაბაზებს.
ტბილი-მწუნარე ცრემლები გადმომცვივა ხოლმე, როდესაც სამ-
ღერა სწუდება და ვხედავ, რომ ეგვიპტში ვიმყოფები, ამ ცხელ-
სა და საკვირველს მხარეში, რომელსაც მე, ღმერთთა წყალო-
ბით, მალე დაკტოვებ. მაგრამ არისტომას, ნუ თუ შენ გზას
აუქცევ კოვლებს (ოპიისებს) საშუალო უდაბნოისა მხლოლოდ იმის-
თვის, რომ მათ შემდეგ შენ მოგიხდება უდაბნოებში გაკლა,

სადაც დასაჯებს წყალს ვერ იშოვნის? ნუ თუ შენ გინდა თავი მოარიდო ერთის საათის სიამოვნებას, იმისთვის, რომ შვიდი დღეები მოგეწიოს? აი ჩვენც მივედით. ეტადე განგებ მაინც გამხიარულდე, ჩემო მეგობარო, რადგანაც საკადრისი არ არის დაღონებულის სახით სხვის სახლში შესვლა.

ამ დროს ნავი მიდგა ბაღის კედელთან, რომელსაც გვერდით ნილოსი მოუდიოდა. ათინელი მკვირცხლად გადახტა ნავიდან, სპარტანელი კი დანჯად გადავიდა. არისტომასს ერთი ფეხი ხისა ქჭონდა, მაგრამ ასეთის მტკიცის ნაბიჯით მიდიოდა მკვირცხლი ძანესის გვერდით, რომ გვერდებოდა ქვეყნად ხის ფეხით დაბადებულაო.

როდობისას ბაღი სრულაოდ ყვავილებში იყო შთანთქმული და ათას ნაირი სურნელებით ფშვინავდა. წყლიდან სიმღერა და სიცილი მოისმოდა.

ეს ბაღი ეგვიპტელისგან იყო აშენებული; პირამიდების აშენებელნი ძველადვე ნაჭები მებაღეებიც იყვნენ. იგინი სუფთად აკეთებდნენ კვლებს, ხეებსა და ბუჩქებს რიგ-რიგოდ რგავდნენ, გაჭყავდათ წყლები და აშენებდნენ აუზებს, რომლებშიაც რქოს თევზებს აჩენდნენ.

ძანესი შედგა ბაღის გარების ახლოს, ყურადღებით მიიხედ-მოიხედა და ყური დაუგდო; შემდეგ თავი გაიქნია და თქვა:

— არ ვიცი ეს რასა ნიშნავს, მე არავის ხმა არ მესმის, არც სინათლეს ვხედავ, ნაკებიც გაჭჭრენ, ბაიროლს კი ქარი აფრიალებს. როდობისი უსათუოდ სხვაგან იქნება. ნუ თუ მას დაავიწყდა?...

ჟერ სიტყვა არ გაუთავებინა, რომ ვიღასიც ხმამ მას დაზარაკი გააწყვეტინა:

— რა, ქეშიკების უფროსო!

— საღამო მშვიდობისა განვიას! მიესალმა ჭანესი მომავალს მოხუცს თავის დაკრით. რას ნიშნავს ამისთანა სიჩუმე, მაშინ, როდესაც წვეულების ნიშნს დროშას ჭარი აფრიალებს? როდის აქეთა, რაც დროშა ტყუილად იწევს სტუმრებს?

— როდის აქეთა? სინამ ჰარკები ჩემს ჭაღ-ბატონს მოვარკვლად ჰყავს, დროშა უსათუოდ იმდენს სტუმრებს მოიწვევს, რამდენიც ამ სახლში დაეტევა. როდობისი შინ არ არის, მაგრამ მალე დაბრუნდება. ისეთი მუუდრო ღამე იყო, რომ მან თავის სტუმრებთან ერთად ნილოსზედ გასეირნება მოისურვა. რამ სსათის წინად, სინამ მზე არ ჩასუფიყო, იგინა ჩასხდენ ნავში და წავიდნენ. ეხლა ვახშიმი უკვე მზად არის, დიდ-ხანს აღარ დაიგვიანებენ. გეთაყვა ჭანეს, შენს მოუთმენელობას თავი დაანებე და შინ წამოძევი. როდობისი თავის დღეში არ მავატეებს, რომ შენისთანა ძვირფასი სტუმარი გაუშვას. შენც, უცხო ქვეყნელი, განაკრძო მან და მიუბრუნდა სპარტანელს: — დიდათა გთხოვთ დარჩეთ: ჩემი ჭაღბატონისთვის შენც სასიამოვნო სტუმარი იქნები, როგორც მეგობარი მისი მეგობრისა.

ორივე ბერძენი მოსამსახურეს გაჰყენენ და ერთ ხვიანის ჭვეშ დასხდენ.

არისტომასმა, როდესაც მთავრით გაბრწყინებული არქიმარე დაათვალიერა, სთქვა:

— გეთაყვა ჭანეს, გამაგებინე, ვისის წყალობით არის, რომ როდობისი, რომელიც წინად მონა იყო, ეხლა ასე მეფურადას სცხვრებს და სტუმრებსაც მეფურად ჰპატიუებს?

— მე დიდი ხანია ვიცოდი, რომ მაგას მკითხავდი, მიუგო ათინელმა: ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის, რომ, სინამ ამ ჭა-

ღის სახლში შეხვალ, გაგაცნო მისი წარსული. როდესაც ჩვენ ნილოსზედ მოვცურავდით, მე აჩაფრევი არ მინდოდა შენთვის მკამხნა. ეს ძველი მდინარე საკვირვლად ათვიქრებს გაცს. როდესაც მეც შენსავით ღამე პირველად მოვცურავდი ნილოსზედ, თვით ჩემი დაუყენებელი ენაც კი სალაპარაკოდ არ იძროდა.

— გმადლობთ, მიუგო სპარტანელმა: — როდესაც კრიტიზედ პირველად ვნახე ას ორმოც-და-ათი წლის ვნოსელი ქურუმი კვიმენიდი, იმისმა მოხუცებულებამ რაღაც საკვირველი შიში მაგრძნობინა; რამდენად უფრო მოხუცია და წმინდა ეს უდიდესი მდინარე „ეგვიპტოსია“! ვინ არ დაემოწმებოდა ამ მდინარის მომხიბლელს ძაღას? გთხოვთ როდობისზედ მიაშობთ რამე.

— როდობისი, დაიწყო ძანესმა: — როდესაც ჯერ ისევ ბავშვი იყო და სხვა ყმაწვილებთან ერთად ძრავიას ნაპირზედ თამაშობდა, თინაკიელმა მეგობრებმა მოიპარეს და სამოსში წაიყვანეს, სადაც იგი ვაჭარმა იადმონმა იყიდა. ქალი დღითიდღე ლამაზდებოდა, თან-და-თან მიმზიდველობა და გონიერება ემატებოდა, ასე რომ ვინც კი იცნობდა ყველას აკვირებდა და უყვარდებოდა.

მხეცების ზღაპრების მთქმელი ეზოში, რომელიც იმავე დროს იადმონს მონათ ჰყავდა, განსაკუთრებით უფრო აღტაცებულნი იყვნენ ბავშვის სილამაზით და ჭკუით. იგი ბავშვს ყოველდღის ასწავლიდა და ისე ზრუნავდა მასზედ, როგორც პედაგოგი, რომელიც ათინულებს ბავშვებისთვის ჰყავთ. კეთილმას მასწავლებელმა იშოვა ბეჭითი და ძაღვიან გონიერი მოწათე, პატარა მონა უფრო კარგად ლაპარაკობდა, მღეროდა და უკრავდა საკრავს, სინამ თვით იადმონის შვილები, რომლებსაც დიდის ყურადღებით ზრდიდნენ. თოთხმეტის წლისა რომ განდა როდობისი ისე დამშვენდა და განვითარდა, რომ ეჭვიანს

დადმონის ცოლს აღარ უნდოდა იგი სახლში შეენახა და დადმონიც იძულებული შეიქმნა თავისი საყვარელი ბავშვი ქსანტუსის მიუყიდნა. ქსანტა თავის ძვირფასის საუნჯით ნაუგრატიისში წავიდა, და აქ თავის მონის მშენებლობით დიდ ფულსა შეაგროვებდა. როდესაც საში წლის განმავლობაში დიდი შეურაცხება გამოიწვია, ასე რომ ეხლა იმ დროს დიდის მწუხარებით იგონებს ხალხი.

როდესაც სილამაზის ხმა მთელს ელადში გავრდა და უცხო ქვეყნელები ნაუგრატიისში მხალხოდ იმის სანახავად მიდიოდნენ; ნაუგრატიისშივე მივიდნენ ალკიო თავის დროს უდიდესი პოეტი და ხარაქსი, საძოვს ძმა. ხარაქსმა როდესაც ნახა და ისე ძალიან შეუყვარდა, რომ დიდ-ძალი ფული მისცა ქსანტას და იყიდა იგი. საძომ თავის ჯექსებში სასაცილოდ აიგდო თავის ძმა ამ ყიდვისათვის; მაგრამ ალკიომ გამაძრთლა ხარაქსი და აღტაცებულის ჯექსებით შეაქო როდესაც.

პოეტი-ქალის საძოვს ძმა ხარაქსი, რომელსაც ნაუგრატიისში უცხო ქვეყნელები წინად არ იცნობდნენ, ეხლა როდესაც სის წყალობით, ყველასაგან ცნობილი შეიქმნა. იმის სახლში ყველა უცხო ქვეყნელები იკრიბებოდნენ და აძლევდნენ როდესაც საჩუქრებს. მუშე გოძრამ, რომელსაც ბევრი რამ გაეგონა იმის სილამაზეზედ ზ სიბრძნეზედ მიიწვია მეძვისში და უნდოდა იგი ხარაქსისაგან ყიდნა; მაგრამ ხარაქსს თავის გულში დიდი ხანია იგი მონობისაგან გაერთავისუფლებინა და ისე ძალიან უყვარდა, რომ ძნელად თუ იგი მას დასთმობდა. როდესაც აღარ უნდოდა მას განშორებოდა, თუმცა ყოველის მხრიდან დიდს დიდებას ჰპირდებოდნენ. ბოლოს ხარაქსმა განადა როდესაც თავის განონიერ ცოლად და დაჩხა ნაუგრატიისში მასთან და მის ქალ კლეოსთან იქმდის, სინამ იმ ქვეყნის მმართველმა პიტ-

ტაკმა განდევნილებს სამშობლოში დაბრუნების ნება არ მისცა.

«მაშინ ხარაქსი თავის ცოლით ლესბოში წავიდა. გზაზედ იგი აკად გახდა და მიტიღენში მისვლის შემდეგ მალე გარდაცვადა. საძოვ, რომელიც წინად დასტინოდა თავის ძმას შეუფერებელი ცოლის შერთვისათვის, ეხლა თვით გახდა გულ-მხურვალე თაყვანის მცემელი მშვენიერის ჭკრივისა და თავის მეგობარ ალკეისთან ერთად დამღერდა მის სიტურფეს.

საძოვს სიკვდილის შემდეგ რომდობისი თავის ქალით ნაუგრატისში დაბრუნდა, სადაც იგი დიდის აბით მიიღეს. ეგვიპტის ეხლანდელმა მეფემ ამასისმა დაიბურა ფარაონების ტახტი და ეჭირა იგი ჯარების შემწეობით. მისმა მოადგილე მეფემ გოძრამ უფრო მათი მოუსწრაფა დღენი თავის მეგობრას, რომ მას უყვარდა ბერძნები და უცხო ქვეყნელები, რომელნიც ეგვიპტელებს ეჯარებოდნენ, განსაკუთრებით უფრო ჭურუმები და ჯარები აუჯანყდნენ მას. ყველას ეგონა, რომ ამასისი უცხო ქვეყნელებს ეგვიპტეში აღარ შეუშვებდა, ბერძნების რჩევას ყურს აღარ უგდებდა და ჭურუმების ბრძანებას კი გაიგონებდა. ეხლა შენცა ხედავ, რომ ეგვიპტელები მეფის ამოჩხვებაში მოსტყუდნენ. ამასისმა გოძრამზე უფრო ძალიან შეიყვარა ბერძნები და საზოგადოდ უცხო ქვეყნელები. მაგრამ მე ჩემს საგანს ძალიან გადაუხვია. რომდობისი ნაუგრატისში დიდის აბით მიიღეს და ამასისმაც დიდად დაასახიუქრა იგი, რომელსაც გაიცნო. იმის ქალი კლეისიც, რომელიც ეხლა საძოვ, არ ესწრებოდა ხალხის გრებას, სასტიკ მხედველობის ქვეშ იზრდებოდა და ბოლოს გათხოვდა ერთს მდიდარს ჭოკიელს ვაჭარს ღლაუგზედ, რომელმაც მამაცად დაიჭვა თავის სამშობლო ქალაქი სპარსელებისაგან, შემდეგ გაჭყვა მას კელტის ნაპირს ახლად დაარსებულს ქალაქს მასალიაში. ყმაწვილი ცოლ-ქმარნი მალე

დაიხრცნენ იქაურის ჭკვისაგან შემდეგ იმისა, რადესაც მათ დაებადათ ქალი საძო. რადრპისი თვით გაემგზავრა დასავლეთისკენ, თავის სახლში მოიყვანა პატარა ობოლი, დიდის ყურადღებით ზრდიდა და ეხლა, რადესაც გაიზარდა, უკრძალავს მას ვაცების საზოგადოებაში ყოფნას. რადრპისი ისე ძალიანა გრძნობს თავის ყმაწვილ-ქალბის შეურაცხებას, რომ თავის შვილის-შვილი მოშორებითა ჭყავს მამრობით სქესზედ. ჩემი მუგობარა რადრპისისთვის კი საზოგადოება ისე საჭიროა, რაგორც წყალი თევზისათვის და ჭყარი მთვინველთათვის. ყველა უცხორ ქვეყნელები მასთან მოდიან, და ვინც ერთხელ იგემა მისი სტუმრის მოყვარება, იგი, თუ დრო ნებას აძლევს, არ დაიზარებს მეორედაც ესტუმროს, რაგორც კი მისაპატრიუბელს დრომას გათვრიალებულს დაინახავს. ამ სახლში ყველა ელენელი დაიარება, რადგანაც აქ ხდება თათბირი, თუ რაგორ ეწინააღმდეგონ ქურუმთა მძულვარებას და რაგორ დაითანხმონ მეფე რამელსამე განკარგულებაზედ, აქ გაიგებს ვაცი თუ რა ხდება სამშობლო მხარეში და მთელს ქვეყანაზედ; აქ ზოულაობს დევნილი თავ-შესაფარს ადგილს, რადგანაც მეფემ თავის მუგობარს ისეთი გრამატა მისცა, რომ ზოლიცისა არავითარო უფლება არა აქვს მის სახლზედ; აქ გაიგონებ სამშობლოს ენას და სიძლერას; აქ ხდება თათბირი, თუ რაგორ დაიხსნან ელადა ერთ-მთავრობისაგან, ერთი სიტყვით ეს სახლი არის წარმომადგენელი ელინთა ინტერესებისა ეკვიპტში. რამდენიმე წამის შემდეგ შენ ნახავ საკვირველს დიდებას, — და, თუ ძაღტო ჩვენ ვიქნებით, — შვილის-შვილსაც. აგერ ისინიც მოდიან! ეხლა ჩვენ სახლისაგან წავიდეთ და მოვისმინოთ, თუ მონა-ქალები რაგორა მღერაინ. აგერ იგინი შემოდიან. დაე ჯერ დასხდენ და მერე მე გამომეყო. გამომშვიდობების დროს გთხოვ მით-

ხრს ნანობ ჩემთან წამოსვლას თუ არა და რომ რაღაფისი მე-
ფეს უფრო ჭკავს, სინამ განთავისუფლებულსმონას.

რაღაფისის სახლი ბერძნულს გემოვნებაზე იყო აშენე-
ბული. სახლის გარეგანი შეხედულება უბრალო იყო, მაგრამ
შინაგანს მოწყობილებას კი უღინური სილამაზე ჰქონდა და ეგ-
ვიპტური სიბრწყინვალი. პირველი ოთახის კარები განიერი
იყო. ამ ოთახის მარცხნივ სასადილო ოთახი იმყოფებოდა,
რომლის ფანჯარებიც მდინარეს გადასტყროდნენ. ქალებისა და
კაცების ოთახები ერთი-ერთმანერთისაგან გაცალკეებულნი იყვნენ.
უკუა ოთახები ხალხითა და სხვა მდიდრული მოწყობილობით
იყვნენ მოვრთულნი; კედლებზედ სხვა-და-სხვა საკრავები ეკიდა.

ამ სახლის ერთს ოთახში რამდენიმე კაცი იდგა სხვა-
და-სხვა შეხედულებისა და სხვა-და-სხვა ნაირის ტანისამოსით
მოვრთული. სირიელი ტირიდამ გრძელა წითელ ტანისამოსანი
ერთს კაცს ელაპარაკებოდა, რომელსაც სახეზედ და ხუჭუჭ თმა-
ზედ ეტყობოდა, რომ ებრაელი იყო. იგი მოსულიყო თავის
სამშობლოდამ, რომ იუდიელთა მეფის ზოროკაკელისათვის
ეგვიპტური ცხენი და ეტილი ეყიდნა. მცირე აზიული სამი
ბერძენი, რომელთაც თავის ქაყენის მიღუთის მდიდრული განი-
რი ტანისამოსი ეცვათ, ებრაელის გვერდით იდგნენ და ელაპარ-
აკებოდნენ სადად ჩაცმულს ქალაქ დელფის ელის ძრიქს, რომ-
ელიც ეგვიპტეში მოსულიყო აზოლონის ტაძრისათვის ფუ-
ლის მოსაგროვებლად. პატიური ძველი ტაძარი ამ ათის წლის
წინად ცეცხლს გადაწვა; ეხლა სხვა უფრო დიდებული ტაძრის
აშენება განუზრახათ.

მიღუთელები, ანაქსიმანდრის და ანაქსიმენის მოწათენი,
ნილოსის ნაპირებზედ იმისთვის მოსულიყვნენ, რომ ეგვიპტური
მეცნიერება და ვარსკვლავთ-მრიცხველობა შეესწავლათ.

მესამე გემების პატრონი და მდიდარი ვაჭარი იყო, სახელად ქეოპოძე, რომელიც ნაუკრატისში დასახლებულიყო. თვით რომაების მხარეულად ელაპარაკებოდა სამოსელს ორს ბერძენს, განთქმულს ანტიტოტოსს, სკულპტორს და ოქროს ნივთების მკეთებელს თეოდორეს და ლექსთა მთხროველს რადიუმელს ივიკოსს, რომელთაც რამდენიმე კვირით დაეტოვებინათ პოლიკრატის სასახლე და მოსულიყვნენ ეგვიპტის გასაცნობად. გერის ახლოს წამოწოლილი სიბარისული ჩასუქებული ძილადი და ეთამაშებოდა თავის ხუჭუჭ თმებს და ოქროს ძეწკვს.

რომაებისს ალექსიანი სიტყვა ეკლასთვის მიხედვით ქმნდა, მაგრამ ესაა კი საკუთრივ გამორჩენილს სამოსელებს ელაპარაკებოდა ხელკენებაზე და პოეზიასზე.

რომაებისს თვალები ემაწვილობის ცეცხლით იყვნენ აღგზნებული, მაღალი ტანისა სრული და სწორი იყო, ჭაღარა თმა მშვენივრად მოყვანილს თავს უმშვენებდა. მაღალი შუბლი ბრწყინვალე დიადებით ქმნდა შემკობილი.

მისი კეთილ-შობილური ბერძნული სახე თუძცა თერმკრთალი იყო, მაგრამ მშვენიერი და შესანიშნავი იყო მით, რომ წლავანებას თავის ნიშანი ვერ დაუდო; ამ ქალის პატარა, ტურთვად მოყვანილი პირი, დიდრონი, ჩათვლებული და მშვიდი თვალები, მშვენიერი შუბლი და ცხვირი ეკლას ემაწვილის პირის სახეს დაამშვენებდა.

რომაებისს ხნიერობის კვალობაზედ უფრო ემაწვილს ჭკავდა, თუძცა თავის წლავანებას აჩას დროს არა მალავდა. უფრო მის მოძრაობაში მისი ღიბსება ინატებოდა და სიწერწეტა მისი არ იყო სიწერწეტა ემაწვილის ქალისა, რომელიც ცდილობს თავი მოაწონოს, აჩამედ სიწერწეტა ხნიერის ქა-

ღისა, რომელსაც უნდა აჯერსიანად მოიქცეს, და წადგანაც
თვით ყველას აჯერსიანად ექცევა, უნდა რომ მასაც ყველა
აჯერსიანად მოიქცეს.

ეხლა ოთახში ჩვენი ნაცნობი პირნი გამოჩნდნენ, ყვე-
ლამ მათ დაუწიეს ცხეკა და წოდესაც შევიდა ჭანესი და თან
თავის მეგობარი შეიყვანა, ყველანი მეგობრულად მიესალმნენ;
ერთმა მიჯუთულთაგანმა კიდევ დაიძახა:

— მე ვი თურმე არ ვიცოდი, ჩვენ რა გვაკლდა. ეხლა გა-
ვიგე რაშიაც არის საქმე: უჭანესოდ სრული მხარულება
შეუძლებელია.

ჭიჯოინმა ხმა მძლავრად და მშვიდობიანად სთქვა:

— მხარულება კარგი რამ არის და თუ შენ იგი თან მო-
გაქვს, მასშინ მეც შენ მოგესალმები, ათინჯო!

— მე ვი, სთქვა წოდობისმა, წოდესაც ახალ სტუმრებთან
მივიდა:—სულთ და გულთ მოგესალმებით თქვენ, თუ რომ
მხარულნი ხართ და მიგიღებთ არა ნაკლების გულ-წრთულობით,
თუ რომ მწუხარებითა ხართ დატვირთულნი; მე იმაზედ დიდად
არა შესაძლებელია-რა ხელმე, როგორც ის, წოდესაც მეგობრის
მოჭმუხვნილს შუბლს სიხარულს მოკუთენ. შენც აგრეთვე, სხარ-
ტნულა, დეგობრად გიწოდებ იმისთვის, რომ ამ სახელს
კარქმევ ყველას, ვინც ვი ჩემი მეგობრისთვის საყვარელია.

— მას ასე, მე შემოდღიან თქვენ რჩინივე გასიამოვნოთ,
ჩემო ძვირფასო. შენ, წოდობის, გექმნება შემთხვევა ნუგუში
მცე მე, შენს მეგობარს, ამისთვის რომ მალე მომიხდება შე-
ნი და შენი ლამაზი სახლის დატოვება; შენ ვი, ჭიჯოინ,
გაიხარებ ჩემის სიხარულთ, წადგანაც მე ახლა მაინც არის
ვნახავ ჩემს ულადს და ჩემს უნებურად დაუტოვებ ამ ქვეყანას,
2

რომელსაც შეიძლება თავგების რქოს მახე დაკრქვას;

— შენ მიდიხარ? შენ დაგიტხროვებს? სად გინდა წახვიდე? ვკითხვობდენ აქეთ-იქიდან.

— მოთმინება იქონიეთ, ჩემო მეგობარნო, უთხრა ჭანესმა: მე თქვენ უნდა გაამბოთ გრძელი ისტორია, რომელსაც ვახშ-მისთვის ვინახავ. ჩემო საყვარელო მეგობარო როდობის, ჩემი შიშველი ისეთივე დადია, როგორც ჩემი მწუხარება შენთან განშორების გამო.

— სიმშვილი გარგი რამ არის, იმეცნიერა ჭილიონმა:— როდესაც გარგს სადილს მიუღია.

— დამშვიდდი ჭილიონ, მიუგო როდობისმა:— მე ვუბრძანე მზარეულს, რაც შეიძლება გარგი საჭმელები მოამზადოს, რადგანაც უდიდესი გემოს გაცი, ჭილიონი, საჭმელებს სასტრიკად გაგიშინჯავს მუთქი. წადი გნაკიას და უბრძანე ვახშამი მოგვარტყან! ეხლა ხომ გამყოფილნი ხართ, მოუთმენენო სტუმარნო? რხ, ჭანეს! შენი სამწუხარო ამბით ვახშამი სრულად წამიხდინე.

ათინულმა თავი დაუგრა, ჭილიონმა კი კვლად იფიქროსო.

— დაკმაყოფილება გარგი რამ არის, როდესაც საშუალება გაქვს სურვილის ასასრულებლად. მეც აგრეთვე მადლობელი ვარ შენი, როდობის, ამისთვის, რომ პატრივი ეცა ჩემს შეუღლებულს სამშობლოს. რას ამბობს ანაკრონი?

დღევანდელ დღით ვისარგებლეთ:

ხვალ ვინ იცის რა იქნება?

ვითამბოთ და ვიმღეროთ,

დასიდი აღარ მოგვიდგება!

ეი, ივიკ! სწორედს ვსთქვი ლექსი შენის მეგობრისა, რომე-

აიცი შენთან ერთად პოლიტიკის სადილოზე მხიარულებს ხალხი? გუუბნები, რომ, თუ ანაკრონი ვარგს აქვსებსა სწერს ზ ცხორებით სტკებულდა მე იმასვედ ნაკლებ არ მიუვარს სიციცხლით დატკებობა. იგი არც ეთრს თავის აქვსში ჭამას არ აქებს და განა ჭამა ნაკლებად საჭიროა, სინამ თამაშობა ზ სიუვარული, თუძცა ეს რჩიკენი—თამაშობა და სიუვარული—ჩემთვისაც ძვირფასნი არიან? უჭმელად მე უნდა მოკმკვდაროვავ, უთამაშოდ და უსიუვარულოდ ვი შემიძლიან ცხორება, თუძცა ასეთი ცხორება ვაი-ვაგლახისა იქმნება.

ძილონიმა, გმყოფილმა თავის მახვილის სიტყვით, ძილიან გაიხარხარა; სპარტნელი ვი, ლაპარაკის დროს, დელქიელს ძიქისს მიუბრუნდა, მიიუვანა კუთხეში ზ დიდის ალექსებოთ ჭკითხა, —მოუტანა მას რჩაკულის პასუხი თუ არა. დელქიელის დაბაისლური სახე გამხიარულდა; მან ამოიღო უბილამი რაღაც გძლად დახკუული, რომელიც ეტრატსა ჭკავდა და რომელზედაც სტრიქონები იყო დაწერილი.

ღანიერსა და მამაცს სპარტნელს ხელები უკანკალებდა, სინამ დახკულ ეტრატს აიღებდა, მერე გამაჯა იგი და რკუდენსამე ხანს თვალი ვერ მოაშორა მის სტრიქონებს; შემდეგ უკმაყოფილოდ გაიქნია თავი, ეტრატი ძიქისს დაუბრუნა და უთხრა:

— ჩვენ სპარტანელები სხვა რამეებსა ვსწავლობთ და არა წერა-კითხვას. თუ შეგიძლიან წამიკითხე რას ამბობს პიქია.

დელქიელმა გადააკლო ნაწერს თვალი და მიუგო:

— გიხაროდენ! ლოკსიასმა გიწინასწარმეტყუელა შენ ბედნიერად დაბრუნება; გაიგონე რას გუუბნება ქურუმი-ქალი:

მოკა დრო და თოკლის მთებით რაზმები დიდ მდინარის ნაპირზედ გაიშლება,

სუბუქ ნაკით წყლის კიდეს მიაღებო,
დატანჯული გული დაგიმშვიდდება.

ხუთს მსაჯულსა უკვე გადრწმუნებთან
მისცენ მწიკს, რაც წინაღ არ მიუციათ.

ამ სიტყვებს სპარტანელი დიდად აკვირდებოდა. მან
სთხოვა მეორედ წაკითხა ორაკულის წინასწარმეტყველება,
მერე თვითონ გაიმეორა დასახსრებლად, ძრექსს მადლობა
გარდაუხადა და ეტრატო შეინახა.

დედობიელიც ჩაკრია საზოგადო საუბარში, სპარტანელი
კი ისევ ორაკულის წინასწარმეტყველებას იმეორებდა, რომ არ
დავიწყებოდა და ცდილობდა იმის სიტყვების აღსნას.

II

სასადილო დაჩბაზის კარები გაიღო. შესვალში ყოველის
მხრით ქერა თმიანი ლამაზი ბავშვები იდგნენ და ხელში ტი-
რიფის გვირგვინები ეჭირათ; დაჩბაზის შუა დიდი, დაბალი,
მშვენიერი სტოლი იდგა, რომელსაც გვერდებზედ ბალიშები ეწ-
ყო და სტუმრებს დასახსრებლად იწვევდნენ.

სუფრასზედ ყვავილების გონები ეწყო. შემწვრები, ჭიქები
და ბადიები, ინდიის ხურძით, ლუღით, ბრწყინულთ და ყურძ-
ნით სავსენი თათულთ სავსე ვერცხლის სკების გვერდით იდგ-
ნენ; შუა სუფრასზედ ვერცხლის სამკაული იდგა, რომელიც სა-
გურთხვეულსა ჰგავდა; იგი ტირიფისა და კარდის გვირგვინე-
ბით იყო შემოხვეული და იმის პირიდან სასიამოვნო სურნე-
ლების ბოლი ამოდიოდა.

სუფრის ბოლოზედ ვერცხლის ჭურჭელი ბრწყინავდა და

მასში იდგას აჩუქი სსსმელი, ჩინებული წაწამლები ეკვიპტის ხელფენებისა. მისი დაგრებილი ფეხები წაწამლებიდან რის ბუმბუკას, თითქოს დაღაღუღათ იმ ფიალის სიმძიმით, რომელიც მათ მოჭქონდათ. ეს ჭურჭელიც საკურთხეულისაკით ყვავილებით იყო დაბურვილი. ერთის სიტყვით, როგორც თვით სუფრას ისე მთლად დაბარვი ყვავილებით იყო მოფენილი, ხოლო თეთრად გალესილი კედლები ლამაზებით იყო მოჭედული.

როგორც კი სტუმრები სადილზედ დასხდნენ, მასშინვე მოვიდნენ ქერა თმიანი ემანუილები, რომელთაც სტუმრებს მხრები და თავები ყვავილის გვირგვინებით შეუძვეს და ფეხები ვერცხლის ტაშტში დაჭბანეს. მოსამსახურებ უკვე აიღო სტოლიდამ ერთი საჭმელთაგანი სტუმრების მისაჩთმევად, ჭილიონი კი ისევ ფეხებს აბანდა და უბრძანა მოსამსახურეს, რომ იგი მთლად ყვავილებით დაბურვით. მაგრამ, როდესაც პირველი საჭმელი მოიტანეს, მან ყოველისთვის თავი დაანება და მხოლოდ მშვენების საჭმელებით სტუმრებდა. როდობისი სუფრის თავზედ იჯდა, სასმელით სავსე ჭურჭლის ახლო და ერთსა და იმასე დროს სტუმრებსაც აქცევდა და მოსამსახურე მონებსაც განკარგულებას აძლევდა.

იგი მცირეოდენის ამხარტავებით უყურებდა თავის სტუმრებს და თითქოს ცდილობდა ყველა მათგანის გართობას. ხან დელაქიუსს ეკითხება ფულის შეგროვების შესახებ, ხან ჭილიონს ეკითხება მოსწონდა მას იმის პოკრის გაკეთებულ საჭმელი თუ არა, ხან ივიკს უგდებდა ყურს, რომელიც საუბრობდა მასზედ, რომ ჭრინის ათინელმა ისტორიულის ცხოვრებდამ გამართა წაწამლები სიმღერებითა.

შემდეგ იგი სპარტელს მიუბრუნდა და უთხრა, რომ

იგი ერთად ერთი კაცია, რომლის წინაშეც მას ბოდიშის მოხდა უნდება ანა სადილის სიმცირის გამო, ანამედ იმის სიუხვისათვის. რომდესაც იგი მეორედ მოვა, მაშინ იმის მოხსენიასი, რომელიც თავს იმით იქებს, რომ სპარტანულად სასხლის საჭმლის გაკეთება იცის (აქ ჭილჩიანი შეძრწუნდა), ნამდვილს ჯაკედემონურს სადილს მოუმზადებს.

როდესაც სტუმრებმა სადილი გაათავეს, უკვლამ კვლად ხელები დაიბანეს. შემდეგ ალაგეს ჭურჭელი, რომელიც სჭამდენ და სვამდენ, იატაკი გაწმინდეს და დაასხეს წყალღვინი. რომდისი, რომდესაც დაწმუნდა, რომ ყოველისთვის რიგზედ მიდიოდა მიუბრუნდა ჭანესს, რომელიც მიჯუთულებთან ცხარედ ბანასობდა, და უთხრა.

— გუჯითადო მეგობარო! ჩვენ ისე დიდ-ხანს შევიძაგრეთ ჩვენი მოუთქმელობა, რომ ეხლა შენ ვაღდებულად ხარ გვიამბოთუ ან უსამიკონო შემთხვევა გაიძულეს ეგვიპტისა და ჩვენი სარგადობის დატოვებას. იქნება შენ გულ-ცოვად დასტოვო ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ჩვენ კი ყოველთვის მიწხარებით მოგიგონებთ, სადგანაც ჩემთვის იმაზედ დიდი დანაკლისი ანათუ-რისა, რომდესაც დიდი ხნის მეგობრის დაკლება. ბუკრ-მა ჩვენგანმა იმდენს ხანს იცხარა ნილოსის ნაპირებზედ, რომ ანა მეგონის მათ ეგვიპტურა ჭკუა დამჯდრება ან შეუთვისებინათ. შენ იღიძებო, მაგრამ ანა მეგონის, რომ მცირედ-დაც ანის მანც ან გუნანებოდეთ, თუძცა შენი სული და გუ-ჯი დიდი ხანია უჯადისაკენ მიისწრაფებოდა. ხომ მართალს ვამბობ, ანა? მაშ გვიამბე, ან გაიძულეს შენ ეგვიპტიდამ წასვლას, რომ შეგვეძლოს მოვიფიქროთ თუ რომდეს შეიძლება შენი აქ დაჩენა.

ჭანესმა მიწხარედ გაიღიმა და უთხრა:

— გმადლობთ, რადღობის, მაგისტანს ალექსიანის სიტყვებისა და ჩემი წასვლის წინააღმდეგობისათვის. ათასი სხვა ბიჭნი დაგაჟიწყებენ ჩემს სახელს. თუმიცა დიდი ხანია ნილასის ნაპირებზედ სტახვრობ, მაგრამ თავით თუკებამდის მაინც ელანელ ქალად დარჩენილხარ, რისათვისაც ღმერთებს უნდა მადლობდე. მეც ჭკუა-დამჯდრობის მომხრე ვარ, მაგრამ ეგვიპტური უგუნურებისა კი ძტერი ვარ; არა მგონია თქვენში ისეთი კაცი მოიპოვებოდეს, რომელიც სწუხდეს იმაზედ, რომსაც თავიდაც აციალება არ შეიძლება. ეგვიპტური ჭკუა-დამჯდრობა სასარგებლოა კი არა, სავნებელია. იგინი, რომელნიც თავით მიტკვალბულებს ათასის წლებით ინახვენ და უფრო ადვილად დასთმობან უგანასკნელს ლუკმა-პურს, სინამ პაპის-პაპის ერთს ძვალს, ჭკუა-დამჯდრობად კი არა, სულალებად უნდა ითვლებოდენ. განა მე კი მიაძება იგინი დაღონებულნი ენახნ, რომელნიც მიუვარან? რასაკვირველია, არა! თქვენ უფროდღა მწუხარებით რადი უნდა მაგონებდეთ, რადგანც ეგვიპტელები, რადესაც მათ მგობარნი შერდება. თუ რად რადისმე გინდათ მომიგონეთ— რადგანაც მე ჩემს სიტყვებში ეგვიპტს ველარა ენახავ— უსათუოდ ღამილით მაგიგონეთ. ნუ იტყვით: «ახ, ჭანესმა თავი რად დამანება!» არამედ სთქვით: «ვიმხიარულეთ ისე, რადგანც ჭანესი, რადესაც იგი ჩვენ შერის იმყოფებოდა თქო!» აი თქვენ რადგან უნდა მოიქცეთ. ასე გვიბრძანა. სიმონილმაც, რადესაც იგი მღეროდეს:

ჩვენ რომ გუქონდეს ჭკუა-გონება
დიდ ხანს აღარ ვაწუხებდით;
მიტკვალბულებთ საოჯავზედა
მხალად ერთს დღეს ვიტირებდით.
ისეც ახლარა სიკვდილი,

სიცოცხლე ჩვენი წბის ჩქარად,
 იგი ისე ფუჭი არის,
 რომ არა ღირს საწუნარად.

— თუ რომ მიცვალებულბუნად ტირილი საჭირო არ არის,
 რაღა საჭირო იქნება განშორებულს მეგობრბუნად მჭმუნვარება;
 მიცვალებულნი საუკუნოდ განჭქრენ, მეგობრებს კი გამოსაღმუ-
 ბის დროს ვუბნებით ანახვამდინო!

აქ ჭილაინმა, რომელსაც დიდი ხანია მოუთმენელობა
 ეტყობოდა, ვუღარ მოითმინა და მწუნარეს ხმითა სთქვა:

— დროით ვკიამბე შენი ამბავი, შე ავო კაცო! მე ერთს
 ცვარს ღვინოსაც ვერ დავუკუ, სინამ სიკუდილბუნად საუბარს
 არ შესწუგეტამ. ჩემი სისხლი სრულად გაიყინა და უკუელ-
 თვის ავად ვხვდები, რომელსაც კი საუბარი შეეხება.... ერთის
 სიტყვით, რომელსაც ამბობენ, რომ ჩვენ საუკუნოდ არ ვიცოც-
 ხლებთ.

მთელმა საზოგადოებამ გაიტინა, ჭანესმა თავის ამბავი
 დაიწყო:

როგორც თქვენ უკვე უწყოთ, მე ვცხორებ საიხის
 ახალს სასახლეში, მუძისში კი, როგორც ბერძნის დარჯის
 უფროსს, რომელიც უკუელთვის მეტეს თან დავუკუ, საცხორ-
 რებლად სასახლის ერთი მხარე დამინიშნეს.

რადგანაც პირველი ვსამეტრისის დროდამ მეტეები საის-
 ში ცხორებენ, ამისთვის სხვა სასახლეებს უურს არავინ უგ-
 დებს ხელბე. ჩემი სადგომი უკუელისფრით კარგი იყო, თუ
 რომ ერთი ნაკლულებანება არა ჭქონოდა.

დღისით, რომელსაც მე შინ არ ვიყავ, ჩემი სადგომი
 საკმაოდ კარგი იყო, მაგრამ ღამე ძილი არას გზით არ შეიძ-
 ლებოდა; თავები და ვარ-თავები ისეთს საშინელს ფხავა-

ფხუგს ასტუბდენ ხოლო, რომ მეტი არ შეიძლება.

«მე არ ვიცოდი რა მომეგვარებინა ამისთვის, სინამ ერთ-
მა ეგვიპტელმა ჯარის-გაძმა არ მამყიდა რაი მომეგვარა დიდი
კატა, რომელთაც რამდენსამე გვირის განმავლობაში ცოტა არ
ყო მამაშორეს ჩემი მტანჯულები და მე მოსვენება შემეძლო.»

«თქვენ კარგად იცით, რომ ერთი კანონი ამ საკვირველი
ერისა, რომლის განათლებას და სიბრძნეს თქვენ უკვლახი
ძალიან აქვთ. კატებს წმინდა ცხოველებად სთვლის. ამ ბედ-
ნიერთ რთხ-ფეხთ, სხვა ცხოველებთან ერთად, ღმერთისავეთ
თაყვანსა სტემენ და იმათი მკვლელი ისევე ისჯება, როგორც
გაძის მკვლელი.»

როდესაც, რომელიც აქამდის იღიმებოდა, დაფიქრიან-
და, როდესაც გაიგო, რომ ძანესი ამისთვის უნდა გაეღებინათ,
რომ წმინდა რთხ-ფეხს უმარტებულად მოეჭურებოდა. იმან
კარგად იცოდა თუ ეგვიპტელების ამ ცრუმორწმუნებაში რამდენი
მსხვერპლი და გაძის სიცოცხლე შეიწირა. ამას წინადა ამასსხვსაც
ვერ დაესხნა გაბრაზებული ხალხისგან ერთი სამოსელი, რომ-
ელიც კატა მოეკლა.

«უკვლახური კარგად მიდიოდა, განაგრძო კვლად ძანეს-
მა:—სინამ ჩვენ ამ რის წლის წინადა შემტისილამ წამოვი-
დოდით.»

«მე ჩემი კატები სასახლის ერთს მოსამსახურეს ჩავაბარე
და ვიცოდი, რომ მომავალში იგინი თაგვების შემოსუვისაგან
დამიხსნიდენ, რისა გამეც მე მათ პატრიუსა ვცემდი.»

«წიკსულს წელს ამასისი ავად გახდა, ასე რომ შემტის-
ში გადმოსულა ვერ მოვასწავით და დაუჩინო საისში.»

«ბოლოს ამ ექვსი გვირის წინადა ჩვენ გადმოვსახლდით
პირამიდების ქალაქში. მე ჩემს მკვლას რთხებში დავდექი, სა-

დაც თაგვების სინსილაც კელაჩა ვნახე; მაგრამ თაგვების ნაც-
კლად კაცები გამრავლებულიყვნენ, რომელნიც ასევე უსიამოვნ-
ონი იყვნენ ჩემთვის, რაგორც თაგვები. მე მინდოდა იგინი
გამეყარა, მაგრამ ვერ მოვახერხე და მათი ვნაკილ-ჩხაკილი ყო-
ველს ღამეს მოსვენებას არ მძლევდენ.

ყოველს წელიწადს, ბუბსტის დღესასწაულის დღეს,
მომეტეული კატები ღვთის პახტის ტაძარში მიჭყავთ, რომელ-
საც კატის თავი ახადა; იქ მათ ყურს უგდებენ და როდესაც
ძალიან მრავალდებიან სადღაც მიჭყავთ. ქურჭებიც ხომ ეშმაკები
არაიან!

«საუბედუროდ ხსენებულს ტაძარში კატების გაგზავნა მე
ვერ მოვახერხე და მათი გაძლებაც აღარ შეიძლებოდა; რადე-
საც რამა კატამ თორმეტი გნუტი კიდევ შეიძინა. მაშინ კი
განვიზრახე ეს გნუტები მაინც არის მომეშორებინა. ჩემს
მონა მიუსს, რომელიც კატების საშინელი მტერი იყო, ვუ-
ბრძანე ახლად შექნილი გნუტები ტაძარში ჩაეყარა და ნი-
ლოსში გადაეგდო. მაგრამ ჩვენი განზრახვა სასახლის ეკვიპ-
ტელმა მოსამსახურემ გაიგო და სხვებსაც შეატყობინა.

«როდესაც მიუსი ნილოსის ნაპირზედ მივიდა და გნუტე-
ბი უნდა გადაეყარა, უცრად დაინახა, რომ იმისკენ ხალხი გარ-
ბოდა და ქვებს ესროდა.

«მიუსი მიხვდა რაც ამბავი იყო, გნუტებით სავსე ტაძარ-
ის წყალში გადააგდო და ისე დადგა ვითომ აქ არათყუროდა.
რაკდენიმე წამის შემდეგ მის გარშემო ეკვიპტელები შემოესვი-
ნენ და მათ შორის ქურჭებიც იყვნენ. ბევრი მათგანი და
მათ შორის სასახლის მოლალოტი მოსამსახურეც გადაცვიკდენ
ნილოსში და თორმეტი დამღვრჩვალ გნუტით სავსე ტაძარს
გამოიტანეს. ყველამ ისეთი საშინელი აუაღ-მაყაღი ასტეხეს,

რომ მათი ხმაურება სახლში მესმოდა. გაბრაზებული ხალხი ებგერა ჩემს საბრალო მოსამსახურეს, წააქციეს იგი, დიდ ხანს სცემეს და უსათუოდ კიდევ მოჭკლავდნენ თუ რომ ერთს ქურუმს არ ებრძანებინა, რომ იგი საპურობილეში ჩაეკლათ, რადგან მას ჩემი დაღუპვის განზრახვა ჰქონდა.

ანახუარ საათის შემდეგ მეც დამიჭირეს. ჩემმა მოსამსახურემ ჯერ ყოველისთვის თვითონ დაიბრალა, მაგრამ უმაღლესმა ქურუმმა საშინლად აწვალა და ამით ათქმევინა მას, რომ კატები ჩემს ბრძანებით დააღრჩო.

უმაღლესი სამსჯავრო მეძვისის ქურუმებისაგან შესდგობა, მათს გარდაწვევტილებას თვით მეფეც ვერ უწინააღმდეგებს; ამისათვის რეგულაც ჩემს საწყაფს მიუსს, ისე მე სიკვდილით დასჯა გადაგვიწყვიტეს. მიუსი რჩი დანამაულობისათვის დასაჯეს: წმინდა ცხოველების დანაცვისათვის და თორმეტ ჯერ კატის მძოვრით ნილასის წაბლწვისათვის, მე კიდევ იმიტომ დამსაჯეს, რომ, რეგულაც იგინი ამბობენ, დამნაშავეს ვეჭმადებოდი. მიუსი იმ დღესვე დასაჯეს. მშვიდობა გვამსა მისსა! მე ყოველთვის ისე მფიგონებ, რეგულაც მეგობარს და კეთილის-მყოფელს. იმის გვამის წინაშე მეც წამიკითხეს გადაწვევტილება; მე უკვე კმზადებოდი ქვესკნელში მოგზაურობისათვის, რადგანაც მეფემ ბრძანა ჩემი სიკვდილით დასჯა გადაედოთ.

მე კვალად ციხეში წამყვანეს.

ერთმა ჩემმა აჩკადიელმა ასის თავმა შემატყობინა, რომ ყველა ბრძანების აფიცრები და რთხი ათასამდინ ჯარის კაცი, სამსახურიდამ გამოკლენ, თუ მე, იმას უფროსს, არ მავსტიკებდენ.

ბინდისას მე მეფესთან მიმიყვანეს, რომელმაც ტკბილად მიმიღო. იმანაც დაწკრილებით მიაძბო ყოველივე ის, რაც ასის

თავის მიაძახ და თანაც დაუმატა, რომ შენისთანა საყვარელი მხედრის განშორება ძალიან მეძნელებათ. რაც შემეხება მე, უნდა გამეგოტყუდეთ, რომ ამასთანავე სრულადაც არა ვჯავრობ, პირაქით მე იგი მეზრახება, როგორც ძლიერი მეფე. თქვენ რომ იცოდეთ, რა რიგად ჩიოდა იგი, რომ არავითარს საქმეში ისე არ შეუძლიან მოიქცეს, როგორც თვითონ უნდა, და ასე გასინჯეთ თვით იმის პირუტყუს საქმეშიაც კი ჭურჭლები მონაწილეობას იღებენ! ჩემი საქმე რომ იმაზედ ყოფილიყოს დამოკიდებული, იგი მე, უცხო ქვეყნულს, სიამოვნებით მასპინძივდება დანაშაულს წინაშე განონისა, რომელიც მე არ მესმის და რომელიც, თუმიცა უსამართლოდ, სისულელედ მიმაჩნია. მაგრამ ჭურჭლების გამო მე იგი დაუსჯულად არ გამოშვებს. უკლავს მცირე სასჯელი ეგვიპტიდამ განდევნას და ასეც მიპირებს მეფე.

«გერ წარმოიდგინო», — ამ სიტყვებით დაახლოვდა თავის ჩივილი: — რაკდენ წამებში დავეკო ჭურჭლებს, რომ შენთვის ეპატრიკობინათ. ხომ იცი, რომ ჩვენი უმაღლესი სამსჯავრო მე არათურში არ შემოიხილება!»

«მე გამეგომშიდობებუ მას შემდეგ, როდესაც შეკვიტე, რომ იმავე დღეს მეძიასს დაუტყუებდი და მთლად ეგვიპტეს სამი გვირის შემდეგ.»

«სასახლის კარებთან მეფის შვილი ფსამეტრინი შემხვდა, იგი დიდი ხანია მდევნიდა მე ერთი უსამოვნო ამბისათვის, რომლის თქმაც არ შემიძლიან (შენ ეს ამბავი უკვე იცი, როდესაც). მე მიხდოდა მას გამეგომშიდობებუდი, მაგრამ მან პირი მომარბოდა და მითხრა: «შენ, ათინელო! ეხლაც გადაჩი სიკუდილსა; მაგრამ ჩემი შურის-ძიებისგან ჯერ არ გადაჩიენილხარ! სადაც უნდა წახვიდე, მე მაინც გიპოვნი შე-»

ნა!» «მაშ მე შენი შეხვედრის იმედი მქონდეს მეტქია, ვუთხარი მე და შეძლებ ჩემი ბარგი ჩავაწყო ნავში და აქ ნაუკრატისში მოკედი. სადაც ბედმა ჩემს ძველს მეგობარს სპარტანელს არისტომასს შემახვედრა, რომელიც წინაღ ვიპრის კუნძულზედ ჯარის უფროსი იყო და რომელიც იმედია ეხლა ჩემს ადგილს დაიჭერს. მე დიდად კმაყოფილი ვიქნებოდი, როდესაც ჩემს ადგილს ამისთანა ღირსეულს ვატყვად ვინახავდი, თუ არ მეშინოდეს, რომ ამის სანაქებო ღვაწლთან ჩემი ღვაწლი აღარათურად გამოჩნდება».

აქ არისტომასმა გააწყვეტინა ათინელს სიტყვა და უთხრა: «კმაჩა ჩემი ამდენი ქება, მეგობარო ძანეს! სპარტანულმა ენამ პირმოთხრობა არ იცის; როდესაც ჩემი თავი დაგჭირდება, მე საქმით დაგიმტკიცებ ჩემს მეგობრობას».

როდოპისმა ორივეს კმაყოფილებით გაუღიმა. შეძლებ ორივეს ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— სამწუხაროდ, შენის საუბრითა იმ ვაკიკე, ჩემო საბრძოლო ძანეს, რომ ამის შეძლებ შენი აქ დადგომა შეუძლებელია. მე შენ სუბუქად მოქცევისათვის არ ვაგვიცხავ, მაგრამ უნდა გცოდნოდეს ვი, რომ უბრალო რამისთვის დიდი განსაცდელი მოგელოდა. ბერძენი და ნამდვილად მამაცი ვატი მხოლოდ მაშინ მოსჭიდებს ხელს საეჭვო საქმეს, როდესაც იცის, რომ იმ საქმისგან სარგებლობა უფრო ბევრი გამოვა, სინამ ზიანი. უჭკუო სიამაცე ისევე მავნებელია, როგორც სიმხდალე, თუმცა იმდენად გასაკიცხი ვი არ არის, ამისთვის რომ, თუმცა ორივე მავნებელი არიან, მაგრამ სიმხდალე სასიარტხვილოც არის. შენი სუბუქად ქცევა ვინაღამ სიტყვებზედ არ დაგიჯდა, იმ სიტყვებზედ, რომელიც ბევრისთვის ძვირფასია და რომელიც უფრო კარგი საქმეებისთვის უნდა დაიცვა. მაშ დაე ეს

კეთილშობილი სპარტანელი, როგორც მოძავალი უფროსი ქუ-
შიკებისა, იყოს წარმომადგენელი ჩვენის ერისა სასახლის წი-
ნაზე, დაე მან დაიცივას ჩვენი ერი ქურუმთა მრისხანებისგან და
ეცადოს, რომ მუჟე ამ ერს მოწყალების თვალთ უყურებ-
დეს. მე შენს კალთას დაუჭერ არისტომას და არ გაუშვებ
იქამდის, სანამ არ აღგვითქვამი, ძანესისამებრ, რომ უბრალო
ბერძენსაც კი დაიცივამ ეგვიპტელებისგან და უფრო აღვილად
დასათმობ შენს თანამდებობას, ვიდრე რომელიმე ბერძნის შეუ-
რაცხებას. ჩვენ წამდენიმე ათასი ბერძენი, წავდენიმე მილიონ
ეგვიპტელთა შორის ვიძულეთ, რომელნიც მტრულის თვა-
ლით გვიყურებენ; მაგრამ ჩვენ ჩვენის ვაჟ-კაცობითა ვართ ძლი-
ერნი და ეს სიძლიერე უნდა შევინახოთ ერთი-ერთმანეთის
დახმარებით. აქამდის ეგვიპტეში მცხოვრებნი უკუა ელინელნი
ისე ვიჭყურდით, როგორც ძმანი; ერთი უკუადასათვის სდებ-
და თავს და უკუა ერთისათვის და ეს ერთსულაობა იყო ჩვენი
ძლიერების მიზეზი. დანარჩენ ეგვიპტეში მცხოვრებ ბერძნებმა
რომ ასეთივე ერთგულება გამოიჩინონ ერთმანეთისა, ჩვენი
სამშობლოს ყოველმა ერმა რომ დაივიწყოს თავის დიდი უფლი
შთამომავლობა და უკუანი მხლელად «ელინებად» ვიწოდებო-
დეთ, ჩვენ რომ ისე ვცხოვრობდეთ, როგორც შვილი ერთის
ოჯახისა და კრავი ერთის თვარსი, — მაშინ მთელი ქვეყანაც
ერე გაბუდავდა ჩვენს წინააღმდეგობას და ყოველი ერი ელადას
აღვიარებდა თავის მბრძანებლად.

ამ სიტყვებზედ როდობისს თვალები გაუბრწყინდნენ;
სპარტანელმა მას ხელი დაუჭირა, თავ-დაუჭერელის აღტაცე-
ბით ხის ფეხი იატაკზედ დაჭკრა და სთქვა:

— გუფიცებით ზევებს ლოყდემონისას, რომ მე არავის ელინ-

თა ხელის ხლების ნებას არ მივცემ; შენ კი რადობის ღირსი ხარ სპარტანელი იყო.

— ათინელიც! დაუმატა ძანესმა.

— იონიელიც! შეჭყვირეს მილეტელებმა.

— სამოსელი ქალიც! სთქვა სკულპტორმა.

— მაგრამ მე უპირველეს ყოვლისა, — სთქვა ალტარებულმა დედა-კაცმა: — მე უპირველეს ყოვლისა, — ელბიელი ვარ!

ყველანი ალტარებულნი იყვნენ: ასე გასინჯეთ თვით სიბრძნე და ებრაელიც კი მონაწილეობას იღებდნენ ამ საყვარელ-თაყო ალტარებაში. მხოლოდ სიბრაყელმა ძილბინმა არ უღალატა თავის დინჯობას და რადესაც საჭმელით პირი გაძლი-ტენა, სთქვა:

— შენ აგრეთვე ღირსი ხარ სიბრაყელიც იყო, რადგანაც შენი მოხრაკუელი საჭმელები ყველასა სჯობიან, რაც კი მე აქამდის მიჭამია იტალიიდან წამოსვლის შემდეგ და შენი ღვინოც ისევე გემრიელია, როგორც ხილისა და კვინუის ღვინო.

ყველამ გაიტინა, მხოლოდ სპარტანელმა შეხედა სიტყვების მოყვარეს სიმძულვარის თვალით.

— გამარჯობა თქვენი! უეცრად მიესალმა მათ ფანჯრიდამი უცნობი ბრხ-ხმიანი კაცი.

— შენც გაგიმარჯობს! — მიუგეს მოღვინეთ და ცდილობდნენ გაეგოთ, ვინ არის ეს დაგვიანებული სტუმარი.

დიდ ხანს არ მოუხდათ მოცდა; სიბრაყელს ჯერ ღვინის ხსელი ყლუბი არ დაეღია, რომ რადობისა გუკრდით უკვე იდგა მალაღი, ხმელ-ხმელი, სამოცის წლის მოხუცი კაცი, რომელსაც გონივრული შეხედულება ჰქონდა; ეს იყო კალიასი, შვილი ძენივ ათინელისა.

დაგვიანებული სტუმარი ათინიდან ერთი მდიდარი გაძლი-

დეკონილთაგანი იყო; მან ორჯულ იყიდა სახელმწიფოსაგან პი-
რისტრატის ქონება და ორჯულვე უკან გამოართვეს მართკულის
დაბრუნების გამო; ახლად მოსული გონივრულის თვალთ უყუ-
რებდა თავის ნაცნობებს და, როდესაც უკუას მიესალმა, სთქვა:
— თუ თქვენ ღირსუფაღ არ დაათვასებთ ჩემს აქ მოსვლას,
მაშინ დაჭეშმარიტებით ვიტყვი, რომ ქვეყნად პატრიკის-ცემს არ
არსებობს.

— ჩვენ დიდ ხანს გელოდით შენა, უთხრა მას ერთმა მი-
ლეულმა, — შენ პირველს მოგატყეს ამბავი ოლიმპის თამაშო-
ბის შესახებ.

— ჩვენც იმაზედ უკეთესი მოამბე არ გვინდოდა, როგორც
არის გამარჯვებული სტუმარი, დაუმატა როდოპისმა.

— დაჯექ, უთხრა ძანესმა მოუთმენელად: — და მოკლედ და-
კარგად გვიამბე უკუდათუარი, რაც ვი იცი, მეგობარო კალისა.

— ესაავე, ჩემო თანა-მემამულეო, მიუგო უკანასკნელმა. —
საკმაოდ დიდმა დრომ გაიარა მას აქეთ, რაც მე ოლიმპი დაუ-
ტოვე და ჩაკვექ ერთს საუკეთესო სამოსელს ნაკში აქეთკენ
წამოსასვლელად.

«მე სრულიადაც არ მიკვირს, რომ ჩემზე ადრე არც ერ-
თი ელინელი არ მოსდგომია ნაუკრატისის ნაპირებს; ჩვენ
ხაშინელი ქარი დაგვიდგა და უსათუოდ დავიღუპებოდით, თუ
რომ სამოსელი გემები ასე მკვიდრად არა უოფილიყვენ აშენე-
ბულნი.

«მე არ ვიცი, რა იქნენ დანარჩენი მოგზაურები, მაგრამ
ჩვენ ვი სამოსის ნაკთ-სადგურში დაკდექით და ათი დღის შემ-
დეგ კვლად გამოვუდექით გზასა.

«როდესაც დღეს ნილოსის ტოტში შემოვდიით, მე გა-
დაკვექი ჩემს ნაკში და ქარმა ისე გამომაქანა აქეთკენ, რომ

ერთი თვალის დახამხამების შემდეგ ალექსიოს და სტუმრის მოყვარეობით გათქმული სახელი. მე დავინახე გაფრთხილებული დროშა, გაღებულს ფანჯარებში სინათლე და დიდ ხანს ვყოფილობდი, — შემოვსუფიყავ თუ არა; მაგრამ შენს გრძნეულს ძაღს ვერ გაკუძულ, როდობის; ამას გარდა, ახალი ამბები, რომელნიც ჯერ არავისთვის მითქვამს, სწორედ ძაღიან შემაწიხებდენ, თუ რომ ნაპირს არ გამოვსუფიყავ, რომ ერთს ნაჭერ შემწვარებედ და სტაქან ჯვინობედ მუძმუნა თქვენთვის იმისთანა ამბები, რომლებიც თქვენ სიზმარშიაღ არ გინახავთ.»

კაფიასი ბალიშებედ დაჯდა და სინამ თავის ახალ ამბებს უამბობდა — როდობისს მისცა მან მშვენიერი ოქროს ბრასლეტი, რომელსებდაც გველი იყო გამოხატული და სამოსში დიდ ფასად ნაყიდი იმ თევდორეს სახელმსნობში, რომელიც მასთან ერთად სუფრასებედ იჯდა.

— აი მე შენ რა მოგიტანე, უთხრა მან განარებულს როდობისს, შენთვის ვი, მეგობარო ჭანეს, ცოტა რამ უფრო უკეთესი მაქვს. ახა გამოიციან, ვინ მიიღო საჩუქარი ოთხ-ცხენიანი ეტლების გაქცევაში?

— ათინელმა? ჰვითხა ჭანესმა და ლოყები აუწითლდა.

საჩუქარი, რომელსაც გამარჯვებული ოლიმპიის თამაშობასებედ მიიღებდა, მთელს ერს ეკუთვნოდა. ზეთის-ხილის შტო, ოლიმპიის თამაშობასებედ მიღებული, იყო უდიდესი პატრივი და ბუნდურება ყოველი ელინელისათვის და მთელი საბერძნეთის ერისათვის.

— გამოიციან, ჭანეს! უთხრა მხიარულმა მოამბემ. პირველი საჩუქარი ათინელმა მიიღო და იმასაც გეტყვი ვინც მიიღო: შენმა ბიძა-შვილმა კიმონმა, კიბსელისის შვილმა, იმ მიწოდის ძმამ, რომელმაც ცხრა ოლიმპიადის წინად ასუთი-

ვე საჩუქარი მიიღო. მან მეორედ გამარჯვება ამ წელს იმავე ცხენებით, რომელთაც წარსულს დღესასწაულზედ აიღეს საჩუქარი. ამპარტავნობა განა, ბედნიერებას გრძნობ შენის ოჯახის გამარჯვებით, არა ჭანეს?

ჭანესი სინარულით თვებზე წამოდგა და ასე გეგონებოდა გაზდილად.

გამოუთქმელის სიამაყით და ღირსებით, მან ჩამოართვა ხელი გამარჯვების მოამბეს, რომელმაც, გადებვია რა თანა-მემამულეს, განაგრძო.

— დიად, ჩვენ შეგვიძლიან ვამპარტავნობით და ვიმხიარულდ; მაგრამ ყველაზედ ძალიან შენ უნდა იმხიარულდ. მას შემდეგ, რაც მსაჯულებმა ერთ-ხმად კომუნს აკუთვნეს საჩუქარი, მან გზირებს უბრძანა გამოეცხადებინათ პიზისტრატის ოთხ-ცხენიანი ეტლის პატრონად და მასასადამე გამარჯვებულათაც. ესა ჩვენს გვარს, რაგორც პიზისტრატმა გამოაცხადა, შეუძლიან ათინაში დაბრუნება და შენთვისაც დადგა დიდი ხნის სანატრელი დრო სამშობლოში დაბრუნებისა!

ამ სიტყვებზედ სიმხიარული დაჭკარვა ქეშიკების უფროს-მა ჭანესმა; დიდებული მისი ამპარტავნობა სიბრძნეზედ შეცვალა და მან დაიუვირა:

— მაშ, შენის თქმით, მე უნდა ვიმხიარულდ, უჭკურთ ვა-ლიას? არა, მე უნდა ვიტარო, როდესაც მოვიგონებ, რომ აიაქსის შთამამავალია თავის დიდება ასე სამარცხვინოდ დაამ-ხო. მე დაბრუნდები შინა? გეფიცებით ათინას, მამა ზეკესს და აზოლონს, რომ მე უფრო ადრე სამშობლოთ მოვკვდუ-ბი უცხო ქვეყანაში და სამშობლოში ვი არ დაბრუნდები იქამ-დის, სინამ პიზისტრატს იგი დამონაკებული ჰყავს. მე თავისუფალი ვარ, რაგორც არწივი ღრუბლებში, იმ

დღიღვან, რა დღესაც ამისთვის სამსახური დაკტოვე; მე მიჩ-
ჩვენთან ვისიმე მშვიდი მონა ვიყო უცხო ქვეყანაში, სინამ პი-
ზისტრატის პირველი მოსამსახურე!»

შემდეგ მან კვლავ დაუჭირა ჭანესს ხელი და უთ-
ხრა:

— რაგორც შენ, ჩემო მეგობარო, ისე მე ძალიან მეჭვ-
რება ჩვენი მბრძანებელი; მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ
მტარვალაბა იქამდის არ მოისპობა, სინამ მტარვალა ცოცხალია.
მისი მომხრენი, ლილდამის ნიკოსელი და პოლიკრატ სამო-
სელი, ძალიან მძლავრები არიან; მაგრამ ჩვენი თავისუფლები-
სათვის პიზისტრატის საბრძოლო გამოცდილება უფრო საში-
შია, სინამ იმის მომხრენი. ამ ბოლოს დროს ელადში
რომ ვიყავ, მე ვნახე, რომ ათინელს ხალხს თავის მტარ-
ვალა ისე უყვარს, რაგორც მამა; თუმცა იგი ძლიერია,
მაგრამ სოლონის დაწესებულებანი მაინც მოქმედობენ და იგი
მათ ხელს არ ახლებს. იგი ამკობს ქალაქს ხელმძღვანელების მშვე-
ნიერის ნაწარმოებით. ზეკესის ახალი ტაძარი, რომელიც მშვე-
ნიერის მარმარილოს ქვით შენდება, უსათუოდ ეკვლა სხვა შე-
ნობებს დაემჯობინება. პიზისტრატი ეკვლა საუკეთესო მხატვ-
რებს და პოეტებს ათინაში უყრის თავს, იგი აწერინებს გო-
მერის სიმღერებს და აგროვებინებს მუზეუს ონომასტრელის
ნათქვამებს. მას გაჭყავს ახალი ქუჩები და მართავს ახალს სა-
ერო დღესასწაულებს; მის ხელში გაჭრება ჭყვავის და ერის
ჭრება უფრო მატულობს, თუმცა იგი ბევრს ახალს ხარჯს
ადებს მას ვისურვებ. მაგრამ რა არის ური? იგი არის ბედით-

თა ხრევა, რომელიც კოლხსაჲთ სინათლეს დასდევს. პიზის-
ტრატის ლამპარი თუ განდ რომ კიდევ გაჭჭრეს, გეფიცები
ძანესს, რომ დაუდგრომელი ერი სხვა ლამპარისკენ ისევე წავს-
ნება მიბრძე ერთხელ კიდევ ჩამოგართვა ხელი, აიქსის ნამდვი-
ლად შვილად; თქვენ ვი მეგობრებო სხვა ახალს ამბებს გაიმ-
ბობთ.

აესრედ, ეტლების მარულაზედ კიმონმა გაიმარჯვა და
თავის ზეთის ხილის შტო პიზისტრატს უძღვნა. თუმცა მთელს
უადას თავის წარმომადგენლები ჭყავდა, მაგრამ კიმონის ეტლ-
ზედ უმშვენებრად არავისი იყო. ერთის სიტყვით ერთ არ
შემიძლიან გამოვსთქვას სიბრწყინვალე და დიდებულება ამ დღე-
სასწაულისა და აღტაცება სხვა-და-სხვა ქვეყნიებაში მოსულის
ერისა.

შემდეგ კიმონისა საუკეთესო საჩუქრები სპარტანელებმა
აიზანდრმა და მარონმა მიიღეს, რომელნიც კეთილ-შობილი
განდებნილი არისტომახის შვილები არიან. მარონმა გაქცევაში
გაიმარჯვა; აიზანდრი ვი კრეტონელ განთქმულ ფალავან მი-
ლონთან გამოვიდა საჭიდაოდ. მილონი სპარტანელზედ უფრო
მაღალი და ღონიერი იყო და აგებულებით აზოლონსა ჭყავდა.
უმაწვილმა აიზანდრმა ჭიდაობის წინად აიღო მაღლა ხელები
ღმერთებისადმი და დაიძახა:

«მაძი-ჩემის ღირსების და სპარტის დიდებისათვის გა-
მოდვიარე! კრეტონელმა დიმილით შეხედა ახალგაზრდას.

«დაიწყო ჭიდაობა. დიდ ხანს ერთმანეთს ხელი ვერ მო-
აკლეს. დიდის გამძაგებით მივარდებოდა ხელმე კრეტონელი

თავის მოწინააღმდეგეს, მაგრამ იგი გველისავით უსხლტუბოდა მას, რომლის ხელებიც გზებსა ჰგავდა. ამ ბრძოლას უკვლავ სულ გამეღიჯი უყურებდა. ფაფანების ძახილისა და ჭაღაში ჩიტების გალახვის მეტი არათუარი ისმოდა. ბოლოს ახალგაზრდამ სტატა ხელი თავის მოწინააღმდეგეს. მიღონი დიდ ხანს ცდილობდა ახალგაზრდას ხელიდამ გაშვებოდა. მებრძოლთა რთული მეიდანსა რწყავდა.

«უკვლავი თან და თან სული გამეღა და თან და თან უფრო მებრძოლთა გუნესა ისმოდა. ბოლოს მან შემოიკრიბა უკანასკნელი ძალა და უნდოდა კრეტონელი წაეჭტია; მაგრამ მან მისი დაუძლეულება შეიტყო და საშინელის ღონით დაღოჯა იგი. მან შავი სისხლი გადმოედინა ახალგაზრდას პირიდან და იქვე ცოცხალ-მკვლარი დაეცა. დემოკედი, ჩუნი დროის გამოჩენილი ექიმი, რომელსაც სამოსულები უნდა იცნობდენ, რადგანაც იგი პოლიკრატის სასახლეში იმყოფებოდა, მანინკე მოვიდა; მაგრამ კვლარათუარი უშუკვლა, რადგანაც იგი უკვე მომკვდარიყო.

«მიღონმა დაჰგარგა საჩუქარი და ამ ახალგაზრდას მამაცობა კი მთელს ელადში გაკარდებდა. ღმერთმანი, მეც ის უფრო ძალიან მინდა რომ არისტომანის შვილის ღიზანდრისავით მოკვდო, სინამ გალიასისავით ვიცოცხლო, სიცოცხლე, რომელიც უცხო ქვეყანაში ბერდება. მთელი საბერძნეთის საუკეთესო წარმომადგენელი დაესწრენ ამ ახალგაზრდას გაცის გვამის დაწვას, მის ძეგლს მიღონ კრეტონელის და სხვა ფაფანების ძეგლთა გვერდით დასდგამენ. ბოლოს გზირებმა გამოაცხადეს:

სპარტა მიიღებს გამარჯვების საჩუქარს მიცვალებულის მავიერ, რადგანაც ლიზანდრი მილონიძე კი არა — სიკვდილში დაამარცხა; და ვინც ლონიერ ბერძენთან რჩი საათის ბრძოლის შემდეგ გამარჯვებული გამოვიდა, იგი ღირსია მიიღოს საჩუქრად ზეთის-ხილის შტო.

კალიასი ერთს წამს დაჩუმიდა. ეს მხიარული ხასიათის ჯატი, რომელსაც ლაპარაკობდა, იქ მჯდომთ არავის ყურადღებას არ აქცევდა, მისი მკვირცხლი თვალები შორს გაიჭიქებოდნენ, გეგონებოდა ჭიდაობას უცქერიან. ესაა მან გადახედა იქ მჯდომთ და გაკვირვებულმა დაინახა, რომ ხის თეხიან მონხუცს კაცს, რომელსაც აქამდის არ იცნობდა, თვალებზედ ხელი მიუთარებინა და მღუღარე ცრემლით იბანებდა; იმის მარჯვნივ რომდოსპისი იდგა და მარცხნივ ჭანესი და ყველა იქ მყოფნი ისე უცქეროდნენ სპარტელს, თითქოს იგი ყოფილიყო კალიასის მოთხრობის გმირად. გონიერი ათინელი მანუკე მიხვდა, რომ მონხუცი სპარტელი ერთ-ერთი გამარჯვებულის ახლო ნცნობი იყო; მაგრამ რომელსაც გაიგო, რომ არისტომახი რჩი გამარჯვებული ძმების — სპარტანელების მამა იყო, იმანაც გაკვირვებით დაუწყო მოტირაჯს მონხუცს ცქერა და თვითონაც მორჩია ცრემლები, რომელთა დამალვასაც არა თვქრებდა. იმ დროს ვაყ-კატებიც ტირილდნენ, რაჟი იცოდნენ, რომ ცრემლთა დენით მწუხარება შემცირდებოდა.

მცირე ხანს ყველა სტუმრებმა ხმა გაკმინდეს მონხუცის მწუხარების პატრივისციმის გამომ. ბოლოს უბრალოდ იოსიამ და არღვის საჩუქე და ბერძნულის ენის მტკრევით უთხრა:

— ვარგად იტყვი, სპარტელო ვაჟ-ვარგო. მე ვიცი რასაც ნიშნავს შვილის დაკარგვა. მეც ამ თერთმეტის წლის წინად, უცხო ქვეყანაში, ბაბილონის წყლის კიდებზედ, სადაც ჩემი ერთი იტანჯებოდა, ერთი მშვენიერი ყმაწვილი დაკარგეს. თუ ჩემს მშვენიერს ბავშვს ერთი წელიწადი კიდევ ეცოცხლას, მაშინ იგი თავის სამშობლოში მოკვდებოდა და ჩვენც შეგვიძლო იგი თავის მამა-პაპათ საფლავთან შორის დაგვეკარგათ. მაგრამ ვერმე სპარსეთისამ, აკურთხოს იგოვამ მისი შთამომავლი! — ერთის წლით გვიან განგვანთავისუფლას და ეხლას ერთი ღრად უფრო ვსტირი იმ ყმაწვილს, ამისათვის, რომ იმის საფლავი იზრათ-ილის მტერთა ქვეყანაში გაითხარას. ამასევე საშინელებას რაღა იქნება, რომ დესაც ვხედავთ, რომ ჩვენი შვილები, უძვირფასესი საუნჯენი, ჩვენზე ადრე ჩადიან საფლავში? და — დამიხსნას — იგოვამ რაღისმე დაკარგო იმისთანა მშვენიერი ყმაწვილი, რომ გორიც შენი შვილი იყო, განსაკუთრებით იმ დროს, რომ დესაც მან დიდება მოიხვეჭა; — ამასევე უდიდესი მწუხარება რაღა იქნება.

სპარტელმა ჩამოიღო თვალებიდან ხელები და ღიმილით თვალ-ცრემლიანმა უთხრა:

— შენ სცდიბი, ფინიკილო: — მე სინარყოლისგან ვსტირი და არა მწუხარებისგან, მე მზადა ვარ მეორე შვილიც დაკარგო, ღღონდ ვი ისიც ისე მოკვდეს, რომ გორც ღიზანდრი.

იზრათიანელმა, გაკვირვებულმა ამ სიტყვებით, რომელთაც იგი დანაშაულად და ბუნების წინააღმდეგად სთვლიდა, მხოლოდ უკმაყოფილოდ გააქნივა თავი; მაგრამ იქ მყოფთ

ეწინეულთ ვი ბედნიერს მოხუცებულს მამას ბეჭი მიუღოცეს.
 აჩისტომასხი სიხარულით რაკდენიძე წლით გაყმაწვილებულს
 ჰგავდა და, მიუბრუნდა რა როდობისს, უთხრა:

— ჭეშმარიტად, შენი სახლი ჩემთვის ბედნიერებაა. ამის-
 თვის მას აქეთ, რაც აქ შემოკვდი, ღმერთები ეს მუცრე საჩუ-
 ქარს მამლეკენ შენი სახლის ჭერ ქვეშ.

— პირველი რამელი იყო, ჰკითხა როდობისმა.

— რაკგულის სასიამოვნო წინასწარმეტყველება.

— მესამე ვი გავიწყლება, უთხრა ჭანესმა:— დღეს შენ
 ღმერთებმა გაგაბედნიერეს და როდობისი გაჯანცნეს. ახა რაკ-
 გულმა რა გიწინასწარმეტყველა?

— შეიძლება ეს წინასწარმეტყველება მეგობრებს შევატყობი-
 ნო?— ჰკითხა დელჭიელმა.

აჩისტომასხმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ჭრიქს-
 მა ვაჭიას ვასუხი მუცრედ წაიკითხა:

მოვა დრო და თოვლის მთებით რაზმები

დიდ მდინარის ნაპირზედ გაიშლება.

სუბუქ ნავით წყლის ვიდეს მიადგეძი,

დატანჯული გული დაგიმშვიდდება.

ხუთს მსაჯულსა უკვე გარდუწევითათ

მისცენ მწიკს, რაც წინად არ მიუციათ.

რეგორც ვი ჭრიქსმა უკანასკნელი სიტყვა სთქვა, ათი-
 ხელი კაღიასი წამოდგა და მლეკვარებით სთქვა:

— ეხლა შენ ჩემგან მიიღებ ამ სახლში ოთხცენიანი ეტლი-

საგან აღებულ ღმერთების საჩუქარს. მე უკანასკნელს ჩემს ახალს ამბავს საბოლოოდ ვინახავდი. იცოდე, რომ ეგვიპტულ სპარსულები მოდიან!

სიბარელოს გარდა უკუა სტუმრები ფეხზედ წამოდგნენ და გალასი ძლივს ასწრობდა ვითხვებულ პასუხის მიტემას.

— დამშვიდდით, დამშვიდდით, მეგობრებო. დამცადეთ ყოველის ფერი რიგზედ ვითხრათ, თორემ თავის დღეში ვერ დაუასრულებ ამ ამბავს! სპარსეთის ეხლანდელი ძლიერი მეფის გამბიზის დესპანი დიდ-ძალის მხლებლებით, და არა ჯარით, რეგულარულ შენა ფიქრობ ღანეს, გზაზედ მოდიან. სამოსილამ მივიღე ამბავი, რომ დესპანები მილეთში უკვე მოსულან. რამდენიმე დღის შემდეგ ივინი აქ იქნებიან. დესპანთა შორის არის მეფის ნათესავიც და ასე გასინჯეთ თვით ლიდის მოხუცი გრეზიც; ჩვენ დიდ ამბავს ვახსავთ! მოგზაურობის საგანი არავინ არ იცის, მაგრამ ფიქრობენ ვი, რომ გამბიზს სამაზისთან დაგაკშირება უნდა; იმასაც ამბობენ, რომ ვითომც დიდს მეფეს ფარაონის ქალის შერთვა უნდოდეს.

— დაგაკშირება? ჭკობისა ღანესმა და მხრები აიწივს. სპარსულებს უიძისოდაც ნახევარი ჭკუანა ხელში უჭირავთ. აზიის უკუა დიდი სახელმწიფოები მათს სვიპტრას დაემორჩილნენ; მათი მეფე ეგვიპტისა და ელანთა სამშობლოს ჯერ კიდევ არ იმეტებს.

— შენ გავიწუდება რქროს ინდოეთი და აზიის დიდი უბინაო ერი, უთხრა გალასმა.— შენ გავიწუდება ისიც, რომ სახელმწიფო, შემდგარი სამოც-და-ათის ერისაგან, რომელნიც სხვა-და-სხვა ენაზედ ლაპარაკობენ და სხვა-და-სხვა ხასიათისანი არიან, თვით გაუხდება თავის თავს შინაური ომის მიზეზად;

ასეთი სახელმწიფო სხვა სახელმწიფოსთან რძის უნდა ურთიერებად, რომ, როდესაც მომეტებული ჯარი გარეთ იმყოფება, მასთან დაკავშირებულმა უცხო ერმა არ ისარგებლოს და თავისთვის არ გავიდეს. ახა ჰკითხე მილეეთელებს: მშვიდობიანად იქნებოდნენ, თუ რომ მათს მპყრობელს რომელსაღე რძის ბრძოლა წაეკო?

მილეეთელმა ვაჭარმა ძეგობრძემ სწრაფად შეაწყვეტინა კალასს საუბარი:

— თუ რომ სხარსელები რომელსაღე რძის ბრძოლას წაეკებენ, მაშინ მათ ბევრი სხვა ბრძოლაც თავზე დაატყდებოდათ და ჩემი სამშობლო არა უკანასკნელად აღსდგებოდა თავის დამმონაკებელის წინააღმდეგ.

— რა დანიშნულებაც უნდა ჰქონდეთ ამ დესპანებს, განაგროვებენ კალასს: — მე მაინც ჩემსას ვიტყვი, რომ ბევრი, ბევრი სამი დღის უკან იგინი აქ იქნებიან.

— და აღსრულდება შენი ორაკულის წინასწარმეტყველება, არისტომან! უთხრა როდობისმა: — მთიდან მომავალი მტერი სხარსელების მეტი ვინ იქნება. როდესაც იგინი ნილოსის ქალაქებს მოადგებიან, შენი ჭკუენის ხუთს მსაჯულს თიქრი გამოეცვლება და შენ, ოლიმპიის ორის გამარჯვებულის მამას, სამშობლოში უკანვე დაგაბრუნებენ. კვალად ავსე, კნაკიას, თიასები! ეს უკანასკნელი თიასა ლიზანდრის აჩრდილის სადღეგრძელო დაკლიოთ და შეძგებ მე თქვენ უკვლას სვალამდის გამოგემშვიდობებით. მასპინძელი, რომელსაც თავის სტუმრები უუვარს, ვალდებულა მოსპოს მეჯლისა, როდესაც მხარულა უვიდურეს წერტილამდის აღის. სასიამოვნო მოგონებანი ამ მეჯლისისა თქვენ უკვლას კვალად მოგიყვანთ ამ სახლში,

უსიამოვნობა რომ რომ მოხდეს კი ყველანი უგულვით მოხვალთ.

მასპინძელს ყველა სტუმრები დაეთანხმენ და იკვირება მას ზიჯგორის მოწითვე დაარქვას და თანაც მუჯლისის მხიარულობას აქებდა.

ყველანი შინ წასასვლელად მოემზადნენ. სიბარელიც, რომელიც თავის მდგომარეობის დამალვას ცდილობდა, წაღვანაც ბევრი დალია, წამოდგა ზეზედ მოსამსახურეთა დახმარებით და მასპინძლისაგან წესის დარღვევის შესახებ წაღვანაც ჯუჯუჯულებდა.

როდესაც, გამომშვიდობების დროს, როდობისმა ხელი ჩამოართვა, მან ღვინისაგან გაბრუებულმა უთხრა:

— გუფიტები ღერკუჯესს, როდობის, რომ შენ ისე გვისტუმრებ სახლიდამ, როგორც დაუდგარ მოკალეებს. მე ჩვეულო არა ვარ მუჯლისს თავი დავანებო იქამდის, სანამ თქვზედ დგომს შემიძლიან და განსაკუთრებით უფრო ჩვეულო არა ვარ იმას, რომ ვარები მიჩვენონ, როგორც სამაგელს ვისმე!

— გაიგონე რას გუბნები, შე თავ-დაუჭერელო მოჭვიფე, უთხრა როდობისმა დიდილოთ; მაგრამ თავის სიძიჯრალით გაჯავრებულმა ჭილოინმა საშინლად გაინახხარა როდობისის სიტყვებზედ, ტორტმანით წავიდა ვარებისკენ და უთხრა როდობისს:

— შენ მე თავ-დაუჭერელო მოჭვიფეს მეძახი? მამ მე შენ უსიტხვილო მონას დაგომხებ, შენ დღევანდლამდის კიდევ გეტყობა რაცა ულოთხარა უწიწვილობისას. მიშვიდობით იადმონის მონავ, განთავისუფლებულე «ხარაქსისაგან!»

ჟერ ლაზარაკი არ გაუთავებინა, რომ მას სპარტანელი
ანაბდეულოდ მივარდა, ერთი მუშტის დარტყმით წააქცია და
ბავშვისათვის აიყვანა და ნაკში ჩასვა; სიბარეულს მონები იქვე
ბაღის კარებთან ელოდნენ.

(შემდეგი იქნება)

«ქართლის-სომხების» პირველ-გარდამოსვლათა
წყაროები და ვათი ხასიათი.

აწა გვგონია, რომ რომელსამე ერს დედა-მიწის ზურგ-ზედ შექმლეს თავისი პირველ-გარდამოცემა სრულ ისტორიულ ჭეშმარიტებად აღიაროს. ამ გვარნი გარდამოცემანი არიან საზოგადოდ მხალხოდ მიტები ანუ ლეგენდები, რომელნიც შეადგენენ განსაკუთრებულს ხანას ისტორიის დასაწყისისას. მათი ხედავნი დიდად მიემსგავსება უწინდელ გეოგრაფიულ სახელ-წოდებათა ხედავს. რეგორც პირველნი, ისე მეორენი ეთვისებინ ურთი ქვეყნისაგან მეორეს, ერთის ერისაგან მეორეს მხალხოდ იმ განსხვავებით, რომ გეოგრაფიული სახელ-წოდებანი შედარებით უფრო ნაკლებ იცვლებიან, სხვათერდებინ და ამიტომ მათი ისტორიაც ადვილი განსახილველია და გამოსაკვლევი, ვიდრე ისტორიულ წინა დროთა გარდამოცემანი. სადაც უნდა იყოს და რეგორც უნდა იყოს ამ უკანასკნელთ დასაწყისი: იხადებინ იგინი თვით ერში, თუ შემოდინ გარედამ, მანცა და მანცა ჩვენ არ შეგუთრის მათდამი უყურადღებობა, ჩადგან, რეგორც ცნობილია, ხშირად აღბეჭდვენ იგინი ერში დანერგულს რომელსამე მოაზრებას, უჩვენებენ ერის შეხედულებას ქვეყნიერობაზე, სტრუქტურენ კვალს მის ცხოვრებაში და საფუძვლად ხდებიან შემდეგ მწერლობის ნაწარმობებში. ამასთან, ჩასაკვირველია, იმასაც ვერ უარ-კუთვთ, რომ რამე კავშირი არ ყოფილიყო იმ ლეგენდებთა და იმ მოკვლენათ შორის, რომელთაც

ადესმე ჭქონიათ ადგილი ერის ცხორებაში. ამ შემთხვევაში იგინი შეადგენენ იმ ხმას, რომელიც ურთოდ გამოისმის ისტორიის უწინარეს დროის მოკვლენათა და შემთხვევათაგან. რაც უნდა ჭანტასტიკურ ჭორბებში იყვნენ იგინი ჩამოსხმულნი, რაც უნდა დაუჭერბული იყოს მათი თვით შინაარსი, მაინც შედარებითს მეთოდს შესწავლისას შეუძლიან ამ გადმოცემათა შორის აღმოაჩინოს ჭეშმარიტება, შეჭნიშნოს იმათი ისტორიული წინააღმდეგობა და გაარკვიოს, სად არის მათი პირველი სამშობლო და საიღამ და რაგორ მომდინარეობენ იგინი.

ამ შენიშვნაში ჩვენ საგნადა გვაქვს ქართული მატრიანე ანუ ესკედ-წოდებულ «ქართლის-ცხორების» (რომლის ტექსტი და ჭრანტიცული თარგმანი იყო დაბეჭდილი 1849—1857 წწ. სამეცნიერო აკადემიის მიერ) პირველი გარდაცემის. რადგანაც აქამოდ სწორად კავკასიის ისტორია გამოუკვლევლია, თქმა არ უნდა, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან საკმაოდ გავარკვიოთ უკვლას ის საგნები, რომელნიც მოითხოვენ განმარტებას ჩვენს საუბარში. ამის გამო ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ თვით პირველ გარდაცემას «ქართლის-ცხორებისას» და ზოგიერთის მასალების შემწეობით ვუცდებით ავხსნათ რაგორც ისტორია მათის დახადებისა, აგრეთვე ზოგიერთი სურათები ქართულთა ცხორებისადმი, რომელთაც ჭქონიათ მათთან რაიმე დამოკიდებულება. რაიცა შეეხება იმ გარემოებას — შეიცავენ იგინი თუ არა ისტორიულ ჭეშმარიტებას, ეს მიგვიჩვენებს მომავალ არხეოლოგიურ ძიებათა და გამოკვლევათათვის.

«ქართლის ცხორების» დედა-აზრი კავკასიის ტომთა დასახამზე შემდეგია. იმის სიტყვით, სომეხნი და ქართველნი, რანნი და მოკავანნი, ჭერეთნი და ლეგნი, მგერელნი და

კაკასელნი წარმოსდგენენ ერთის მამათ-მთავრისაგან, თარშის
შვილის თარგამოსისაგან, რომელც შეადგენდა მეოთხე შთამო-
მავლობას იათუტისას და მუხუთეს—ნოესას. თარგამოსის შვი-
ლებში სხვებზედ მეტი სახელი მოიპოვეს ჭაოსმა ანუ ჭაიკმა,
სომხების წინაპარმა, ქართლელსმა, ბარდელსმა, მოვავანმა, ლე-
კოსმა, ჭეროსმა, კაკაზოსმა და ეგრესმა. ამათი პირველი სა-
მშობლო იყო ბაბილონი. ბაბილონის გოდოლის მასშენებელნი
რომ გაითვანტნენ დედა-მიწის ზურგზედ, თარგამოსი თავისის
შვილებით დასახლდა აჩაჩატსა და მასისს შუა. ეს ადგილი მათ
მალე ეკონოკათ. გამგზავრდნენ ჩრდილოეთისკენ და დასახლდნენ
იმ ადგილებში, რომელთა საზღვრებს შეადგენდნენ: აღმოსავლეთით
გურგენის ანუ კასპიის ზღვა, სამხრეთით—მთები, რომლებიც
მიდიის პირის-პირ მდებარებენ და სადაც სცხვობენ ქურთნი,
ჩრდილოეთ-კაკასიის მთა-გრებილი, რომელსაც სპარსელნი ელ-
ბრუსს (ჩვენებურად იალბუზს) უწოდდნენ. თარგამოსის შვი-
ლები რომ გაიყარნენ, უფროსმა—ჭაოსმა დაიჭირა საუკეთესო
ნაწილი მამის სამთლობოლოსა, ესე იგი ქეუანა აჩაჩატსა
და მასისს შუა. კაკაზოსისა და ლეკოსის შთამომავალნი და-
ბინადნენ კაკასის ზემო ლელებში და მიითვისეს სახელ-წოდება
ძურძუკეთი და ხომანგეთი. კაკასიის ჩრდილო ნაპირები დიდ-
ხანს დაუსახლებელნი იყვნენ. ოსებზე და ჩერქეზებზე, აგრეთვე
აფსაზებზე ჯერ აჩაგათარქი ცნობანი არ აჩსებობენ. სხვათა თარ-
გამოსელთა შორის ეგრესისა და ქართლელის შთამომავალთ
დაიჭირეს მიწები შავი ზღვიდამ ვიდრე მტკვრის და აჩაქსის
კიდებამდე. იმათ გააშენეს ქალაქები და ციხეები. უმთავრესი
მარა-გზები საქართველოსა და კაკასს შორის იყვნენ—დარუ-
ბანდისა ანუ კასპიის ზღვისა და აჩაგვისა ანუ დაჩაღისა. სა-
ქართველო იყოთოდა თემებად—კახეთი, ჭრეთი, ჯავახეთი

და ქართლი, რომელიც აწარმოებდა და აწარმოებდა მოყოლებით
ვიდრე ტაშირის-გარნიკი ანუ ბორჯომის გარნიკი იწოდებოდა
«ზუღა-სოფლად», მტკვრის სათავე და ჭოროხის ხეობა—სამ-
ცხე-კლარჯეთად. თარგამოსელნი იყვნენ ახლანდელი ცოცხლობდნენ
დიდ ხანს. თვით თარგამოსის იცოცხლა 600 წ. უფროსს ქართ-
ლელსათაგანს სატახტო ქალაქად ჰქონდა ამოჩეული მცხეთა
და იწოდებოდა მამა-სახლისად, იგივე იყო მთელი ქვეყნის გამ-
ბა და მხედრობითაჲსი ჯარებისა. ქართველნი სცხორებ-
დნენ მიწურებში, გამოქვაბულ კლდეებში და ციხე-სიმაგრეებში.
მთელი ტომი განსხვავდებოდა კელურის ცხორებით, მე-III-ში
საუგუნეში ქრ. დაბადების წინ აღექვანდრე მკედონელმა ჰერკლემ
ამ მდგომარეობაში; სახელდობრ: მას არა სწამდა ნათესაობა,
სწამდა არა თუ უწმინდურ ცხოველთა, არამედ თვით მკედონ
ადამიანთაც; თაყვანს-სცემდა მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს,
ცხოველთ და უსულო საგნებსა. თარგამოსის შთამომავალნი,
ე. ი. ჰაიგანელნი, ქართლელსანნი და ვაკასელნი დიდ ხანს იცავ-
დნენ ურთი-ერთ შორის მუგობრობას და ეწეოდნენ ერთმანეთს
მტრებთან რძეში. ამით საერთო მტრებათ ითვლებოდნენ, რა-
გორც ხაზარნი, რომელნიც ჩრდილოეთით ვაკასიისა სცხორე-
ბდნენ, აგრეთვე სპარსელნი. პირველად იგინი ემორჩილებოდნენ
ნებრეთს, რომელიც დაბადების გარდმოცემით, იყო ქაძის შთა-
მომავალი, ქალდეველთა გარდმოცემით ბელი ანუ ბელუსი, დამა-
არსებელი ასსიის საძეოლსა, «ქართლის-ცხორებისა» აზრით
—მამათ-მთავარი სპარსელებისა და პირველი მეფე მთელის ქვე-
ყნისა. თარგამოსელნი ექვემდებარებოდნენ ნებრეთს, ვიდრე
მცირე რიცხვს შეადგენდნენ; რაკი გამრავლდნენ იწყეს ბრძოლა
და განთავისუფლდნენ მათის მონობიდან. ბრძოლა მაინც მალე
არ დასრულდა. პირველთ განზრახვა იყო არა მხოლოდ პოლი-

ტიკური მათი დამოწმება, ანაჲდ გავრცელება ქართველთა შორის მათის სამოქალაქო წეს-დებისა და ცეცხლის თაყვანის-მცემლობისა. ¹⁾

«ქართლის-ცხოვრება» ცნობილია მატიახედ ვახტანგ მე-
VI-სა, რომელიც სცხოვრობდა მე-XVII საუკუნის დამდეგს
და მე-XVIII-ს დამდეგს. ძრავალი უკლად უსათუოდლოდ
აღიარებენ მას «ქართლის-ცხოვრების» შემადგენელად. ვახტან-
მა, რომელიც თვით წინა-სიტყვაობიდას სჩანს, მხოლოდ შე-
მოკრიბა საქართველოს ქრონიკები და მსწავლულთ ვაცთა დახ-
მარებით შეასწორა შემცდარი და დამახინჯებული ადგილები სა-
კლესიო გუჯრების და სიგელების გადასინჯვით. *) «ქართ-
ლის ცხოვრების» სიმკვლის უტყუარს დამტკიცებას თვით «ქარ-
ცხოვ.»-ვე წარმოადგენს. ანას ვატყვით იმ განკომებაზე,
რომ გერძო ქრონიკების შემადგენელი ხშირად ჭმალავენ თავი-
ანთ სახელს. მაგრამ «ქარ.-ცხოვრება» აქა-იქ თვითვე გვაჩვენებს,
როდის, რა რიგად და ვინ სწერდა და ადგენდა მატიახეთა.
მაგ., აქა ვკითხულობთ, რომ წმ. ნინოს მიერ ქართვე-
ლებისაგან ქრისტიანობის მიღების ამბავი დაუწერია მიწიან

¹⁾ გამოსვლათა წიგნი X, 6—8; Histoire de la Géorgie, I, 15—24; Langlois, Collec. des hist. armén.' I, 16.

*) ახლა ეს აზრიც უსათუოდლოდ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც, როგორც ძველს ქართლის ცხოვრების ვარიანტებთა შემოწმებამ ამ ცოტა ხანში ცხადად გვიჩვენა, რომ ვახტანგს არა ვითარი განხილვა და შესწორება ქართლის-ცხოვრებისა არ უკისრნია. ამ საგანზე ნახე ჩემივე ვრცელი სტატია, «დროებაში» და «ივერიაში» დაბეჭდილი შესახებ პროფესორის პატკანოვის აზრისა «ქართლის-ცხოვრებაზე.»

მეფის მეუღლეს და ურთა ახათარს, ²⁾ მე-VI საუკუნის მეორე ნახევარში, ვითომც მღვდელს ზაქარას შეუდგენია სიძოფს ენაზედ მეფის ბიოგრაფია ვარაზ-ბაკურის ძის მიწვანლისა, რომელიც შემდეგ პალესტინის ეპისკოპოსად იქმნა და იწოდებოდა პეტრედ. ეს ბიოგრაფია უთარგმნა ქართულად მღვდელს მაკარის. ³⁾ ცნობანი იმპერატორ ირაკლის მიერ აფხაზეთის დაპყრობაზე 628 წ. გადმოუღიათ საეკლესიო წიგნბოლამ. ⁴⁾ მე-VII საუკუნეში აფხაზეთის ერისთავის ლეონის დროს «ქართ.-ცხოვრება» იხსენიებს გუჯარს ანუ სიგელს, რომელიც შეიძავდა რაგორც ყველა სახელებს მეფეებისას და დიდ-გვარებისას, აგრეთვე საქართველოს ჯგუფად დასახლებულს ადგილებისას. ⁵⁾ იმავე საუკუნეში მრავალი ეპისკოპოსი აღიარებენ სწერს მეფის არჩილის ცხოვრებას და წვალებას არაბების-მიერ, აგრეთვე სხვა მეფეების ცხოვრებას; ახლა კი, უძატებს «ქართ.-ცხოვრება», სწერს დეკანოზი იოანე. ⁶⁾ არჩილის ცხოვრების აღწერის ბოლოში ამბობს იგივე: «წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებაზე ვახტანგ მეფემდე იწერებოდა ნაწივად-ნაწივად, ვახტანგიდამ ბოლომდის აღწერა წმ. არჩილის სიძემ ჯვანშერ ჯვანშერიანმა. ჩვენს შემდეგ კიდევ განაგრძობენ სხვათა, რაგორც ღმერთმა ამცნოსა. ⁷⁾

²⁾ Hist. de la Géorg., I, 90, 105—132.

³⁾ Ib., 138 II. 1.

⁴⁾ Ib., 229 II. 1.

⁵⁾ Hist. de la Géorg., I, 243 — «ქართ.-ცხოვრება» 1, 178.

⁶⁾ Ib., 253 II. 1.

⁷⁾ «ქართ.-ცხოვრება», 184 ეს ადგილი Chronique

რა გვარად აფასებდენ ძველადგანვე საერო ქრონიკებს საქართველოში, სჩანს მე-XIII საუკუნის სომეხთ ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის სიტყვებიდან: ის ამბობს, რომ საქართველოში იყო ისტორიული არხიები; ამ არხიებს ის ხან სამეფო არხიებად იხსენიებს, ხან სასამართლო არხიებად და ხან დავთრებად უწოდს⁸⁾. ის გვარწმუნებს, რომ სიზღვიდო ქართული ქრონიკები იწოდებოდნენ «ქართ. ცხოვრებად», თუმცა ეს სახელი სტეფანოსის წინადაც შეგვსვდება⁹⁾. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ «ქართ.-ცხოვრება», რომელსაც საუბრობს სტეფანოსი, ის «ქართ.-ცხოვრება», რომელმაც მოაღწია ჩვენამდე. ჩვენი აზრი ამ შემთხვევაში დამყარებულია, სხვათა-შორის, შემდეგ ფაქტებზე. ესრედ წოდებული სომხური ქრონიკა ანუ უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ქართული ქრონიკა, სომხურად თარგმნილი, რომლის ხელ-ნაწერიც მე-XII საუკუნეს ეკუთნის,

arméniene-ში ამ სიტყვით არის მოყვანილი: «ეს მოკლე ისტორია ვიზიკეთ ყამსა აღრეულობისასა და ჩავურთეთ ჩვენს წიგნში, რომელსაც «ქართლის-ცხოვრება» ეწოდება. ჟვანშუკმა მხოლოდ იგი აღწერილი ვახტანგ მეფემდე, ხოლო ამან განაგრძო უკანასკნელ დრომდე. რაიცა შეეხება შემდგომის დროის ისტორიას ამას, მისის სიტყვით, შემდეგნი განაგრძობენ».

Addit. à l' Hist. de la Géorg. 1851, p. 50—51.

⁸⁾ St. Orbel., Hist. de la Siounie., Spb., 1864, I, 221—238.

⁹⁾ Ib. 212; S-Mart., Mém. sur l' Arm. II, 65; Addit. à l' Hist. de la Géor., 1851, p. 51; Brosset, Voyage archéol., 3 Rapp., 63.

ნაპოლეონის აკადემიკოსის ბროსესაგან 1848 წ. ემილიანის მონასტრის ბიბლიოთეკაში და ჩართული მთლად მის მიერ თრანსცრიფტულ თხზულებაში Addition 5 a' l' Histoire de la Géorgie 1851 p. 1—62; და Voyage archéol., Rapp. I, p. 62—93 რომელი ხელს შედარებით ჩვენ აქართ. ცხოვრებასთან ცხადათ გვიჩვენებს, რომ იგი თითქმის სიტყვას სიტყვით მხოლოდ შემოკლებით იმეორებს უკანასკნელსა, მის დასაწყისიდან, დაკით აღმაშენებელად.

«ქართ.-ცხოვრების» პირველი ნაწილი, რომელიც მოკვითხრობს თარგამოსების გენეოლოგიას და ქრისტიანობის უწინარეს ამბებს, — ეჭვი არ არის, — დაწერილია ქრისტიანობის დროს. განიხილოთ, მაგალ. Hist. de la Geor.-ში, გვერდი 24, 28, 53 და 54 წიგნის შესუსტებაზედ საქართულოში, ებრაელთ გამოსვლაზედ ეპიპეტოდამ, მოკვითხრობასაზე იერუსალიმში, იესო ქრისტეს დაბადებაზე, ცხოვრებაზე და ჯვარ - ცმაზე და თქვენ დაწმუნდებით, რომ წარმართი ქართული ვერ გადმოგვცემდა ამ ამბებს შემოხსენებულის კილოთი. «ქართ. ცხოვრების» პირველი ნაწილი უნდა დაწერილიყო იმ დროს, როდესაც საბერძნეთის ლიტერატურას განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა. რომ «ქართ. ცხოვრების» პირველი აღმწერელი ემოციულობის ბერძნული ლიტერატურის ზედ-გავლენას, ამას ცხადად ამტკიცებენ ბერძნული დაბოლოებანი სახელებისა: თარგამოს, ქართლოს, მცხეთოს, მირჯანოს და სხვ., დაბოლოებანი, რომელნიც დროს განმავლობაში შეუთვასება ქართულ ლიტერატურასაც და მდაბიურს ენამაც; ქურთისტანის მთა იწოდება რკეთად ბერძნულის სიტყვის OROS-ის გამო. ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლის ამბავში ბერძნების მხედარნი იწოდებიან პრეტატო-

სებად; ჩვეულებრივს სახელს «ქართ. ცხოვრებაში» ხელსაწილს
ქვეს ბერძნულად ქართმა კლასიკოსს; მეფე რევი ირთავს ცო-
ლად სუიუდიას, ლოგოტეტიკოსის ქალს. ¹⁰⁾ ჩვენ ვფიქრობთ,
რომ საბერძნეთის გავლენა, რომელსაც მოვიხსენებთ, მოქ-
მედობდა ჩვენში სომხეთით. დამტკიცებულა, რომ სო-
მხთ ლიტერატურას პირველად იყო სირიისა და საბერძნეთის
ლიტერატურის გავლენას ქვეშ, რომ პირველი სომხური ქრო-
ნიკები მე-II და V საუკუნეებში შედგენილნი არიან სირიულსა და
ბერძნულს ენებზედ მარ.-აბას-კატინასაგან, ლერუბნასაგან, ბარდა-
სანისაგან და აგათანგისაგან ¹¹⁾. მე-V საუკ., რომელსაც ვიციით,
წმ. მესრობმა შემოიღო ერეკუნული სომხური ანბანი, რომელიც
შემდეგ შეიჭმნა სომეხთ სამწიგნობრო ენის განვითარების საფუ-
ძვლად. ამასვე დროს მესრობის მოწათყენი სთარგმნიან სამღთო
წერილს სომხურს ენაზედ განსაკუთრებით ბერძნულის ენადამ ¹²⁾.
იმის მოწათყენთა შორის სახელ-განითქვა მოსუ ქორენული
აკტორი «სომხეთის ისტორიისა», რომელიც ამ შრომის
შესადგენად ხშირად ხელმძღვანელობდა ბერძნულის წყაროებით.
მოსუ ქორენულის დროს საზოგადოდ ქრისტიანეთა მატრიანო
ეკლეს ტომ-ნათესავთ შთამომავლობის ისტორიას მოგვითხრობენ
ბიბლიის გარდაამოცემის თანახმად. იგივე ბიბლიის გარდაამოცემის

¹⁰⁾ Hist. de la Géor., I partie, 2 livr.; Intro-
duction, p. XXXIII; St. Martin, Mém. sur l' Arm.,
II, 182, n. a.

¹¹⁾ Langlois, Etudes sur les sources de l' Hist.
d' Arménie de Moise de Khorene в Мел. Asiat.,
IV, livr. 3, p. 295.

¹²⁾ lb.

შეიქნა საფუძვლად სომეხთა და ქართველთ გენეოლოგიასა ¹³⁾. ამ გვარად მარაბ-ახასის თხზულებაში ჩვენ ვხვდებით: «არმენაკის მამა ჭადვი იყო შთამომავალი თარგამოსის და იათუტისა. ¹⁴⁾ მოსე ქორენელის სიტყვით, «იათუტმა შვა ჭადვირი, ჭადვირმა თირასი, თირასმა თარგომი, თარგომმა ჭადვი და ჭადვიმ არმენაკი». ¹⁵⁾ «ქართლის ცხოვრება» თავის მხრით ამბობს: «თარგამოსი, მამა სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვავანთა, ჭურთთა და ლუკთა, მუკრულთა და ჭავჭავთა, იყო შვილი თარშისა, ძისა ავანანისა, ძისა ნოესი.» აქედამ ცხადად სჩანს, რომ სომეხნი და ქართველნი თავიანთ შთამომავლობას აწარმოებენ ნოესაგან—პირველნი თირასის და უკანასკნელნი თარშის შემწეობით, რომელნიც აჩის იგივე თირასი და რომელსაც, უნდა ვსთქვათ, ბიბლიურს გარდამოცემებში ვერ ვხვდებით. ამასთანავე სომეხთ თარგომი და ქართველთ თარგამოსი—ერთი და იგივე სახელ-წოდებას, მაშინ რომელსაც სხვა ტომნი ხმარობენ სახელ-წოდებას: თარგომი. უნდა ვიფიქროთ, რომ თირასი შეთხზულა სომეხების მწერლებისაგან და შეთვისებული «ქართ. ცხოვრების» აღმწერისაგან, — რომელსაც თავის მხრე ჩაურთავს ქართველნი თარგომის ჩამომავალთ სათაში. ამავ საგანზედ უნდა შევნიშნათ, რომ არც მოსე ქორენელი, არც მისნი მოწინავე და შემდგომი სომეხთ მწერალნი არას

¹³⁾ Renan, Hist. des langues semit., V, 27; Langlois, Collect., I, 16; Mél. As., IV, 3 livr., r. 310—311.

¹⁴⁾ Langlois, Collect., I, 16—17.

¹⁵⁾ Ib., II, 58.

¹⁶⁾ Langlois, Collect., I, 16; II, 58, 196.

ამბობენ ქართველების და სომხების ერთ-ტომობაზე. ¹⁶⁾ ამ საგანს უმჯობესად სომხების მწერალთაგანნი მხოლოდ მოსე კალანკატვაცი მე-X საუკ., ძველი მახიტარ ხელი და მე-XII საუკ., სტეფანოს ორბელიანი, მახიტარ აირივანელი და კარდან დიდი მე-XIII საუკ., მაგრამ ისინიც ამ აზრს, როგორც თვითონვე აფიქსიონებენ, ამყარებენ ქართულ მატრიანზე. ¹⁷⁾ ამას ისინიც რომ არ ამბობდენ, ეს ცხადია, რადგან მათ სიტუვა-სიტუვით აქვსთ ეს ამბავი «ქართ. ცხოვრებიდაძმ» ამოწერილი. ¹⁸⁾ ტომთა ერთ-მთაძომავლობის ერთს უპირველეს საბუთთაგანს წარმოგვიდგენს ლინგვისტიკა. ლინგვისტიკად უკვე გამოკვლეულია სომხური ენა და დამტკიცებულია, რომ იგი ეკუთნის არიულ ენათა ნათესაობას; რაცა შეეხება ქართულ ენას თავის მონათესავე ჭანურ-მეგრულსა და სვანურის ენებთან ერთად, რომელნიც ერთად ქართულ ენათა მოდგმას შეადგენენ, წინადა არიულ ენათა ჯგუფს აკუთნებდენ. ამ აზრზე იყვნენ დამყარებულნი ბოპში სანსკრიტულსა და ბრასე სომხურის ენის გამოკვლევაში. ეს აზრი ეხლა უარ-ყოფილია და თუმცა ეს საგანი მეტ-ნაკლებად დასკვნილი არ არის, მაგრამ მაინც მსწავლულთა უმრავლესობა უთვრთ იმ აზრისა, რომ ქართულის ენის მოდგმას

¹⁷⁾ Hist. de la Géor., I, 16 n. 1.

¹⁸⁾ შეადარე პირველს და შემდეგ გახადონებს «ქართ.-ცხოვრ.» ა) მახიტარ აირივანელი Mém. de l' Acad., VIII, № 5, p. 14—15; ბ) სტეფანოს ორბელიანი Hist. de la Siounie, I, 209—210 და St-Mart., Mém. sur l' Arm. II, 57, და გ) კარდან დიდის საზოგადო ისტ. გამოც. კიონისა გვ. 18. 115—116.

სძევს ხასიათი თურქანის ენათა ნათესაობისა.¹⁹⁾ უნდა კი ვთქვათ, რომ ამ აზრს ეხლა უფრო ადგიანან არხეოლოგები, კიდრე ლინგვისტები; პირველი ქართულისა და თურქანულ ენათა ნათესაობას აფუძნებენ იმ გარემოებაზედ, რომ ქართულების წინაპარნი გამოსულან სტენაზე თურქანულებთან ერთად. ხოლო თურქანული გამოვიდნენ შუა აზიიდან არიულებზედ ადრე და დასახლდნენ მცირე აზიაში ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არიუნი და მათ რიცხვში თვით სომეხნი ჯერ ვითომც არა სჩანდნენ.²⁰⁾

ვიძეოებით, შეიძლებაა არ შევნიშნოთ, რომ «ქართ. ცხოვრების» პირველ ნაწილს ეტყობა ცხადი ზედ-გაკლება სომხურის მწერლობისა, იმ დროს, როდესაც ბერძნული ლიტერატურის პატრიუ-ცემში იყო. ამის დასამტკიცებლად საჭიროა შეადაროს გაცმა «ქართლის ცხოვრების» ნაამბი ჭაიკანების დასახლებაზე მასისის სიხლადეს, და თარგამოსის ბრძოლისა ნებროთიანთ წინააღმდეგ, მარ-ახას მოთხრობას ამავე საგნებზედ და ამ შემთხვევაში ჩვენ დაკრწმუნდებით, რომ «ქართ. ცხოვრ.» თავისი ამბავი პირ-და-პირ მარ-ახას თხზულებიდან გამომდის და თავისებურად შეუცვლია. საქართველოს პოლიტიკური განწყობის ამბავი და საერისთავოების დაწესება მე-II საუგ. ქრისტეს დაბადებამდე პირველი მუშის თარხნავა-

¹⁹⁾ Ал. Цагарели, о грамм. литер. груз. языка, Спб., 1875, стр. 62—73.

²⁰⁾ Maspero, Hist. anc. de l' Orient., 236—238, 398; Jules Soury, Revue des Deux Mondes, 1873, 15 oct., p. 909—910.

²¹⁾ Hist. de la Géor., I, 16 — 19; Langlois, Collect., I, 18.

ზის დროს, უკვე აღმოჩნდა მრავალნი თქვენ მარ-ახას ამხანაგნი
ამ გვარსავე წესებზე, ას სამოცდა ათის წლის წინედ ქრ. დ. ს.
არქივების დინასტიის პირველის სომხების მეფის ვაგარშა-
ვისძიერ. ²²⁾ შემდეგ «ქართლის ცხოვრება» შეეხება, უმ-
თავრესის ღვთის არქანის ტაძარს, რომელიც იყო აშე-
ნებულნი ქართლის საფლავზედ მცხეთაში; ხოლო მოსუ
ქართველთა სომხების არქანის ტაძარი იყო ქ. კამახში ანუ
ანში, რომელიც არქივების გვარის სომხეთის მეფეს ქრ-
დათ სასაფლაოთ. ²³⁾ დასასრულ, «ქართლის ცხოვრებას» ამ-
ბავი წმ. რიფსიმეს ძეგნაზე და მეფის ტირდატის ეშვად ქცე-
ვაზე, უკვე აღმოჩნდა ამოწერილია მე-IV სსუგ. ისტორიულის
შრომიდგან, რომელიც ეკუთვნის სომხების მწერალს ავთანგს
და რომელიც თავის მხრით, რომელიც სამართლიანად ფიქ-
რობს ანგულა, მხოლოდ გადმოაკეთა ავტანტის ცნობილი
აგებდა იმპერატორის დიკლიტიანის ქალზედ ვალერიანზე და
მის ცოლზე პრისკაზე. ²⁴⁾

მიუხედავად იმისა «ქართლის-ცხოვრების» მოთხრობას
საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობის შესახებ..

... «მიუხედავად განძიერდენ სპარსნი, მზისა აღმოსავ-
ლეთიდან, ნათესავნი ნებროთისნი და გამოუჩინდა ნათესავთა

²²⁾ Hist. de la Géor., I, 40—42; Langlois, Collect., I, 46, II, 26.

²³⁾ Hist. de la G., I, 21, 22, 42; Langlois, Collect., I, 167; II, 106; Асогика, Всеобщ. Ист., изд. Эмина, стр. 262.

²⁴⁾ Hist. de la G., I, 95—97, 102; Langlois, I, 137 n. 1, 139—140, 150.

შორის ნებრთისთა კაცთა ერთი, გვირვი აფრიდონ, რომელ-
მან შეკრალ ჯანჯვითა ბუკრას ძე გველთა უფალი და დაახ-
მთასა ზედა, რომელ არს კაცთა შეუვალი. ესე ვითარცა წი-
რელ არს ცხორებათა სპარსთასა: აფრიდონ ეუფლა ყოველ-
სა ქვეყანასა სპარსთასა, ხოლო რომელთამე ქვეყანათა შეგზავნ-
ნა ერისთავნი, ხელადნი მისნი და რომელნიმე ქვეყანა მოხარკე
ყულ: ამან წარმოგზავნა ერისთავი თვისი, სპითა დიდითა, რომ-
ელსა ერქვა არდამ, შვილი ნებრთის ნათესავთა. მოვიდა
ქართლად და შემუსრა ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლ-
სანი და მოსრნა ყოველნი, რადუნა ხაზარნი ჭზოვა ქართლსა
შინა. ამან არდამ ერისთავმან აღაშენა ქალაქი ზღვის-გარს და
უწოდა სახელი დაწებანი «დახშა კარნი». და მანვე მოზღუ-
და მცხეთა—ქალაქი ქვით-ვირითა. და აქამდე არ იყო ქართლს
შინა საქმე ქვით-ვირისა, ამის გამო დაისწავლეს ქვით-ვირი. ამან-
ვე არდამ მოჰვიდა ვირით ზღუდე ციხესა არმაზისასა და აქეთ
მტკვრამდის და წარმოზღუდა ცხვირი არმაზისი, ვიდრე
მტკვრამდე: და ერისთავობდა ეკდონ მრავალთა წელთა. ხო-
ლო ოდეს განუყო აფრიდონ ყოველი ქვეყანა სამთა ძეთა მის-
თა, მაშინ რომელსაცა ძესა მისცა სახელად სპარსეთი, მასვე
ხვდა წილად ქართლი, რომელსა სახელად ერქვა ირედი. ხოლო
შემდგომად არდამ ერისთავისა, გარდაიცვალნეს ერისთავნი,
მიერიდგნ უცალო იქმნეს ძენი აფრიდონისნი, რომეთუ იწყეს
ბრძოლა ურთიერთარს და მოკლეს ორთა ძმათა ირედი ძმა
მათი. მაშინ ჭზოვეს ყამი ქართლსაიანთა.»

ეს აღგილი «ქართლის-ცხორებისა» ისე, რომელსათაც
სხვა აღგილები, ამტკიცებს, რომ ძველს სპარსეთს დიდ ხანს
ჭჭონია გავლენა საქართველოზედ. ეს გავლენა, უპირველთა თა-
მის კვალს დაახინკვდა ქართველების ცხორებასაც და ზნე-

ჩვეულებასაც. ზემოხსენებული ამბის უმთავრეს საფუძვლად, რეგულარულ ქართ.-ცხოვ. შპრ.-შია ცხად ჩრის ნათქვამი, შეიქმნა ისტორიის სპარსეთისა, რომელშია ცხად, ქართლის-ცხოვრების თქმით, ბევრი ტყუილია და ცოტა მართალია. რეგულარულ ქართ.-ცხოვ. შპრ., ისე ცნობილი თხზულება მე-XI საუკ. შატ-ნამე ერთგვარად მოგვითხრობენ სპარსეთის ძველ გარდამოცემას, ამისათვის ქართ.-ცხოვ. შპრ. ავტორს, თუ რომ მის ამბავი შეძლებს ჩრის ჩართული, უნდა ეხელმძღვანა იმავე წყაროებით, რომლებიც ხელ-ქვეშა ჰქონია იურდუსის თავის შატ-ნამეს დაწერის დროს. სპარსეთის უძველესი გარდამოცემანი ჩრის შეკრებილი, შატ-ნამეს გარდა, სპარსულ თხზულებაში, რომელიც დაწერილია ბოთ ჩრის გარეული მაგოლანისაგან «სპარსეთის ისტორიის ში» და რომელსაც უწოდებენ «დაბისტანად». დაბისტანის შემადგენელს სახელმძღვანელოდ ჰქონია იქსელეის ძველი მანუსკრიპტი და ზეპირ-გარდამოცემანი, რომელნიც გარდაუვალია მისთვის მოგსინ ფანისათვის ზოგჯერ უწინარესის სარწმუნოების საიდუმლოდ მალაობებულთ. დაბისტანი სპარსეთის ისტორიას ავსებობს ინდოეთის ისტორიასთან.²⁵⁾

რეგულარულ ინდოეთში, ისე სპარსეთში უძველეს უმთავრესს რელიგიურ კულტად იგი აღიარებს ჰანეკრთა თაყვანის-ცემას.²⁶⁾ ზოგჯერ მისი დაარსებული რელიგიის იყო მოგვთა სარ-

²⁵⁾ Malcolm, Hist. de la Perse. 1825, I, 267 et suiv.; Langlois, Voyage de Chardin en Perse, 1811, IV, 256; X, 152 et suiv.

²⁶⁾ Malcolm, H. de la P., I, 272, 275—276.

წმუნება ანუ ცეცხლთ-თაყვანის-ცემა.²⁷⁾ ამ სარწმუნოებას უზარდასტრო პირველად აფუძნებდა იმ ქვეყანაში, რომელსაც შემდგომ დაერქვა ადრახანდგანი სიტყვისაგან azerbaijan, ეს სიტყვა ფარსურ ენაზედ ნიშნავს ცეცხლს. იქვე აშენდა სახელგანთაძარი ცეცხლთ-მსახურთათვის, სახელ-წოდებით ადურ-გომასპ. იქიდანვე გაავრცელა მან ცეცხლ-მსახურება მთელ სპარსეთშიც.²⁸⁾ იქიდანვე ცდილობდნენ შემოეტანათ შემდგომში იგი სომხეთში და საქართველოში. დიდის ხნით წინ ქრ. შობ. ფეშდადიანის გვარის სპარსეთის მეფემ ჯემშიდმა გაჭყო მთელი თვისი სამეფოს ხალხი ოთხ წოდებად: პირველს შეადგენდნენ მართლმორწმუნენი და საზოგადოთ ისინი, რომელნიც მოკალენი იყვნენ გაავრცელებინათ ეს მორღვრება ხალხში; მეორეს მწერლები, რომლებიც აწარმოებდნენ სამეფო დავთრებს (АКТЫ); მესამეს — მხედარნი, მეოთხეს გაჭარნი და მუშაკნი.²⁹⁾ ეს წესი ჯემშიდმა ინდოეთიდან თურქე შემოიღო³⁰⁾. გმირი აფრიდონი, რომელმაც, «ქართ.-ცხლკ.» გადმოცემით, მიჯაჭვა მთაზედ ბერასპი, გველთა მბძანებელი, სპარსების გადმოცემით, იყო ჯემშიდის შვილი, აფრიდონი, გველთა მბძანებელი კი იყო უზლაკი, ცნობილი კიდევ ადუაკის ანუ დრაკონის სახელ-წოდებით, აგრეთვე სომხებში კეშაპად,³¹⁾ ქართველებში გველასპად.

²⁷⁾ Lenorman, Manuel d'Histoire ancienne de l'Orient, 1869, II, 307.

²⁸⁾ Malcolm, H. de la P., I 83—85; St-Martin, Mém. sur. l'Arm., II, 192 n. a.

²⁹⁾ Malcolm, H. de la P., I, 24—25.

³⁰⁾ Ib., 270.

³¹⁾ St-Martin, Mém. sur l'Arm., II, 190, n. a. b.

მთა, სადაც ბუკრასში იყო შემწევდულო, ირანულთ მიტურ გონძორაძისში ცნობილია ალბორჯის მთად, შემდეგში ელბრუსად და მდებარებს კასპიის ზღვასა და თეირანს შუა, გილანში და მანანდუკანში.³²⁾ «ქართ.-ცხოვ.»-ის იარკდი არის იარკჯი თურქიდუნის შვილი.³³⁾ «ქართ.-ცხოვ.»-ს კეკაზლასი, მაკნე სულის მიერ თვალებ დათხრილი ლეკეთში ანუ დაღისტანში, არის კაიკაზლი, ანუ კიასკარი, რომელიც სცხორობდა მე-VII საუკ. ქრისტეს დაბადებამდე. კიასკარმა, რომელიც მოგოთხრობენ, გაილაშქრა მანანდუკანზედ, მაგრამ, მანანდუკანის მეფის თხრობით, ღებმა სუფილმა თვალები დასთხარა და ციხეში შეამწევდია.³⁴⁾ აღმოსავლეთის უწინდელ მიტებში ღებები დაღ ცნობილია არიან. ინდოელი ბრამინები მათ ღმერთებად სთვლიან, სპარსელები — მაკნე სულებად. ისინი კითრი კაძის მთის კედლებში სცხორობდნენ, რომელსაც ხმელეთის შუა გული ადგილი უჭირავს და იქილამ დაეცემოდნენ ხელმე სხვადა-სხვა ქვეყნებს.³⁵⁾

ახლა ქართულების ცხორებას რომ მიუბრუნდეთ, ჩვენ ვბრუნებთ შემდეგს ნიშნებს ძველის სპარსეთის გაუგებისას. მრავალი სახელები, რომელთაც ვბრუნებთ შანგ-ნამეში და დაბის-

³²⁾ Malcolm, H. de la P., I, 35; Vivien de St-Martin, Nouveau Distion. de Géorg. Universelle, t. II, p. 166.

³³⁾ St-Martin, Mém. sur. l' Arm., II, 190, n. c.

³⁴⁾ Ib., 191, n. a.; Malcolm, H. de la P., I, 48.—50.

³⁵⁾ М. Хоренский, Ист. Арм., 256, 322, Malcolm, H. de la P., I, 115.

ტანში, ძველთაგანვე იხმარებოდნენ საქართველოში; ამ გუარნი
 აჩიან; როსტომი, მანუჩარი, ქაიხოსრო, ზურაბი, ბარამი,
 თეიმურაზი, ზაალი, გივი, ფარქმუზა და სხვ. სპარსეთში იყო
 ჩვეულება, რომ დიდებულთ შვილებს უცხო სახლში აძლევ-
 დნენ აღსაზრდელად.³⁶⁾ ამ ჩვეულებას ჩვენ საქართველოშიაც
 ვხვდებით, აგრეთვე ძველ სომხეთშიაც. საქართველოში ეს ჩვეუ-
 ლება გადაკარდა ამ საუკუნეში, თუძცა სამეგრელო-აბსაზეთში
 ახლაც შეჭხვდებით.³⁷⁾ წოდებანი საქართველოში, რომელთ
 არსებობა სტრახონძაც კარგად იცოდა, მოგვაგონებენ ჟემშიდის
 წოდებათა (კასტებს). პოლიტიკური წეს-წყობილება, რომლის
 შემოღებასაც «ქართ.-ცხოვ.» ფარნაოზს მიაწერს, რეგორც
 აქ, ისე სომხეთში, დამყარდა სპარსულის ზედ-გავლენით, რად-
 განაც სპასპეტი ფარნაოზისა იგივე სპარსეთის სიზავბედი და
 სომხების სპასპედი, ერისთავობა კიდევ-სპარსულივე სატრახობა
 იყო.³⁹⁾ საქართველოში არსებობდა აგრეთვე ერთ-გვარი სა-
 მარტალი, ესრედ-წოდებული «დუთის-სამარტალი». რომელიც
 არის მოხსენებული ინდიურ პოემაში რამაიანში და რომელიც
 ინდოეთიდან მიიღეს ძველად სპარსულებმა, ელლინებმა, შემდეგ
 გერმანიელებმა და რუსებმაც.

ეს სამარტალი ანუ განსაკუთრებული წესი გასამარტლე-

³⁶⁾ Malcolm. H. de la P., I, 55.

³⁷⁾ H. de la G., I, 48, 84, 290; M. Хоренскій,
 Ист. Арм., 292.

³⁸⁾ Amédée Terdieu, Geogr. de Strabon, Paris,
 1867, II, 405—406.

³⁹⁾ H. de la G., I, 42; St-Mart., Mém. sur l'
 Arm. I, 298 n. 1.

ბისა ის იყო, რომ ბრალდებულს მღუღანკე წყალში ხელი უნდა ჩაეყო ანუ განუკლებული რკინა აეღო. თუ ხელი დაეწოდა, გაამტყუნებდნენ, თუ არა და უბრალოდ აღიარებდნენ. ეს სამართალი ჯერ ჩვეულებასავით მოქმედებდა, ანუ ჩვეულებასეოდ იყო დამყარებული, ხოლო შემდეგ კანონ-მდებლობაშიაც იყო შეტანილი და დიდი ხანი არ არის, რაც გადაკარდა; გურიაში იგი მოქმედებდა, მაგალითურ, 1811 წლამდე. ⁴⁰⁾ თვით რელოგოურ კულტს ქართველებისას ეტყობოდა სპარსული გავლენა. «ქართ.-ცხ.» სიტყვით, უწინ ქართველები ბაშკებს სწირავდნენ მსხვერპლად კერპებს, მიტვალუბულებს კი არა ჭმარხავდნენ, სჭამდნენ. ⁴¹⁾ კაცის მსხვერპლად შეწირვა კავკასიულ ალბანელებში სტრახონსაც შეუძინებია.

ალბანელები დიდის ამბით ასრულებდნენ თურმე ამ წესს მთავარ ტაძარში, იბერიის საზღვარზე; მსხვერპლის ხორცს კიდევ დიდის მოწიწებით სჭამდნენ. ⁴²⁾ თუმცა კაცის მსხვერპლად შეწირვა ახალი ამბავი არ არის და უწინ ბევრ კულტს ხალხსა ჭჭონდა ჩვეულებად, ⁴³⁾ მაგრამ მისი არსებობა საქართველოში და ალბანიაში საუკუნოა და ჭსაჭირებს დამტკიცებს; მაინცა და მაინც იგი მოგვაგონებს ცნობილ კულტს, რომ-

⁴⁰⁾ Malcolm, H. de la P., I, 56; Alph. Rambau, Hist. de la Russie; 1878, 62, III; Бакрадзе, О доисторич. археологии вообще и Кавказской въ особенности. Тифлисъ, 1881, 71—72.

⁴¹⁾ H. de la G., I, 31, 77.

⁴²⁾ Strabon, II, 410.

⁴³⁾ Alphred Maury, La terre et l'homme, Paris, 1861, 488, 536—537.

მედიც სპარსეთში ზოლაკმა შემოიღო. ⁴⁴⁾ უზენაესი ღმერთი ქართველებისა არმაზი, სომხებისა არამაზდი, უპტკელისა არის სპარსების ღმერთი, წინამორბედგენული ძვისა და ცეცხლისა. რეგორც ქართველებს, ისე სომხებს ჭყვანდათ თავიანთი მოგობი, ამვის მსახურნი. ⁴⁵⁾ დეკნი, მოესკულნი ქვეყანაზედ უკლას ბოროტებისა და უწმინდურობისა, რომლებსაც სპარსული მიძი ჭხატავს ცეცხლის გველის სახით, ძაღვიან ხშირად იხსენებენ ქართლ-კახეთის ქართველთ გარდმოცემებში. ქართველი კაცის გონება ახლაც კი ჭსახავს დეკს ცეცხლის გველად — უკმაზად. იგი შეადგენს უმთავრეს საგანს სახალხო ზღაპრებისას, მას აქვს წამდენიმე თავი და შეიარაღებულია იგი ცეცხლის თვალებით და საშინელის გზილებით. იგი დაფრინავს ჭაურში, დრო და დრო ჩამოდის მიწაზედ, თან მოაქვს ელვას-ჭუნელი და აშინებს ხალხს. ⁴⁶⁾ თვით მიძთ ზოლაკზე ანუ დაბისტანის დრაკონზე, რომელიც არის მიჯაჭვული ალბორჯის მთაზედ, მოგვაგონებს სომხურ ჯეკუნდას არტავაზზე, ქართულს-ამირანზე. სპარსულ მიძში არიანი ანუ ამირანი იწოდება ღმერთად ბოროტებისა და მისთა მსახურთა, დეკებთა, და ღმერთისა — ამ ცეცხლსა და ქვეყნის შემოჭმედის და უკულ ღმერთების მამისა მოქმედებდა. ჯეკუნდა ამირანზე სსქართველში ახლაც ისეთია, რეგორც იგი იყო მე-V საუკ. სომხეთში. ამოხუც-

⁴⁴⁾ Gobineau, Hist. de la Perse, Paris, 1869, I, 43—46, 272—274.

⁴⁵⁾ H. de la G., I, 33, 34, 100, 101; St-Mart., Mém. sur l' Arm., I, 306.

⁴⁶⁾ Бакрадзе, О доистор. археол., 69.

⁴⁷⁾ Исторія Арменіи, 130.

ნი დელაკაცნი მოგვითხობენ არტავაზზე, ამბობს მოსე ქორენელი, რომ იგი შეკრულია რკინის ჯაჭვებით და დამწყვდუელია რომელიღაც კლდეში, რომ ორი გოშია დაუსრულებლად ჭრნიან მისჯაჭვებს, ისიც ცდილობს გამოსვლას განთავისუფლებას და ქვეყნიერობის ბოლოს მოღებას, მაგრამ მჭედელი რომ კვირს დაჭკრავს, ჯაჭვი ისევე მთელდება. ამიტომ, ჩვენ დროში, ახლავთ ქორენელი, ზოგიერთნი მჭედელნი, ლეგენდის მიხედვით, ჭსტემენ კვირს გრდემლს, რომ არტავაზის ჯაჭვი გამოთელდეს». ⁴⁷⁾ ქართული ლეგენდა ამას მხოლოდ უმატებს, რომ კვირის დაკვრა საჭიროა ერთხელ წელიწადში, სახელდობრ, დიდ შარასკვეს. ამავ ლეგენდას, ცოტა გადასხვავებულს ვხვდებით რსებშიაც და სვანებშიაც. სვანების სიტყვით, ამიწანი იყო მოგზაური, გამოსული ეკვიპტედამ. ⁴⁸⁾ რსების წარმოდგენით კიდევ, რომელიც ემზავსება ზრამეტულის მიძს, ვიღაც მაგრად შეჯაჭვული ტყვე არის იაღბუზის კლდეში და მის გულს სწიწკნის დაუსრულებლად ქორი... ⁴⁹⁾

კათავებთ ამ წერილს და საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ ჩვენ აქ არც ქართულების გარდამოცემათა დაწვრილებბულს განხილვას გავუკებთ, არც შავი ზღვის საბურძნეთის გოლანების და ქართულთა შორის ურთიერთობის გამოძიებას, არც იმათ მნიშვნელობის განმარტებას, რა მნიშვნელობასაც ქართულთა მატრიანნი მიაწერენ ევროპულ მწერალთ სკვიტებს ხაზარებს და აგრეთვე არც მიდიდამ მომდინარეობას რსებისას

⁴⁸⁾ Зап. Кавк. отд. Геогр. общ., кн. VII, Путешествіе Радде, стр. 133.

⁴⁹⁾ Дубровинъ, Исторія войны и владыч. русскихъ на Кавказѣ, Спб., 1871, I, 326—329.

შეკვებით. ყველა ეს აშბები მოხდა ისტორიულ დროში და მათ აღვიწად არკვევს ისტორიული ანალოზი. აღვნიშნავთ მხლელად შემდეგ ფაქტს. განთქმულმა ორიენტალისტმა სენ-მარტენმა «ქართ.-ცხვ. გადმოცემას ბერძნებზე მიაწერა განსაკუთრებული მნიშვნელობა. მის სიტყვით, «საბერძნეთის ისტორიკოსებმა არ დაგვიტოვეს არავითარი ცნობანი იმის შესახებ, შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირების ბერძნები ეომებოდნენ თუ არა გაკასიის მცხოვრებულთ. მხლელად «ქართლ.-ცხვ.»-ში ვხვდებით ჩვენ ამ ცნობათა, რომელნიც შესანიშნავნიც არიან და დასაჯერნიც». ⁵⁰⁾ ამ გვარსაკუ მნიშვნელობას მიაწერენ ევროპიულნი მსწავლულნი «ქართ.-ცხ.» ცნობას, რომელიც შეეხება ხაზარებს და ოსებს. ⁵¹⁾

დომ ბაქრაძე.

⁵⁰⁾ Mém. sur l' Arm. II, 190, n. e.

⁵¹⁾ Dubois, Voyage autour du Caucase II, 2—5 26; IV, 354—362, Vivien de St-Mart, Recherches sur les populations du Caucase, 149—152.

X სახალხო ლექსები.

სოფლიდან ბრძენმა მამინ სთქვა: შენ, ღმერთო, გამაჩინა!
ოქროს გვირგვინი დამადგი; არა ვარ მეფე მტრია:
ქვრივი ვახარე, ობოლი, ბრძას აუხილე თვალია;
შვიდი წლის გამხმარ მამალი ხეს შეესვი შევაყვლია,
მინდვრის მწვერსები დაუზარდე, ჩრდილს ქვეშ დაკაძინა.

ღმერთთან ხომ იტის, გუთანო,
თქვენი მიღეუნა ძნელია!
უნდა გიგრიხო წნელები,
ღამე გაუტეხო ბნელია.

მთასა თოვლი უთოვლია, ბარსა დაუბარებია,
ღელა შენსა შენი თავი ჩემთვის ჩაუბარებია.

წუთი-სოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ ჭ სხვა დარჩება
კარგი ვსოთ და კარგი ესტამოთ, ამის მეტი რა გაგუებთ?!

ყაყახისა სიწითლითა უანა დაუმშვენებია,
უმაწვილსა კარგის სწავლითა სახლი გაუხარებია.

ათონდი, შავო მერცხალო, დაჭეუ არაგვის ჰიჩსაო,
ომი არ გაუჭირდება შენი ღელ-მამის შვილსაო!

თრიალეთს უარყოფებს დაკვირვებანი
 თითონს მოუკლავს შვიდ-შვიდი, ბიჭობა იმით ჭკვიანო!

ნეტავ მოკვდეს მე ხის ძირსა, ფურცელი დამედინოსა,
 მოვიდეს ქალი ღამაში, ზედ ცრემლი დამაყაროსა.

რა გენაღვლება იქროლას ზენა ქარმა და ქვენამა,
 ვგობი ერთად შეგოყაროს ჩვენმა ბუდმა და წერამა.

სანთლის გუთანს ავამუნებ, შიგ შევახამ ულელ მღევსა,
 ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ, მშრალათ ვინადირებ თევზსა.
 — უინუღზედ ვაღას გაუღეწამ, მშრალათ გადაყურდი ბზესა
 ჭინჭველას გოდორს აკვირებ მღევებს დაყურდი ბზესა.

უწყლად, უღვინად, უზურად
 ანაძი ანას დრას იწირვის;
 თუ ვაღსა ღმერთი ან აძლევს
 უჭმია, რასაც იჭირვის.

პედაგოგიური მოსაზრებანი.

«არითმეტიკა», სახელმძღვანელოდ სოფლის სასწავლებელთათვის,
შედგენილი მიხეილ ზაალოს-ძის ყითუიანისაგან. თბილისი 1884 წ.

არითმეტიკის მეთოდის ეხლა იმდენად შემუშავებულია, წიგნები სახელმძღვანელოდ იმდენია და ისე მარჯვად შედგენილი (ეკონომი, რასაკვირველია, და არა ჩვენში), რომ ისინიც კი, ვისაც არ მიუღიათ სპეციალური პედაგოგიური განათლება, ისინიც კი, ვინც საესტატოდ არ მომზადებულან, მარჯვად ხერხებენ ბავშვების სწავლებას. რომელიც სოფლის მასწავლებელი არხანგელის გუბერნიისში ხმარობს თითქმის იმ გვარსავე მთავარ ხერხებს არითმეტიკის სწავლებაში, რა გვარებსაც პეტერბურგში ეკრუშევსკი—შემდგენელი ვრცელი და საუცხოვრ არითმეტიკის მეთოდისა. — ნემეცების გამოჩენილ პედაგოგების — პესტალოცის, გრუბეს, დისტერვეგის სახელი ჩვენშიაც ყველას ეჭნება გაგონილი. ამათი წყალობით ყოველი საგნის მეთოდები საკმაოდ შემუშავდნენ, მაგრამ არითმეტიკისამ კი ყველას გადააჭარბა. დღეს ყოველი ნაბიჯი არითმეტიკის სწავლებაში გაზომილი და მოსაზრებულია და ფსიხოლოგიურ ჭეშმარიტებაზედ დამყარებული, მაშინ რადესაც სხვა საგნებში დასაძთავრებული, საკამათო და გადასაწყვეტი ჯერ ბოლომად მოიპოვება. არითმეტიკის ამ გვარი წარმატების მიზეზი უბიკველესად თვით ამ საგანშივეა. მათემატიკა ისეთი

ბედნიერი საგანია, რომ მისი ჭეშმარიტებანი, მისი ფორმულები ერთი მეორედან ისე ნათლად გამოდინარეობენ, ისე ჟუკლასთვის თვალ-სახინონი არიან, რომ აქ კვების შემოტანას ჭეშვიანი გაჭბუდავს. ყოველი კრი, ყოველ საუკუნეში და ყოველ ალავს აღიარებდა, რომ თქვენი მრჩეველი მრჩეველია, ათს რომ სამი გამოკვლავთ, დაჩქება შეიღი, რომ მთელი მეტია თავის ნაწილზე და სხვ.

ხელთ, ვიდრე მეთოდია არითმეტიკისა დღევანდელ თავის სისრულეს მიაღწევდა, ბევრი დაბრკოლება დახვდა წინ. მის შემუშავებაში ყველაზე მეტი ღვაწლი მიუძღვით ნემეცებს. ნემეცური სკოლა არითმეტიკის მეთოდის წრდაში აღნიშნავს სამს უმთავრეს ხანას. უზირველესმა და უბნელესმა მათგანმა, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, გასტანა მე-XVIII საუკუნის დამლევამდის, ესე იგი იმ დრომდის, ვიდრე პედაგოგიურ ასპარეზზე გამოჩნდებოდა ისეთი ცხოველი ვარსკვლავი, რომელიც იყო ჰენრიხ პესტალოცი, რომელმაც თავისი ცხოველმყოფელი პედაგოგიური პრინციპებით მოჭვირა ნათელი ჭეშმარიტი ყოველი საგნების მეთოდებს საზოგადოდ და არითმეტიკისას გერძოდ. მეთოდია რომელიც საგნისა იმ დროს, სწორედ რომ ვსთქვათ, არც კი არსებობდა. მასშინდელი პედაგოგები არ სდებდნენ საზღვარს საგანსა და იმეუ სახელის მეცნიერების შუა. არითმეტიკას ისინი ასწავლიდნენ, რომელიც მეცნიერებას. აქ იყო იმათი უმთავრესი შეცდომა. ისინი ბავშვის პიროვნებას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, იმათთვის ერთი იყო, შეეფერებოდა, თუ არა ბავშვის ნორმ ტვიანს დოქტორიური გარდაცემა სქემებრივად განწყობილი არითმეტიკის მასალისა. იწყებდნენ განმარტებოთა და ფორმულებით და ათავებდნენ მითივე. თავიანთი შესუდულობით არცა სცდებოდნენ.

მართლაცა და, თუ სასწავლო საგანი წარმოადგინეთ იმავე სახელ-წოდების მეცნიერებად და ვაღვიარეთ, რომ ეს უკანასკნელი არ დასდეს არც წიგნობას, არც მომზადებას, რომ მას თავისი სასტიკი სისტემა და მეთოდი აქვს—მასშინ ჩვენც იმ პედაგოგებსავე მოვიქცეოდით. ამ მეთოდაზე სწავლებით ვატყვინებ უფლებდნენ და ათასში ერთი ძლივს იგნებდა საგანს, დანარჩენს უნიჭობებს ეძახდნენ, რომელთათვისაც, ვითომ, თვით ღმერთს არ მიუცია ანთიმეტიკული გონება. დღეს, ღვთის მადლით, ამ გვარს მოსაზრება უარ-ყოფილია და დადგენილია, რომ თუ ბავშვს ვერ შეაგნებინეთ რომელიმე საგანი, უეჭველად, ან თქვენვე მეთოდსა უვარგისი, ან თითონ თქვენვე ბმანდებით მოუმიზადებელი რსტატი და ბავშვი არათუკ შუაშია.

იმ მეთოდით ვი, რომელსაც უმაწვილს პირდაპირ ურთმელო რიტხვებზედ ფორმულების გამოყვანას სასწავლო, საკვირველი არ არის, რომ ყველა თქვენი მოწათენი ერთ დღეს უნიჭონი აღმოჩნდნენ.

* * *

პესტალოცის პედაგოგიური პრინციპების გამოქვეყნება და ამ მიმართულების ისტორიისადმი ჩაბარება ერთი იყო. ვიდრე-ვიდემდე გადის მძლავრი ხმა ამ შუიციარული პედაგოგისა და მოახდინა ყველა საგნებში რადიკალური რეფორმა. უმთავრესი მისი პრინციპი სწავლის შესახებ მოკლედ ასე გამოიხატებოდა: ა) მთელი ძალა სწავლისა საგნის მასალაში ვი არ არის, მეთოდშია, ბ) ყოველი ჭეშმარიტი სწავლა უნდა იქმნას ხელმე აღძრული და გამოწვეული თვით ბავშვის მიერ, მისი საკუთარის ბუნებით და გ) დაკვირვება, თვალ და თვალობა არის აუცილებელი საფუძველი ყოველი სწავლისა. ამ გვარს პრინციპები უმნიშვნელოდ ვერ დაჩიებოდნენ. ანთიმეტიკის სწავლე-

ბის მეთოდსა და ძირითად შეიცვალა. წინადადებითი სს-
 თუძულებად ითვლებოდა ურთმელო რიცხვი, თუ რამეა, წინადა-
 დებითი; პესტალოცის სკოლაში შემოიღო რეპროდუქციის თვალსა, ან-
 გარში; წინადადებითი სს-სა, რეგულარული მუცნიერებისა,
 იწყებოდა ადამიანში, პედაგოგებმა ეს პლანი უარ-ჰქვეყნეს, და-
 იწყეს იქიდან, რომ «რამ და რამ — მთხიანა», მუცნიერების
 საგნად გადასწავლეს, შეუთქმეს ბავშვის წყევანობას, მისი ან-
 სება მხედველობაში მიიღეს და მასწავლეს ისე ურჩევდნენ და
 უდიდებდნენ, რეგულარული თვით ურმა გონებით მაგნიტობა და
 იწმინდებოდა. ამისი უდიდესი მნიშვნელობა პესტალოცისა და
 მისი სკოლისა. წინადადებითი სკოლის მოწინააღმდეგე ურთმელო რიც-
 ხვის მეტი არა იცნობდა-რა. იმას მარტო მშრალ რიცხვითანა
 ჰქონდა საჭმე, მაგრამ იმავე უხეირო მეთოდის წყევანობით ხში-
 რად ეს წარმოდგენას ეკარგებოდა. მაგალითებზე, რიცხვის 15-ს
 ცოდნა იმასა ჰნიშნავს, რომ ჩვენ ნათლად გიქონდეს წარმოდგე-
 ნილი მისი ანსება, რომ ის არის მხოლოდ შემკრებულობითი
 სახელი რამ სხვა რიცხვებისა: 14 და 1-სა. 14 კიდევ არის
 13+1. საუბედურად, მეთქი, მოწინააღმდეგე ხშირად ეს წარმო-
 დგენას ეკარგებოდა, მთელი სწავლის მეტის-მეტი ურთმელო-
 ბით, მის გონებაში რიცხვს და ციფრას შორის განსხვავება
 აღარა ჩნებოდა. ის ამბობდა «რამ» და ამავე დროს მის გონ-
 ებაში არავითარი სხვა წარმოდგენა არ იღვიძებდა, გარდა ნიშ-
 ნისა, ციფრისა 20. ამავე მიზეზით იმას მხოლოდ გათუთი-
 ყუშებულად ჰქონდა, რომ 25+6 არის 31 და შინაგანი ან-
 ში მოჭმელებისა კი არ ესმოდა.

ამისათვის პესტალოცის სკოლას ძველ მეთოდსთან ურ-
 თად აღარ მოსწონდა თვით ციფრაც, ნიშანიც. ახალი პედა-
 გოგები რიცხვის წარმოდგენას აძლევენ თვალ-საჩინოდ.

ბავშვი, რომელსაც ამბობდა 10 და 8 არის თვრამეტი, ამავ დროს ათ ბურთს, სიმინდს, კენჭს, სულ ერთია, უმატებდა 8 ბურთს, კენჭს და სხვ. ეს ცდილობდნენ რომ მოწაფეს უტყუარი წარმოდგენა ჭეხნოდა ყოველ რიცხვზედ — აქედამ გამოდოდა დაუბოლოებელი, ხშირად გადაჭარბებული სათვალ-დათვალე აზვარიში. რომ რიცხვსა და ციფრას შუა დიდი ზღვა-რი დაედოთ, როგორც მოვიხსენეთ, ციფრას სრულიად გადააგდეს, მთელ ანთმეტიკას ზეპირად სწავლობდნენ და მხოლოდ იშვიათად თუ დასწერდნენ რიცხვს — ისიც ასრებით.

მკითხველი ჭხედავს, რომ პესტალოცის სკოლა ერთი უკიდურესობიდან მეორეს ეტა. წინაჲ ბავშვებს აღჩნობდნენ სისტემატური მუცნიერებით. ფორმულებით, ციფრებით. ამათ კიდევ მუცნიერება — ანთმეტიკა სრულიად უარ-ჭყვეს. საგანს ერთ-ნაირი პრაქტიკული ხასიათი მისცეს. ანთმეტიკის ჭეშმარიტებისანი წალაც სათამაშოდ გადააქციეს. პირველნი იმაში სცდილობდნენ, რომ ანთმეტიკა — მუცნიერებას პრეპედეკტიულ გურსს არ ატანდნენ. მეორეებმა ანთმეტიკა მთლად პრეპედეკტიკად გარდააქციეს. ამათ ხელში ბავშვი სწავლობდა სრულ ანთმეტიკას, ზეპირად ახსნიდა ყოველ გარ დამოკიდებულუბას რიცხვთა შორის და ამავ დროს მარტივ ფორმულას ვერ გამორკვევდა. ცოტათი რთულ სარკვევს, სადაც რაიმე ფორმულის ცოდნა იყო საჭირო, ისინი ახლაც ვერ მიუდგებოდნენ. ამათ ანთმეტიკა გაჭყვეს რამდენსამე გურსებად. მაგრამ ერთის მთელის ნაწილების შუა აზვითარნი სისტემა არა სუფუკდა; ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან სისტემა მუცნიერების გუთვნილება და ესენი კი ამ უკანასკნელს არ აფასებდნენ ჟურფანად; პრეპედეკტიულს გურსს და სისტემას ურთიერთ შორის არ აკავშირებდნენ.

ერთი და უგანასკნელი ნაკლულებების კიდევ პესტალცის სკოლისა ის იყო, რომ სარკვევებს ერთობ მცირე ადგილი ჰქონდა მიცემული სწავლაში. სულ დაუსრულებელი «20 კაშლი და 17 კაშლი, 15 ფუთი და 16» მეთობდა.

ასეთ ყალბ გზას დაადგა დიდი პედაგოგის სკოლა. სხვათნაირ სწავლის მსკლავობა ყოველად შეუძლებელიც იყო. პესტალცის და მისი თანამოაზრენი, აღუვებულნი დოღმატიური მეთოდის უგანასკნლობით, ვეღარ ახერხებდნენ ეზონათ რაიმე შემართებელი ძატი ძველსა და ახალს სწავლას შუა. ძველი სწავლა ზიზღის მეტს არას იწვევდა უგანასკნელთ შორის და აბა აქ ან კი რაგორ შეიძლებოდა ფიქრი შერიგებაზედ. ამისთვის საჭირო იყო დაწინაწილებული, აუჩქარებელი ფიქრი და სჯა შთამომავლობისა, მიუდგომელი განხილვა ძველი და ახალი სწავლისა, შედარება მათი და ამოკრება რიკუდგან იმისი, რაც საუკეთესო იქნებოდა.

**

მასწავლებლად მესამე ხანისა არითმეტიკის მეთოდის ზრდაში იყო სახელგანთი პედაგოგი დისტერვეგი. ხელს ეს მეთოდიკა სისტემატიურად შეამუშავა და დაადგინა მკვიდრ საფუძველზედ გრუბემ. გრუბეს მეთოდი არის უგანასკნელი, ყველგან მოწონებული და საყოველთაოდ სახმარებელი მეთოდი. რუსეთში გრუბეს მიმდევარნი ბევრნი იყვნენ, მაგრამ ყველაზედ კარგი სახელმძღვანელოები გრუბეს მეთოდსზე შეადგინეს პაულსონმა და ეკტუშევსკიმ. მეტადრე ამ უგანასკნელმა. ვინ არ იცის, რომ არითმეტიკის სფეროში მთელ რუსეთში ეხლა ეკტუშევსკის სუფევას, რაგორც დედა-ენისაში განთქმული იურაქსიმდის და არის დღესაც, უშინსკის ავტორიტეტი. (ამ უგანასკნელს დროს ცოტათი ირყევა გამორჩენილი პედაგოგის სა-

ხელი). ჩვენ არას დავაშავებთ, რომ გრუბერად ლაპარაკში ეკ-
ტუშეკის სახელიც ვიხმაროთ, რადგან უკანასკნელის მეთოდს
არის სრული ძეგლგრაფიული სურათი პირველისა. გრუბერ
მთელი არითმეტიკის გურსი ჯერ რა დიდ ნაწილად გაჭყო:
პროპედეკტიული და სისტემატიური—და პირველი, რასაკვირ-
ველია ისწავლება მეორეს უწინარეს, უმზადებს მასალას, ითვ-
ლება შესამზადებელ გურსად და ამავე დროს მასალა არითმე-
ტიული ისე ხერხიანად არის დაწყობილი, რომ წარმოადგენს
სრულს არითმეტიკას მინიატიურულს სახით. თვით ნაწილებიც
პროპედეკტიული გურსისა წარმოადგენს თითქმის სრულს არი-
თმეტიკას, აშენებულს მცირე მასალაზედ. მაგალითებზე, ბავშვმა
შეისწავლა რიცხვები 1-დან 10-მდე. იგი ამავე რიცხვებზედ
სწავლობს ყველა მთხ არითმეტიულ მოქმედებას და არა ერთს
რომელსაში. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის-
თვის. ახალ მეთოდზედ ნასწავლ ბავშვმა რომ ერთი წლის
უკან (ამ ხანში ის გაივლიდა რიცხვებს 1-დან 20-დის) დას-
ნებოს სკოლას თავი, რაიცა ხშირად ხდება ხოლმე, მეტადრე
სახალხო სასწავლებლებში, იმას გააქვს სკოლიდან არათუ მარ-
ტო შეკრების, ან გამოკლების ცოდნა, როგორც ხდებოდა
წინად, არამედ სრული, დამთავრებული ცნება თითქმის მთელს
არითმეტიკაზედ. როდესაც იმან ყოველგვარი დამოკიდებულება
რიცხვთა შორის 1-დან 20-დე იცის, როდესაც იმას ამ რიცხ-
ვებზედ ბევრი სარკვევები უკეთება, მას შეუძლიან თავისუფლად
ანგარიში მომართვებულ რიცხვებზედაც, შეუძლიან ეს ერთი წლის
ნასწავლი ცხოვრებაში გამოიყენოს. ადრინდელ მეთოდზედ ნა-
სწავლ შეგირდს ერთი წლის უკან უნდა სცოდნოდა მარტო
თუთიყუშივით გაზეპირებული თქვას 1-დან მილიონამდე დ-
მეტიც. ხოლო ეს ცოდნა და მასზედ წასული დრო მისთვის

სრულებით მუქთი უნდა ყოფილიყო. აქ არის ერთი დიდი ღირსება გრუბეს და ეკტუშეკსკის მეთოდისა.

შემდეგ რძენი არომეტიკის მასალას ჭყოფენ ასე.

პირველი კურსი: შესწავლა რიცხვთა 1-დან 10-დინ პირველი გაკეთისას შინაარს შეადგენს რიცხვი 1, მეორისას 2 და სხვა ამ რიგად. მეთოდის საფუძველს «რიცხვთა შესწავლა» შეადგენს. გრუბეს აზრით, სულ უკანასკნელი რიცხვი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს თვალ-საჩინოდ, ადვილად წარმოსადგენად და გასარჩევად, არის 100. შემდეგი რიცხვები შეისწავლების პირველეთან შედარებით. ამიტომ პირველი ასის ყოველი რიცხვი უნდა იყოს ცალკე განხილულ, დაკვირვებულ, რადგან ისინი შეადგენს საფუძველს შემდეგი ანგარიშისას. მოქმედებანა არომეტიკისანი გრუბეს სკოლას გამოტყავს თვით რიცხვთა განხილვიდამ. აქ ვერ ვხედავთ სათაურებს—მითვლა, გამოკრება და სხვ. ყოველ რიცხვზედ უკვლავ მოქმედება სრულდება მის ყოველმხრივ შესწავლის დროს.

ამის შემდეგ გრუბეს სკოლას დიდ ყურადღებას აქცევს, რომელიც საზეპირო სწავლას, აგრეთვე წერითადს, ერთი მეორეს ესენი ჭმეკლიან, ერთგვარად უახლოვებენ სასურველს საგანს—ანგარიშის სწავლას. გრუბესაკე სკოლას არ გამოყოფილდება მარტო ცარიელი რიცხვის შესწავლით; მას, რომელიც პესტალოცისა, არ გამოყოფილებს მშრალი, «ორჯულ ექვსი თორმეტი». იგი ამბობს, რომ ეს ცოდნა და საზოგადოდ უკვლავ ცოდნა მხოლოდ მაშინ არის სასარგებლო, როდესაც ცხოვრებაში გამოდგება. ცხოვრებაში კი იშვიათად შეხვდებით «ორჯულ ხუთს»; აქ მოგინდებათ გაიგოთ უფრო ხშირად, «რამდენი მანათი უნდა აძლიოთ თვეში, რომ რცა თუძანი ვალი ხუთ წელიწადს გადაიხადოთ» (მეტადრე ქართულ კაცს უნდა

ამ გვარი ანგარიშის ცოდნა.) აქედამ ცხადია, რად აქცევს გრუბეს სკოლა დიდ ყურადღებას სარკვევებს რიცხვი მხოლოდ მაშინ არის სრულიად შესწავლილი, როდესაც მას, როგორც ცალკე, ისე გადევ სარკვევში გეზურობით, ვხმარებით შეგნებულად, თავისუფლად.

მეორე კურსი: შესწავლა რიცხვებისა 10-დან 100-დან. უმთავრესი კანონები შესწავლისა ამ კურსში არიან იგინიკე, რაც პირველში იყენენ. ხერხი სწავლებისა აქაც ისევ გატეხიზური ანუ ვითხვა-მიგებითა. აქაც, როგორც საზოგადოდ სრულ პრაქტიკულ კურსში, ბავშვმა არ იცის, რა არის სახელმძღვანელო. წიგნი ეძლევა ხელში მხოლოდ სისტემატიურ კურსის შესწავლის დროს. აქაც «რიცხვთა-შესწავლა» გვირგვინდება ძრავალი სარკვევების ახსნით.

მესამე კურსი: ნუმერაციის ყოველი რიცხვისა, ელემენტარული კურსი მარტივი ნაწევრებისა და მთხი არითმეტიკული მოქმედება სახელ-წოდებულ რიცხვებზედ.

ამითი თავდება ელემენტარული კურსი არითმეტიკისა, ამითივე თავდება არითმეტიკის კურსი სახალხო სკოლაში. შემდეგ ამისა საშუალო სასწავლებლებში იწყობა სისტემატიური კურსი. ეძლევა ბავშვს ხელში სახელმძღვანელო და ამ უკანასკნელით მიდის სწავლა; მასწავლებელი უხსნის სახელმძღვანელოდამ ერთ ადგილს, ბავშვები ამას ისმენენ, იკებენ და შემდეგ ამზადებენ ამ გასაკვეთს წიგნში. იწყობა არითმეტიკა ისევ თავიდან და სისტემატიურად ისწავლების ბოლომდე, გამოუკლებლად და შეუცვლელად. აქ მასწავლებლის ხერხი მხოლოდ იმაში-და მდგომარეობს, რომ მან ასე თუ ისე, მხოლოდ ხერხიანად ახსნას არითმეტიკული მასალა, რომელიმე ფორმულა, და არამც და არამც განუმატებელივ არა დაჯერებინოს რა მოწაფეებს. არითმეტიკა

ეჭვარება, როცა შეუგნებლად სჯერათ მისი ჭეშმარიტებისა. იმის საყვარელი კითხვები არიან: რათა? რისგამო? რაღა მაგრე და არა ასე? და სხვანი.

*
*
*

ანთმეტრიკა, რომლის სათაური ზემოდ ამოვწერეთ, არის შედგენილი გრუბესა და ეკტუშეკსკის მეთოდისგან. ამ მიზეზი, რომ ეს წიგნი ისეთ სასიამოვნო შთაბეჭდილებას აწარმოებს მდინარე გადაფურცლის დროს. ამ პირველმა შთაბეჭდილებამ ერთი ჩვენი კრიტიკოსთაგანი ატრაცებაში მოიყვანა და წარმოათქმევინა ის წინ დაუხედავი აზრი, ვითომც ამ გვარი ანთმეტრიკის სახელმძღვანელო თვით ევროპაშიაც არ მოიპოვებოდეს. მაგრამ სასახელო იქნებოდა ჩვენთვის, რომ ეს სიტყვები კრიტიკოსისა მართალი იყოს. ჯერ კიდევ მოუძინებულნი ვართ იმისთვის, რომ ჩვენში ვინმემ ახალი მეთოდი მოიგონოს. მაინცა და მაინც მე აქ გაჩვენებთ ბატონის ყიფიანის და ეკტუშეკსკის მეთოდის ნიმუშს და გთხოვთ შეადაროთ. თქვენ კი ანთმეტრიკის გურსს იწყებენ გრუბეს მიხედულობით «რიცხვთა შესწავლიდამ», ჯერ 1-დან 10-დან, შემდეგ 10-დან 100-დან ხეჩებს სწავლისას, რომელთაც ეკტუშეკსკი ხმარობს, თქვენ თითონ დაინახეთ იმ პირველ გაკეთილიდამ, რომელსაც აქ ქართულად თარგმნით ამოვწერეთ მისი «ანთმეტრიკის მეთოდიდამ».

ეკტუშეკსკის მეთოდისგან გაკეთილი პირველი.

რიცხვი ერთი.

აჩვენებს მასწავლებელი შაგირდებს ერთს კუბიკს და ჰკითხავს: «რამდენი კუბიკი მაქვს?» — ერთი. იღებს მეორე ხელში რამდენსამე კუბიკს და ჰკითხავს: «ამ ხელში რამდენილა მაქვს?» — ბევრი, რამდენამე.

«დამისახელოთ აქ, კლასში, ისეთი საგანი, რომლის გვარიც რამდენიმეა?»

— სკამი, თანჯარა, კედელი, რვეული, ყარანდაში, გრიფელი, შა-
გირდი და სხვა.

«დამისახელეთ ისეთი საგანი, რომელიც აქ ერთია მხოლოდ?» —
ჭერი, იატაკი, ხატი, ოსტატი და სხვა.

ეს კუბიკი რომ შევინახო ფიბეში, რამდენი კუბიკიღა დამრჩება
ხელში? — არც ერთი. რამდენი კუბიკი უნდა ავიღო ისევ ხელში, რომ
მქონდეს ისევ ერთი? — ერთი. ამოიღეთ თქვენი დათვები, გაუსვით ერთი
ხაზი.... და სხვა ამ გვარად ყველა გაკვეთილები.

შეადარეთ პირველი გაკვეთილი ქართული ზრითმეტრიკიდან.

ბ-ნი ყიფიანი სწერს:

მასწავლებელი აჩვენებს შეგირდებს ერთს მარცვალს ლობიოსა,
ანუ ერთს კაკალსა, ვაშლსა, ან ერთ კენჭსა და ჰკითხავს: რამდენი
მარცვალი ლობიო მიჭირავს მე (?) ხელში? შეგირდი უპასუხებს:
«ერთი».

რამდენი კენჭი მიჭირავს? — ერთი.

რამდენი ნისკარტი აქვს: ქათამსა? ჩიტსა?.. და სხვა.

რა ასო აქვს ერთად ერთი: ძაღლსა? ცხენსა? თხასა?.. და სხვა.

ჩამოთვალეთ ისეთი საგნები, რომელნიც ბევრი გაქვთ. კოვზები,
ფაშები..

ჩამოთვალეთ, რა გვყავს სახლში ბევრი, ქათმები, ცხვრები...

ჩამოთვალეთ რაცა გაქვსთ სახლში თითო, რაცა გყავთ თითო.

ერთი ლობიო მიჭირავს ხელში, რომ გადავაგდო, რაღა დამრ-
ჩება? არათყერი.

ვანოსა ჰქონდა ერთი ატამი და ისიც შეჭამა. — და სხვა სულ
ამ გვარად.

არ ვიცი თქვენ როგორ შეხედავთ და ჩემის აზრით კი
ბ-მა ყიფიანმა თვისი ზრითმეტრიკა გამოსჭრა, ანუ, უკაცრად,
ჭსურდა გამოეჭრა — არც მეტი, არც ნაკლები — ეპტუშეკის
მეთოდად. ამოწერილი გაკვეთილებიდან თქვენ ცხადად ჰხე-
დავთ, რამდენად ჰგვანან იგინი ერთმანერთს. რჩივე გაკვეთი-

ჯის აზრი არის, რომ მისცეს ბავშვს ცნება ერთზე და მრავალზე. ხერხებიც ერთი და იგივეა.

მკითხველი, რასაკვირველია. ამ შედარებით იმას არ დასკვნის რომ, ვითარცა, მე მქონდეს სახეში ყიფიანის არითმეტიკის დამცირება. სწულადაც არა. მე მრწამს და დიდს პატივს ვსდებ იმ შრომას, რომელიც შემადგენელს გაუწევია; მე მხალხლად მინდოდა განმეძარტა, რა თვალთ უნდა შევხედოთ ამ შრომას. პირ იქით, თუ გავიხსენებთ, რა გვირად შემუშავდა და რამდენი ხანა გაძლია არითმეტიკის მეთოდამ, ყიფიანის შრომა თავის-თავს უკვლავად უწინ თითონ დაამცირებდა, უკეთუ იგი არ იქნებოდა შემდგარი იმ მეთოდზედ, რომელიც არის აღიარებული საუკეთესოდ, უკეთუ იგი აუტყვავდა გრუბეს და ევტუშევსკის გზას. დაუმატეთ ამას ისიც, რომ წიგნს ჭარბულა თერ-ხორცი აძევს, ესე იგი, არ ეტყობა ბრძა მიბაძვა, რომელიც ამ შემთხვევაში ძნელი სასცილებელი იყო და, თქვენ წარმოადგენთ, რა თვალთ ადგილს დაიჭერს ეს წიგნი ჩვენს ღარიბ სასკოლო ლიტერატურაში.

ხალხი თუ არ დაგვიწიებთ მთელს ისტორიას არითმეტიკის მეთოდისას, თუ მივიღებთ სახეში იმ მრავალ, ერთმეორის უძჯობეს, სახელმძღვანელოებს არითმეტიკისას, რომელნიც რუსულ ენაზე არსებობენ, არ შემოძლიან დაკუთანბობენს ყიფიანს იმაში, რომ, ვითარცა, რაღა ჭარბულ ენაზე არ არსებობს წინამორბედი შრომა ძალიან ძნელი იყოს არითმეტიკის სახელმძღვანელოს შედგენა. მთელი სიძნელე, თუ აუცილებლად გინდათ იგი ჭზოკოთ, უნდა მდგომარეობდეს ტერმინოლოგიის შემუშავებაში ჩვენს ენაზე: რაიცა შეეხება მეთოდს, სისტემას, ფორმულების ახსნას — ამას ჩვენ ენაზედ წინამორბედი შრომა არ უნდა. ჩვენში თავიდან ხომ ვერ დავი-

წებთ საქმეს და ჯერ უხეიროს არ შევადგენთ და მერე ხეირო-
ანს, რადგან ამას თხროფობს ისტორიული წიდა ყოველის
საგნისა. ეს შეუძლებელია. ჩვენ უნდა გადმოვიღოთ მზა-მზა-
რეულად ნაყოფი იმ ხისა, რომლის წიდაში, ჩვენ იქნებ შრო-
მა არც კი მიგვიძღვის.

*
*
*

ზედოდ არა ერთხელ ვახსენეთ, რომ ჩვენი არითმეტიკის
გრუბეს მეთოდურად არის შეძგარაო. აქ ამას მცირედი ახსნა
ეჭიროება. მეთოდურად, სწორედ რომ ვსთქვით, მარტო
პირველი ნაწილია შემუშავებული. ესევე პირველი ნაწილი სჯო-
ბის ყველა დანახვისათვის ნაწილს. მეთოდურად ნაწილს (პირ-
ველს) წუნს კერძი უბოდიდით, რომ ბ. ყიფიანს გრუბე-ეპტუშეკ-
სკის მეთოდი ბოლომდის სიმართლით გაეტარებინა. აქ ჭხუდავთ
თქვენ ერთს დიდს შეცდომას, რომელსაც უეჭველად მალე უნ-
და გასწორება. ყიფიანის მეთოდურად ბაკშეს არ ექმნება წარ-
მოდგენა რიცხვურად, იგი არ გაიყლის პირველ თავს პირველის
ნაწილისას, იქამდის, სადაც იწყობა შეკრება რიცხვებისა 1-
დამ 10-დამ. მინამ კი სრულიათა «რიცხვის შესწავლა»
მიდის სარკვევების ახსნით. სარკვევები უნდა შეადგენდნენ «რი-
ცხვთა შესწავლის» გამოყენების საფასურს ცხროვებაში და არა
საფუძველს. არითმეტიკის თვალთ რომ შევხედოთ, «3 საყენი»
ხომ რიცხვი არც კი არის. იგი არის განსაზღვრული სიგძე
და არა რიცხვი. რიცხვი არის მხოლოდ «3», რომელსაც მითი
კვლისხმობთ სამს ერთეულს ერთმანეთურად მითვლილს. არით-
მეტიკის საფუძველდაც გრუბეს და ეპტუშეკსკის აქვთ აღიარე-
ბული რიცხვი და არა სარკვევი, რომელსაც მოქცეულა ჩვენი
არითმეტიკის შეძგარეული.

მეორე უხეიროფობაც იმავე გარემოების გამო წარმოხდგება,
რომ პირველი 22 გვერდი მარტო სარკვევებით არის ავსილი.

უპიჯველია, ეს სარკვევები თავის წილ სარგებლობას მოუტანენ ერძას, მაგრამ იგინი რომ რაიმე წესზედ უფიქროსენ დალაგებულნი, მაგალითებრ: შუერთების სარკვევნი ერთად და სხვა ამ გვარად, უფრო სსსარგებლონი იქმნებოდნენ. ერთი ნაკლულებანებაც. ამ ნაწილს აკლავ სავარჯიშოანი თვალთა და ხელთათვის, მაშინ, როდესაც ვიცით, რომ რაიმე საანგარიშო, შეგნებული ზეპირად, უფრო სამუდამო კუთხილებად გარდაიქცევა ერძისთვის, როცა იმასვე წერითაც შეაგნებინებთ. მით უმეტეს ეს ადვილი იყო ყოფიანის არითმეტიკაში, სადაც ყოველი რიცხვის განხილვის შემდეგ, შეისწავლების იქვე მისი გამომხატველი ციფრაც. თორემ, სხვა რომ არა იყოს რა, გაუგებარია, — რისთვისა სწავლობენ ბავშვები ციფრებს, თუ ვი ერთხელაც არ დააწერინებთ იძას, რასაც სარკვევებში ანგარიშობენ. ეს საჭმე მხოლოდ მე-23 გვერდზედ იყობა.

ამით ვათავებთ ჩვენს შენიშვნებს პირველის ნაწილის შესახებ. ამას მხოლოდ ისღა უნდა დაკვირვოთ, რომ ეს ნაკლულებანება, მცირედ მაინც შეგნებული მასწავლებლისაგან, ადვილი გასასწორებელია; ყოველ მასწავლებელს შეუძლიან გარდაიხედოს იმავე ბ. ყოფიანის წიგნის მე-23—35 ფურცლებზედ და ზოგიერთი საწერო სავარჯიშოანი იქილამი გადაიტანოს თავში. ეს მცირედი — შედარებით — ნაკლულებანება არაფერია იმ დიდ ღირსებასთან, რომელიც ამ წიგნს ამშვენებს. ჩვენ ვამბობთ რომ, როგორც ეს ნაწილი, ისე მთელი წიგნი, სავსეა მშვენიერი სარკვევებით. ეს მით უმეტეს სასიამოვნოა, რომ ამ მხრივ შემდგენელს, მართალია, არავითარი წინამორბედი შრომა არა ჰქონდა, თუ სახეში არ მივიღებთ მასინჯის თარგმანს ეპტუშეკის სარკვევებისა დიდებულადის მიერ...

ვისაც მარტო ქებისა და კარგი სიტუაციის გაგონება უნდა ბ-ნი ყიფიანის ანთიმეტიკაზე და ანა მიუდგომელი სჯის მის ავ-გარგიანობაზე, დანახვა მისი, როგორც ღირსებისა, ისე ნაკლულეკანებათა, იმას ვთხოვ შეჩერდეს ამ სტრუქტურებზე და ქვეით ნულარ წაიკითხავს, რადგან, წინადაკე ვეტუვი, სასამოვნოს ველარას ქვოვებს. მაგრამ სახალხო მასწავლებელისთვის კი, რომელმაც დაიწყო ყიფიანის ანთიმეტიკის ხმარება, ან ავირებს მის შემოღებას, აუცილებლად საჭირო იქნება ბოლომდის ჩამოგვეყვას...

რაკი პირველ ნაწილს გასცდებით, თქვენ თვალ-საჩინოდ ვხედავთ, რომ შემდგენელს სრულად სახეში აღარ მიუღია არც სახალხო სკოლის პრეგრამა, არც გურსის სივრცე, არც საზოგადოდ სახალხო სკოლის დანიშნულება. მეორე ნაწილი-დამკე იწყოება სრული გურსის სისტემატიური ანთიმეტიკისა ბოლომდის დამატებით მცირედი რამესი ასტრონომიიდანაც (მთვარის ანგარიში.) ამ გვარი სახელმძღვანელო, ძალიან კარგად დაც რომ იყოს იგი შედგენილი, უნდა დაინიშნოს საშუალო სასწავლებელთათვის, რადგან იქ გადიან სრულს გურსის ანთიმეტიკისა. სახალხო სკოლას უნდა შემუშავებული მეთოდურად პრეპედეკტიული გურსი; ყოველივე, რაც მას დაემატება. მხოლოდ გაადიდებს წიგნს, თვას დიდს დასდებს და სახალხო სკოლა კი მას გერაში გამოიყენებს. სახალხო სკოლის გურსი თვით პედაგოგის ქვეყანაში—გერმანიაში შემდგომდამ შესდგება: რიცხვთა შესწავლა ასამდის; ნუმერაცია ყოველი რიცხვისა და ოთხი ანთიმეტიკული მოქმედება სრულ რიცხვებზე, ოთხივე მოქმედება სახელ-ღებულ რიცხვებზე და მარტივი დანაწევრები პირველი ასი რიცხვის სფერაში. სახალხო სკოლა რუსეთშიაც და ჩვენშიაც (მით უმეტეს) ათასი გაჭირვებუ-

ლი მდგომარეობის გამო ამასაც ვერ ასწრებს. მაშასადამე არც ერთი სახალხო სკოლისათვის საჭირო არ იყო «ათწილადი ნაწიკები», «შეთარღება», «პროპორცია», «სამს პირობაზედ დამოკიდებული კანონი», «შეუწყვეტელი ნაწიკარი», «შერთული (რთული?) პროცენტები» და სხვა-და-სხვა, რომელნიც შემდგენელს ჩაურთავს თავის არითმეტიკაში. უკვლამ მასალამ წიგნის ფასი ოთხ ახაზად გახდა (წიგნი ისე ვრცელა, რომ ამ ფასზე მეტადაც ჰქონდა, მაგრამ სახალხო სკოლისათვის კი ძნელი სახმარებელია ამ ფასის წიგნი), მაშინ რომდესაც შემდგენელი რომ დაკმაყოფილებულიყო მარტო სახალხო სკოლის გურსით (რაკი იმისთვის ნიშნავდა), იგი ბუკრი-ბუკრი ორი ახაზი ღირებულყოფი.

წარმოიდგინეთ, ამ მოსაზრების წინააღმდეგ ჩვენთვის უთქვამთ: «ყოფიანისა დიდი მადლობელი უნდა ვიყვნეთ მარტომისთვის, რომ მან შეკვიდგინა არითმეტიკა ქართულ ენაზედაც». ძალიან კარგი, მაგრამ აქ სახალხო სკოლა არათუკ შეუძია.

მანც-და-მანც, თუ არ დაგიძლიათ, შეხედეთ ბ.ნი. ყოფიანის «არითმეტიკას», რომელც სისტემატიურ ამ საგნის სახელმძღვანელოა, იმის მიუხედავად, თუ ვისთვის და რისთვის არის იგი დანიშნული.

რას მოსთხოვთ თქვენ სისტემატიურ არითმეტიკის სახელმძღვანელოს, თუნდ იგი უხუიაროთავანიც იყოს. თქვენც, მეც, უკვლამ უბრკულესად მოითხოვს, რომ სახელმძღვანელომ ცხადად განმარტოს ყოველი არითმეტიკული მოქმედება, რომ ყოველი კანონი გამოდინარეობდეს მტკიცე და თვალ-საჩინო საბუთებდამ; არითმეტიკა ერთად ერთი საგანია საზოგადო სწავლის გურსში, სადაც ყოველი შემდეგი ნაბიჯი გაზომილია,

გარჩეულა, მოსაზრებულა და შედეგი ისე ცხადია რომელიმე მოქმედებისა, რომ ეჭვის შეტანა შეუძლებელი ხდება. აქ არის მათემატიკის დიდი, აღმზრდელი მნიშვნელობა. იგი თვით აკვნიდამკვე ასწავლის ბავშვს სხვათა ლოგიკურს აზროვნებას, რომელიც შემდეგში ისეთი საჭიროა.

სახელმძღვანელო, რომელიც უსზობს არითმეტიკას ამ დიდ მნიშვნელობას და გადააქცევს დოგმატიურ საგნად, საცა, ყოველად განუმარტებლად და აუხსნელად, ერთი განონი მისდევს მეორეს და აზრად აქვთ შესწავლონ არითმეტიკული მასალა რწმუნებით და ავტორიტეტულის სიტყვით, ჩემის აზრით, სარგებლობას ვერ მოიტანს. ასეთს სწავლას ამ ცხოველის საგნისას შეუსწავლელობა ათასჯერ სჯობია. გადასინჯეთ სულ უხეირო რუსული სახელმძღვანელოები, თუ ან ერთი ნახეთ ამ გვარი. იქ ყველა ახსნას და განმარტებას აქცევს ყურადღებას, ხოლო, რასაკვირველია, ერთნი ახეჩხებენ ამას მეტის ოსტატობით, მეორენი ნაკლებით.

მოგვყავს მაგალითები: მეორე ნაწილი. შეკრება (გვ. 93).

«მაგრამ, როდესაც დაგვჭირდება მრავალი რიცხვის შეკრება, რომელთა გამოცნობა გონებას გაუჭირდება, მაშინ, რასაკვირველია, წერით ძლიერ ადვილად შეგვიძლიან ახსნა; ვსთქვათ, გვინდა შევიტყუოთ რამდენი იქმნება $245 + 183 + 292 = ; 136 + 292 + 443 + 151 =$. ამ შემთხვევაში ვმოქმედობთ ასე, რომა ყოველ ხსენებულს რიცხვსა მოუწერთ ერთი-ერთმანეთს ქვეშა: ათიანები ათიანების ქვეშა და ასიანები ასიანების ქვეშა; შემდგომ გაუსვამთ ქვეშ დაწვენილს ხაზსა და შევკრებავთ ჯერეთ ერთიანებსა, მერე ათიანებსა და შემდეგ ასიანებსა.»

ტყუილად მოსძებნით მის ახსნას, თუ რად ვმოქმედობთ ასე, და არა სხვა გვარად. ამ გვარადვე ისწავლების გამოჩინება. მაგრამ აქ კიდევ ერთი სხვა რამ არის შესანიშნავი: მოწაფე

დაეწმუნა მსტატს, რომ გამოიციტხვამიაც მცირე რიცხვი უნდა დაიწეროს უდიდესის ქვეშ და მერე გამოიციტხოს. 840-დამ ბ-ნი ყიფიანი რიცხავს 550-სა და ამბობს:

«ნულიდგან ნული იქნება ნული, 4-დგან 5 არ გამოიციტხება, ამისათვის 800-დგან ვისესხებთ (რომ არ გასესხოთ? სესხება ხომ ნება-ყოფლობაზეა) ერთს ათიანსა (აქ ალბად კორრექტურული შეცდომაა. უნდა იყოს «ერთ ასიანსა») და მიუმატებთ ოთხსა და შეიქმნება 14. გამოვაკლოთ 5, იქნება 9, რომელსაც ვწერთ 5-ს ქვეშა».

აქ რამდენიც სიტყვაა, იმდენი შეცდომაა. უნდა თქმულიყოს ასე: 8 ასიანიდამ ავიღოთ ერთი ასი, დავახუროდავოთ ათიანებად. 1-ლი ასიანი შეიცავს 10-ს ასიანს და ჩვენს გვაქვს 4 ათიანი, შეგვიდგება 14 ათიანი (და არა 14). 14 ათიანიდამ რომ გამოვიციტხოთ 5-თი ათიანი, დარჩება 9 ათიანი (და არა ცხრა). ამ ცხრა ათიანს ვსწერთ ათიანების აჯაგას, ესე იგი მერე აჯაგზედ. აი ამას გაიგებს მსტატიც და შავიწდიც.

ახლა გამჩავულება.

55
X 11
55
55
605

ამას ბ-ნი ყიფიანი ასე უხსნის შავიწდს:

«1-ფერ 5 იქნება 5 და 1-ფერ 5 (რის ხუთი? ეს არის ხუთი ათეული და უნდა ითქვას 1-ფერ 5 ათეული.) იქნება 5. 1-ფერ 5=5 და 1-ფერაც 5=5.»

გამოვიდა, ბატონო, ოთხჯერ 5=20 და არა 605. ჩვენში ეს გამოუცდელ მასწავლებლებზედ ერთი დახელოვნებული ძლივს მოვა და ძალიან ადვილად შეიძლება ამისთანა განუ-

მარტებელმა ბასმა არიოს, როგორც ესტატი და მოწიფენი, ისე თვით სწავლება და მისი წესიც.

ასეთს წესზეკვა დაწერილი «განყოფაც». ახლა «რიცხვით განყოფილება» (признаки делимости).

«რიცხვი 3 გაჭყოფს უნაკლულად ისეთს რიცხვს... და სხვა» წესია დასახელებული და არ კი იხსენება, საიდან სწამლობს ასეთი წესი, რა დაკვირვებას გამოჭყავს იგი. აგრეთვე არ არის აბსნილი, რად იყოფება უოკული რიცხვი 5, თუ იგი დაბოლოვდება ნულთ. ერთის სიტყვით, არც ამ მუხლში იხსენება რამე. დაუკუთ ქვეით. 3 ჩუჩხელა (ეს სიტყვა ძალიან ხშირად იხმარება) ბ-ნ ყიფიანს სახელ-წოდებულ რიცხვად მიანიხი, რომესაც არითმეტიკა სახელ-წოდებულ (именованные) რიცხვებად სთვლის იმათ, რომელთაც უბით სახელი რომელიმე წონისა, ან ზომისა. მაგალითებრ, 5 საყენი სახელ-წოდებული რიცხვია და 5 თავი ნიორი კი არა, არითმეტიკის შეხედულებით.

ნაწილი მესამე. ნაწევარი. ნაწევართა შეკრებისათვის.

«პირველად უნდა აღმნიშვნელს დახედო. თუ შესაკრებ ნაწევარს ერთ ნაირი აღმნიშვნელი აქვს, მაშინ მხოლოდ მრიცხველები უნდა შეკრებო და აღმნიშვნელი უნდა მიუწერო უცვალადად».

შემდეგ მაგალითები და საჩკეები მოსდევს. რად უნდა მოვიტყუთ ასე და არა სხვა გვარად—ამის პასუხს ნუ ელოდებით.

რომ მკითხველი არ შეკაწურეთ, აღარ ამოვიწერთ ნომურებს ბ-ნი ყიფიანის არითმეტიკიდან; ამ გვარ ვარჯიშობას ბოლო არ ექნებოდა. კარტუკით მხოლოდ, რომ ვისაც ქსურს, ზემო-ნახევნებ გარდა, სხვა ნაკლულეკანებანიც შენიშნოს, გადა-

შალის თვით წიგნი, დაიწყო მეორე ნაწილი და ჩაჭყუეს
 ბოლომდის. ყოველ ფურცელზედ საკმაოდ ჭბოებს ჩვენს
 აზრის დასამტკიცებელ საბუთებს. გასინჯეთ, მაგალითებრ,
 «ჩუქურბითი ნაწიკის გარდაჭერა ათწილად ნაწიკებად»,
 «დამკვიდრებელი ნაწიკები», «პროპორცია» და სხვა.

დასასრულ, ერთი გარემოებაც. 452 გვერდიან წიგნში,
 სადაც «ნაწილები», პარაგრაფები, თავები ერთმანეთში აკუთ-
 ჵანა, და, რაიმე ადგილის პოვნა რომ გინდოდეთ, მთელი სა-
 თა უნდა ეძებოთ, საჩივი არ მოიპოვება.

მ. ნ. ნასიძე.

ქართული

ძველებური საერო გართობა-ასპარეზობანი

თითოეული ჩვენგანი ცალკე და ყველანი ერთად ვალდებულნი ვართ ხელი შევეწყუოთ ჩვენის ხალხის ყოფაცხოვრების ყოველ-მხრივ შესწავლას. როგორც კერძოდ ცალკე პირის, ისე საზოგადოდ მთელის ერის სიფხიზლისა და სალიანობისათვის პირველი ადგილი უჭირავს სხეულის ვარჯიშობას, სხეულის მოძრაობას, მაშასადამე გართობასა და თამაშობასაც. ამისათვის საჭიროა გავიცნოთ ძველებური გართობა-ასპარეზობანი, რომ ზოგიერთი მათგანი კვალად აღდგენილ იქმნას. ასე რომ, ძველებურ გართობათა გაცნობას ჩვენთვის ამ შემთხვევაში უფრო პრაქტიკული მნიშვნელობა ექმნება, ვიდრე საზოგადო ისტორიული.

მეთვრამეტე საუკუნეში, ერეკლე II დროს, თვით ერეკლეს ბრძანებით გადაკარდა ჩამდენიმე გართობა-თამაშობანი, სხვათა შორის ყაბახი.

ყ ა ბ ა ხ ი. აი ჩასა სწერს პლ. იოსელიანი ყაბახის შესახებ: «ქალაქის ზღუდეთა ჩრდილოთ, მეფის იესეს სასახლის პირდაპირ, იყო ჭიპჭოდრომი, ესე იგი საცხენოსნო სარბიედი, სადაც იმართებოდა აგრეთვე სხვა-და-სხვა სახალხო თამაშობანი და სამხედრო ვარჯიშობანი. ძველად ამ ადგილს ერქვა ასპარეზი, ე. ი. სავარჯიშო ადგილი. შემდეგ დაარქვეს ყაბახი, რომელიც სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ანძას. ამ ანძის ზე-

ვით თავზე სდებდნენ ხელზე საჩუქარს. ეს საჩუქარი იმას ხვდებოდა, ვინც აღნიშნულ ნიშანს მოარტყამდა.¹⁾ ერთი ამ გვარი ანძა ხსენებულ სასპარეზო გაშლილ მოედნის თავში იყო და მორე — ბოლოში. ანძებზე ანუ თაღარებზე საუკეთესო მუდრეებისთვის დასვამდნენ ხელზე ვეცხლის და რქოს თასებს. ამჟამო მოედანზე იმართებოდა ბურთაობა, მარულა და სხვა სამხედრო ვარჯიშობანი. ეს მოედანი სიგრძით იყო 250 და სიგანით 120 საყ.. 1820 წლიდან ამ მოედნის ნახევარი მოაშენეს კერძო და სახელმწიფო სახლებით. დანარჩენ ნაწილს დაერქვა ალექსანდრეს მოედანი.²⁾ რეგულაც ვიცი, რაც თავისუფალი ადგილი დარჩა უწინდელ სასპარეზო მოედანზე კავკასიის მთავარ-იმართებულმა, თ. ბარიატინსკიმ, გააშენებია ბაღით. ეს არის ახლანდელი ალექსანდრეს ბაღი თბილისის შუა ქალაქში, საკუთრად მისი ქვედა ნახევარი.

ჩუნი ჩინებული პროექტი, გრ. მრბუჯიანი ამბობს: «ყაბახის თავსა და ბოლოს იდგნენ მრჩი ქვანი, რომელთა ზედაც დასმიდნენ თასსა და ესრდნენ ჯირითს, და ვინც მოარტყამდა, თასი იმისი იყო ჯილდოდ გამარჯვებისათ.»³⁾ ჩუნი არ ვიცი, ვის დაუჯერათ: სამიზნო თასებს ქვებზე დასმიდნენ, რეგულაც გრ. მრბუჯიანი ამბობს, თუ აგურისაგან განგებ აშენებულ ანძებზე, რეგულაც პლატონ იოსელიანი სწერს. წარსულის წლის გაზეთ «კავკასია» (№ 173 და 174) ქართულების ძველ გართობათა ამწერელი ამბობს: «ერთი ამ აგურის თა-

¹⁾ ანძა ანუ თაღარი იყო აშენებული აგურისაგან.

²⁾ იხ. პლ. იოსელიანის «Описание древностей города Тифлиса» გვ. 266.

³⁾ იხ. მისი ლექსები, გამოც. 1880 წ., გვ. 15. უნიუ. 1.

ჯარტაგანის ნაშთი კიდევ სჩანდა ამ საუკუნის დამდეგს. თუ ეს მართლაცა, იმ შემთხვევაში ვლ. იოსელიანს უნდა დავეთხანებოდეთ.

თასები სადაც უნდა მდგარიყვნ, მანცა-და-მანც საჭირო არ არის ვიცოდეთ, მაგრამ ეს კი დარწმუნებით ვიცით, რომ უახსრე ჯიროთის და თასების სრულა მშენიერ სურათს წარმოადგენდა. გარდაიკითხეთ ეს მშენიერი სტრუქტურები, რომლებშიაც ისეთის გულის ძვერით და აღტაცებით გვიხატავს პოეტი საზოგადოდ ცხენზე ვარჯიშობას და განსაკუთრებით ყაბახის სრულას. პოეტი მიმართავს თავის იარაღს და ნატურულად:

გისმენდე: თუ ვით, დღესასწაულსა,
შექცევით, ლხინით, მოწოდებულნი,
ჭაბუკ-მხედარნი უახსსა ვრცელსა,
ვითა საომრად მომზადებულნი,
ვით აღვა რგულნი ცხენზე უძრავად,
მოჭქრიან ესრედ, ვითა ნიაკი.
ჭკრეს ნაღარასა—განიყუნენ ორად:
აჭა, საამო სჩანს სანახავი!

ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი, ჯიროთთ სრიალი, ყურთ-
მაჯთ ბრიალი,
ურხანგთა ცემა, ცხენითგან ხტომა, კვალად რესტომა და ხმათ
კრიალი!...

ჩაიკითხეთ ცოტა კიდევ ქვემოთ და გაიგებთ, თუ რა-
გორ ხელ-მარჯვე სრულას ეჩვეოდნ ამ ვარჯიშობებში ქარ-
თველები:

აზოგი არწივსა,
რეტას მიუჩინავსა,

ისრითა მკვეთრით განუზობს გულისა,
 ჯივითი ზოგის
 ზუსუნით მოჭქრის—

და მოხვდა ქვაზე თასს ნიშნად დგომულსა. »

მეფე თეიმურაზი სწერს თავის ლექსებში ქართველების
 სხვა-და-სხვა ჩვეულებათა და გართობათა შესახებ. სხვათა შორის
 თეიმურაზი ყაზახსა ციხესტავს შემდეგს ლექსში:

«როდის იქნების ქორწილი, ან სხვა დღეობა კარგიო,
 ყაზახსად ოქროს ვაშლს შესძენ, ძვირფასის იყოს კარგიო.
 ძვირად დაკაზმულს ცხენს ისხდენ, ზედ არ ეკიდოს ბარგიო,
 ზე კურტაგიანთა⁴⁾ ვაჟთა თქვან: «სროლასში, მკლავო, მარგიო!»

«ცხენს ისხდენ კარგსა დაკაზმულს, რახტითა, უნაგრითანო,
 მძიმეს ნაკერით ორთუქით⁵⁾; ბუშტით და ყუთაზითანო,⁶⁾
 ვაჟ-ვატთა ეცვასთ კურტაგი ბრტყელისა ზოხრტებითანო:

ღ დაუწყონ სროლას ყაზახსა მათ ცხენის ჭენებითანო.

«ასე უნდა მას დღეს ვაცმან ამ გზით სროლას ეცადოსა,
 მკლავზე მშვილდი შემოიტვას, წელს ყოდალი⁷⁾ გაიჭლოსა,
 ცხენი შეძრას, პირველ მშვილდსა ხელით თეშრი⁸⁾ მან უყოსა,
 ზე მერმე ყოდალს ხელი მიჭყოს, კილოს მაგრად დაზიდოსა.

«უნდა მშვილდი დაზეული ცოტა ხანი გაატაროს,
 ჩქარად მიდგეს ყაზახსად, ცხენი აღარ დააზაროს,
 ყაზახს მუხლი დააცვილოს, მამინ უნდა გარდესაროს,
 ზე ესროლოს,—თუ ჩამოაგდოს, თავის გული გაახაროს.

4) მეომრის წელ-ზევითა საცმელი.

5) ორთუქი ანუ ორთუკი—თაქალთო, უნაგირის ქვეშ საფარი.

6) ყუთაზი—აბრეშუმის ქსოვილი.

7) ყოდალი—ისარი.

8) თეშრი—მზგავსი.

დასუ უთქვამსთ, მისკლას სჯობსო უფრო ჩამოგდებისაგან. თუ რჩივ სჭირს, ხომ ისი სჯობს, უფრო იქონ ბუკრისაგან. სანამდის არ ჩამოაგდონ, არ მოეშენენ სრულისაგან.

ღ მას დღეს ღმერთი ვისაც მისცემს, მოხვდეს მისის ხელისაგან.

«ვინც ჩამოაგდებს რქონს ვაშლს, მინათმეკს მეფეს წინადა: ფიცხლავ ჩააწყვეს ხალათსა თავიდაი ფეხამდინადა».⁹⁾

თეიმურაზის აწერილობა, რეგულაც ვხედავთ, დაწვრილებით გვიხატავს ყაზახის სრულას. გარეგანი აწერილობის გარდა აქ ახლას იმას ვტყუობულობთ, რომ სანიშნოდ დასმულს თასს ესრულენ ხელმე ცხენის ჭენებით: მოგდებდენ გაჭენებულ ცხენს და შორი-ახლადამ ესრულენ ისარს. თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვები:

დასუ უთქვამსთ, მისკლას სჯობსო უფრო ჩამოგდებისაგან. თუ რჩივ სჭირს, ხომ ისი სჯობს, უფრო იქონ ბუკრისაგან»

ეს სიტყვები, მე მგონია, იმას ნიშნავენ, რომ თასის სრულას რჩ-ნაირი უფთობა: ერთი—გაჭენებულ ცხენის მიგდება ყაზახზე და ისე სრულას. ამ შემთხვევაში ისრის სრულას მოგვაგონებს ჯირითის სრულას. მეორე—აზბად ცხენის, გაუჭენებლად, ნახვენებ მანძილზე დადგობდენ და ესრულენ ყაზახზე დასმულ თასს.

თეიმურაზი სხვების წინააღმდეგ ამბობს, რომ ყაზახზე დასვამდენ რქონს ვაშლსაო და თასს კი სრულად არ ახსენებს. თეიმურაზივე ამბობს, რომ რქონს ვაშლის ჩამომგდებელი მესრე საჩუქრად მიიღებდა მეფისაგან ხალათსაო. სხვები კი (მაგ. გრიგოლ რჩბუღიანი) აჩვენებენ, რომ ვინც თასს მინათმეკს, საჩუქრად იმ თასსვე მიიღებდაო. თეიმურაზის ზო-

⁹⁾ იხ. ლექსი თეიმურაზისაგან თქმული, 1852 წ. «ცისკარში» № № 6 და 7.

გიერთ ჩვენებსაც არ ეთანხმება აგრეთვე არც ვახუშტი. ეს უკანასკნელი სწერს, რომ ყაზახობა ჩვეულებად ქმნდათ ქართველებს აღდგომის დღესაც. დანარჩენს კი გვაჩვენებს სხვების თანახმად, გარდა თეიმურაზ მეფისა. ამ თვით ვახუშტის სიტყვები:

«ხელე აღდგომის წესი იყო ადრე ნათლებისად წირვა, და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოკავითა ხორცთათა აღიხსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვიდის მეფე და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა და დასკიან სამეფო თასი ოქროსა ანუ ვერცხლისა ყაზახსა ზედა და უწყიან სრულა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭებუგთა, და რომელი ჩამოაგდის ისრითა, მას მისციან თასი იგი.»¹⁰⁾

აჭა, აგრე მკლავმარჯვე ჭებუგმა ცხენი შეათამაშა. ჭებუგმა შეენის ცხენზედ, «კით აღვა რგულა». მშვილდ-ისარი მოიმაგრეს, ცხენს ქუსლი ჭერს და ფეხმარდი ცხენიც ტყვიასავით გააკრდა. ჭებუგმა ერთი მამაცურად დაჭკიუნა და ყაზახისაკენ ნიავსავით მიჭქროლავს. ამ, ერთის თვალის დახამხამებაში, იგი კიდევ დაუზირდაზირდა ყაზახს. წამს მარდად გადინარს წელში და მშვილდს მაგრად მოზიდა. ისრის გაშვება და თასის ძირს წამოსკლავა ერთი შეიქმნა. ურიცხვმა მათურებელმა ხალხმა ერთხმად იგრიალა და ყიყინისა და «ბარაქალასა» მახილის ხმა გრგვინვით გაისმა ჭერში. ხალხი შეინძრა. ბევრმა მოისრე ყმაწვილებმა ჩაღუნეს თავი. ბუნდოვრ გამარჯვებულ ჭებუგს კი სრული მხიარულება უბრწყინავს სახეზე: მას ხვდა ოქროს თასი, მეფის საჩუქარი და ყურადღება მეფისა და მთელის მათურებელის საზოგადოებისა.

¹⁰⁾ იხ. ვახუშტის გეოგრაფ. აღწერილობა საქართველოსა, გვ. 32—34: «აღდგომისათვის.»

ბურთაობა. ამით თავდებოდა უბახობა, ამას მაშინვე მოაყოლებდნენ ბურთაობასა. აი თეიმურაზი რეგორ აგვიწერს ამ გართობას:

- ღ დაამზადებენ საბურთლად ვაჟ-ვატებს ჩოგანითადა, ცხენს ვატსა შეადარებენ წილისა მოღებითადა.
 - ღ რაოდ განყოფენ, თვითონ მხარს თარძელს იქმოდენ ვატებსა. მობურთაღს ვატის თავზედა მას დღეს მისცემენ ფარჩებსა, ზედ გარდაძლიან ფერადსა იქით და აქეთ მათებსა¹¹).
 - ღ მათთვის სასძულად შარბათსა თუფუნით დასდგენ სავსესა. ამობურთაღებს ბურთი შეუგდონ შუაზედ მოედანსაო, იწყონ მოჭირკვით ბურთობა, ცდილობდნენ გარდახრასაო, ზოგი სცემს შიგნით და ზოგი ნაპირს ურბენდეს გზასაო:
 - ღ გამკვარდეს გარს ბურთი, ეცადოს მოტაცნასაო. ამასინ გამჩინდეს, ვინც იყოს მათამდე ბურთის წამლები, ეცადოს დაბრუნებასა სხვა ვატი ხელის დამლები, ხელუკუღმართა შემოჭკრას მალაღი თავის სავლები,
 - ღ რა დაუბრუნოს მას ბურთი, იქნების გულის სავლები. ვინცა იცის ვარგად ტაცნა, ცხენის უელს არ აცდილოსა. ასე უნდა გარდებაროს—თავი აღარ აიღოსა, ბურთი ჩოგნისა ცემითა მათამდინა წაიღოსა, და ხელ-გარდაყოფით შემოკვრას ზნეობაში ჩაივდოსა. »
- თეიმურაზი განაგრძობს შემდეგ:
- ღ გამჩინდეს სადავის ცოდნა ჯრასა¹²) და ბურთობაშია. ვინცა ამ რიგად იბურთებს, იქების ამხანაგშია.
 - ღ რამეღიც იქით და აქეთ გაამკრენს ბურთს მაყაშია...
 - ღ ჯობნა ეს არის—გახვევენ ფარჩებსა ალებშია.

11) მათე—სვეტს ერქვა, რომელიც იდგა მოასპარეზეთათვის და სასვენებლად დანიშნულ ადგილს.
 12) ჯრა—ჯარი, ჯგუფი, ვიწროობა.

«აიღონ თვითონ თვითონიან, ამხანაგს ვინც აჯობოს.»

ცხენს აჭენებდენ, იძახდენ: მჯობი ვარ ამხანაგისა!

ჩვენ შევიქნებით წითლისა ფარჩით შემსკვირი ჩაგნისა!»

ვანუშტიც მოგვითხრობს ამ თამაშობაზე, ესე იგი, ყაბახობის შემდეგ ბურთაობაზე. ის გვიჩვენებს, თუ რაგონი ჩუქულებსა ჰქონდათ ქართულებს ამ ბურთაობის შემდეგ. «შემდგომად ამისა (ე, ი. ყაბახობისა) — ამბობს ვანუშტი — შექქმნიან ბურთობა, და რამეღმან მხარემან აჯობოს, იყო მხარე-თაჯარნი სამეფონი, და მისცა მათ თვითონთა თვითონ (ეგრეთვე ჭარწილისა და გამაჩვენებისა დღესა შინა ყვიან ესე ასპარეზისა ზედა). მერმე შემოვიდნენ მეფისათანა და შექმნიან ნადიმნი და პურობანი დიდნი, მგოსან სახიობითა,¹³⁾ არამედ ქათალოკონნი და კვისკობონნი ვიდრემდის იყვნენ მუნ, არა იყო მწყობრთა ძალთა ცემანი, არამედ გაჯობანი. ხოლო შემდგომად წარსულისა მათისა იყო მგოსანთა, მომღერალთა და უკუელთა სახიობათა ცემანი.»¹⁴⁾

განვაცხრობ მუც თეიმურაზის სიტყუებით:

«ეს ვი გათავდეს, სხვა რიგი ვსთქვას ბურთის თამაშობისა.» და მოვიყვანთ იძახს, რასაც თეიმურაზი სწერს. თეიმურაზი ამ გაჩთობას ეძახის რადრაბაგანს.

რადრაბაგანი. აი თვით თეიმურაზის აწერილობა:

«ერთი არის სხვა ბურთობა, რადრაბაგანს უძახიან.

გადრთის ბურთის უფრო ესე, ზნეობაში ჩააგდიან.

¹³⁾ მგოსანი — დამკვრელი, მემუსიკე; სახიობა — სიმღერა, საკრავთა ტკბილი ხმა, მომღერალთა დასი, საზანდარნი.

¹⁴⁾ ვანუშტის «გეოგრაფ. აღწერა საქართველოსი» გვ. 32—34. «აღდგომისათვის».

ბევრს კი ანა, სამს-ათხს კარგსა მებურთაჲსა შეიღრინა,
 ოთხისათვის სათამაშოდ ბურთი მიწას გააგდინა.
 «ის ანის, ვინც რომ ცხენს მალეთ ბურთი აიღოს ჩოგნითა,
 უნდა შეიგდოს მან მალა ცხენისა თამაშობითა.
 რომ ჩამოვიდეს, ხელოვნებად მიუხდეს კაის ცოდნითა,
 ონ ბურთი შეხტეს, შემოჭკრეს ხელოვანთ¹⁵⁾ მალა ტყუი-
 ცითა.

ბურთი შეიგდოს, ეჭადოს მერმე თეშრების ქნასადა,
 სანამ ჩამოვა, დასწრებს ჩოგნისა შეგდებსადა.
 ჩოგნისა ქათალმაღაყი¹⁶⁾ კვრამდინა დასწრავსადა.
 ონ ჩამოვიდა სამჯერა ზედი-ზედ თუცა კრავსადა.
 «აი რადათა, მესამედ უნდათ წინ ამოკვრანოდ,
 უნდა დასწრას ამოკვრას ქიჩილოვითა¹⁷⁾ ქნანოდ.
 ესეუბი ჭქნას, შესძახოს ჭე ჭეუვითა ხმანოდ.
 ონ დასწრულა ეს, ხომ დრო ანის აწ სხვის ზნეობის თქმანოდ.»
 მაგრამ, მინამ სხვა ზნეობაზე თუ თამაშობაზე დავიწყებ-
 დეთ ჯაპარაკს, ჯერ ცოტათი შეკრდეთ იმ ბურთობაზე,
 რომელც ეხლა მოვიხსენეთ.

თეიმურაზი ამ ბურთობას ეძახის რადრაბაგანს. რომ-
 გორც აწერილობიდა სჩანს, ეს ის თამაშობაა, რომელსაც
 ბურძენოვი და სხვები აწქეპვენ ჩოგანს.

მოგზაური ფრანციული შარდენი იყო საქართველოში მე-

15) რადი—მრუდე.
 16) ქათალმაღაყი — ჩოგნის ზევით აგდებას და ტრიალ-ტრია-
 ლით წამოსვლას უნდა ნიშნავდეს.
 17) ქიჩილოვია: ს.-ს. ორბელიანს აქვს ქიჩილოვია, — ჩოგნის
 შებრუნება.

17 საუუნეში (დაახლ. 1670 წ.) და იმას მოჭყავს კათო-
ლიკი ბერის ლამბერტის¹⁹⁾ აწერილობა ამ თამაშობისა. აქედამ
სჩანს, რომ ჩოგანის ბურთაობის დროს ცხენოსნები დაემწკრი-
ვებოდნენ. ერთი მათგანი, რომელიც კიდეში იდგა, აკედებდა
ბურთსა და მისი მუხობული ცდილობდა მოეჭრეა ბურთისთვის
ჯოხი (ჩოგანი). ის ცხენოსანი, რომელსაც უკანასკნელად
ხკდებოდა ბურთი, ღებოდა ხელმე პირველ ადგილას და იწყებ-
და თამაშს.²⁰⁾

ახლა კი გავიდურათ თეიმურაზის სიტყვები:
«დასრულდა ეს, ხომ დრო არის აწ სხვის ზნეობის თქმა.
ნო?»

ამთაშავი. ასე ამბობს თეიმურაზი და აქვე მოჭყავს
ერთი ცხენოსანთ თამაშობა, რომელსაც ის ამთაშავს ეძახის:

«ერთია კარგი ზნეობა, სრულა ვსთქვა ამთაშავისა.

პატარა დასვან ნიშანი ქალაქდის ანუ რაჭისა.

როგორც ყაბახზე მოსკლა არს, მასზედაც ისრე არისა:

«დაზევით მივა ცხენთიცხად, ხელ-მოხრუნებით ესკრისა.»

აქვე თეიმურაზი აკვიწებს ერთს ცხენოსანთ თამაშობას,
რომლის აწერილობა სხვაგან არსად მინახავს. აი როგორ თა-
მაშობას გვიხატავს თეიმურაზი:

ცხენების ჭენება. «სხვა გითხრა კიდევ, მოედანს ცხენს
როგორ გააჭენებენ.

როს კაცს ცხენიანს ერთს იქით, ერთს აქით დააუენებენ,

¹⁹⁾ ლამბერტი იყო მისსიონერად სამეგრელოში შარდენის დროს-
ვე და ეს თამაშობაც სამეგრელოში უნახავს.

²⁰⁾ „Кавказъ“ 1868 г. «Итальянцы на Кавказѣ», Ге-
оргія Кавбека, № № 72, 73, 78.

შუაზედ გზასა აგდებენ, კარს ასე გააკეთებენ, —
დასძვრენ ცხენსა, ჰკურნენ მათრახსა, ჯერ თავს არ დაანებებენ.
«პირველ თავის შინახვითა ცხენი ყოროთ მიჰყვანდესა,
რამ მოვიდეს კარის ხელსა, იქ მათრახი კიდევ ჰკრესა,
გასარბენლად კარზედ ფიცხად ცხენს დააყრის სადავესა,
მესამეს ჰკრავს, კიდევ აზევს რა რამე კარსა გასცილდესა.»

* * *

ჯირითი. საცხენოსნო გართობათა შორის კიდევ დაგვიჩინა
ასაწერად ერთი, რომელსაც ხელსა ცხენსა ჯირითობას ვეძახით. თუთხმეტო
ან რაღაც წელი იქნება, რაც ეს გართობა გადაკარდა თბილისში. სოფ-
ლებში კი ხელსა არის, უფრო სოფლის დღეობებში, ქორწილში
და ხატობაში... თბილისში ჯირითობა იმართებოდა ამაღლებას
(თუჯუთობას?), ქალაქის სამხრეთ კარების გარედ, ორთაჭაღის
გზაზე. ჯირითობა იმართებოდა ამაღლების შემდეგ პირველ
ხუთშაბათს, წმ. დავითის ეკლესიის დღესასწაულს ანუ მთა-
წმინდობას, იქ სადაც ეხლა გალაკინის პრესპექტია. ხანდის-
ხან ჯირითს მართავდენ თბილისში აგრეთვე აღდგომის სწორს,
ახალ-გვირგვინს ანუ კვირაცხოველობას. სასხპარეზო ადგილად მი-
ხენილი იყო ყაზახის მოედანი. მოხსენებულ დღეობაში აქ შე-
იყრიდა თავს ქართული ახალ-გაზდობა ქართლიდამ და კახეთიდამ.
იმათ ეტყათ ხაკერდის ქულაჯები და ისხდენ მდიდრულად მო-
კაზმულ ცხენებზე. ამ გართობაში იღებდენ მონაწილეობას აგრ-
ეთვე მუსულმანის ბეგები და ალაფარები²¹).

საქართულოში ჯირითობა ვგონებ სრულებით გადა-
კარდა და არსად იცან. იმერეთში კი ხელსა შესკდე-
ბით ჯირითს, მაგრამ იქაც იშვიათად. ჯირითობა ხან-

²¹) „Кавказъ“ 1882 г., № № 173 и 174.

დისხან დიდ ჯარბანობაში იმართება იმერეთში, მაგრამ უფრო
კი სამეგრელოში.

ესთქვით, დღეს რომელიმე სახალხო დღეობას. კარგი სა-
დღის შემდეგ მასპინძელი და მისი სტუმრები, ტიბილი დღე-
ნით წარბ გამართულნი და გამხარულნი მიისწრაფებიან
დანიშნულ მინდვრისაკენ, «ჯარში.» ქალი და კაცი, დიდი და
პატარა—ყველანი მიდიან, ვინ «ჯარის» საცქერად და ვინ სა-
თამაშოდ, ისე რომ სახლში თითქმის მცველადაც არავინ რჩე-
ბა. ყველა ახლო-მანლო სოფლებიდან გაუწყვეტლად მოდის
ხალხი გუნდ-გუნდად. ბევრი წილი ცხენოსნები არიან, უფრო
უშეტესი—ჭკვიანი. აგერ აქედამ ცხენებს მოახტუნებენ და მოა-
თამაშებენ, იჭიდამ მოდიდინებენ და მოიძევიან.

აი, თვართა გამდიდი მიწოდარი სრულად მოიფინა ქა-
ლით და კაცით. აგერ ჭხედავ მცხე მრმოდინადე კაცს თვართა
წრე გაუკეთებიათ და თვრხულს უკლან: ჩაუჭიდნიათ ერთმა-
ნეთისთვის ხელები, უკლან წრეს თვების თამაშით გარშემო,
ხან მარცხნივ ხან მარჯვნივ და ძევიან სათვრხულს სიძევის
მრ-პირად. წრეს შიგნით, შუაში ჩამწყვდეულან პატარა ბიჭები
და ისინიც დახტიან და ჭკვიან. აგერ მრავალ-შტოვან ცაცხვის
ძირში მუხრე უფრო დიდი და თვართა წრე. აქ უფრო ბევრი
ხალხია. ქალი და კაცი მჭიდროდ გასს შემოტყვია წრეს და
ყველა ცდილობს წრეში ჩაიხედოს. ²²⁾ წრეში კი აი რა ამბა-
ვია. ერთი ჩასუქებული შავ-თვალა სოფლის გოგო გახურებუ-
ლი დაიქას აგრილებს და სხვები ტაშს უკრავს. თვართა წრე-

²²⁾ პატარა ბიჭები და გოგოებიც, სიძაბლის გამო რომ ვერა-
ფერი დაუნახავთ, ცაცხვზე შეცვინულან და, შტოვებზე გადმოწოლილი
ჩასცქერიან წრეს.

ში მშვენიერი ქალ-ვაჟი ლეკურს უკლიან; მოლეკურე ვაჟი შავარდენსავით დასტკერის დატყუენილ ქალს, თითქოს მოტაცებას უბრებსო, როგორც მტრედს შავარდენი.

ამ დროს შესუდეთ—ახალ-გაზდა მეგრულმა ცხენს უკან დაახევიან, მერმე ჭკრა ქუსლები, მათრახიც ჭკარში გაატკაცუნა და გაიგდო წინ ცხენი: ესე იგი გააკეთებია ცხენს «ვიშმინი.» მერმე დასწია მაგრად ადვირი. ცხენი აიუაღყა წინა ფეხებით და უკანათი სარკით დაესო მიწაზე და მერმე ისკუზა და გარდახტა წინ. გააკეთებია ეს მალაყი (salto mortale) თუ არა, უმაწვილმა ერთხელ კიდევ გაატკაცუნა მათრახი ჭკარში და გასგომანა თავისი ტან-მოწილი, მაგრამ ლამაზი ცხენი. ჩაუარა მერმე ახალ-გაზდა ცხენსან მეგრულს და გამოიწვია ჯირითში; უკანასკნელი მხარულად გავიდა საჯირითოდ. მართავედ გამოსტკერეს მოკლე ჯოხები (ჯირითები) და ზოგი წელში გაიჭკვეს და ზოგი ხელში დაიჭირეს. მერმე ერთი ერთ მხარეს დადგა და მერმე—მერმე მხარეს, ასე რომ მცდი—მცდი-და-ათი-ოდუ საყენი მანძილია მათ შორის. ჯერ მარტო ეს მრდი გამომეთამაშენ ერთმანერთს და დაუწყეს ერთმანერთს ჯირითის სრულა. ამათ მოემატენ კიდევ სხვა მეგრულები და ზოგი პირველისკენ გადას და ზოგი მერმესკენ. გაიმართა ნამდვილი ჯირითობა. აჭა, იქეთა მხრიდან გამომავლა ცხენი ერთმა პირველმა მეგრულმა. ამას სახეზე და მთელს ტანის მოძრაობაში ეტყობა სიმარდე. გრძელი ჩოხის უკანა კალთა ბალიშზე შამოიკვდა უკან, და წინა კალთები ქამარში ჩაიჭკვდა. შავი სამუგის მოსიწმული საცკეთი უშვენებს წივსა და მუხლებს. შავი სამუგისაკე მესტები ისეთ ნაიწად აქვს შამოლესილი ფეხებზე, რომ იფიქრებ—საცაა ზედ დაასკდებაო. მოკერცხლილ უზანგებს ძლივს ავარებს მესტების წკერებს. თავი მოპარსული აქვს,

ბაშვილი მხარზე დადომანდულად გადაუგდია. ორიოდე ჯიჩითი მარცხენა ადგილთან ხელში უჭირავს და ერთი მარჯვენაში, ორი-სამი ცხენი აქვს გარკობილი. ცხენს ერთი ქუსლი ჰქონდა და მარჯვნივ შეჰკავდა: „ვა-უიუი!“ ცხენი მსწრაფად გაუარდა. მიუახლოვდა მეორე მხარეს თუ არა, მარჯვენა ხელის ჯიჩითით გამოიწვია ერთი მეგრული მოპირდაპირე მხარდამ და გაუარდნილი ცხენი მსწრაფად შეძროხდა. გამოწვეული მეგრული, აგრეთვე გამოხადებულა, გამოუდგენს უკან გამოიწვიეს კელს. ორივენი ჭკნით მოჰქრან. წინა მეგრული ცხენს მოაქროლებს და სულ უკან იხედებს, უკანამ ჯიჩითი არ მომარტყასო. მიმდევარმა მეგრულმა ჯიჩითი უმიზნა და მარჯვნივ გაუხურუნა, მაგრამ წინა მეგრული ისეთი სიძარდით გადაწვა უნაგირზე და ისე დაიძაბა თავის პატარა ქუჩან ცხენზე, რომ ჯიჩითი კი არა, კაცის თვალიც ვერ იხედავდა. — ესრედა მიმდევარმა მეგრულმა ჯიჩითი თუ არა, წამსვე სისწრაფით მოატრიალა ცხენი და წინეთ მიდევნული ეხლა დევნილად შეიქნა: ახლა ამას მოხდეს ჯიჩით-მოწვდილი მეგრული მოპირდაპირე მხარდამ... ამ სახითვე გრძელდება ჯიჩითობა, ვიდრე სულ არ დაიშლებიან.

აქვე უნდა დაუშვათ, რომ მოჯიჩითეებს, რაღაც ჯიჩითები გამოუყვანთ, ნასრულ ჯიჩითებს ძვირად ვინმე მიწოდებს: მარჯვე ცხენოსნები თითქმის გაჭენებულ ცხენდამ გადუკიდებიან და სიძარდით იტაცებენ მიწიდამ.

აი დაახლოვებით რაგონ სურათს წარმოადგენს ახლანდელი ჯიჩითობა. დაახლოვებით მუთქი, ვამბობ, მისთვის, რომ ის სიცოცხლე, რომელსაც მე ვცდილობ მივსტე ჯიჩითობას ჩემს ადწიერილობაში, ახლა თითქმის სულაც არა აქვს. ჯიჩითობა თავისთავად ისეთი ცოცხალი და სახალისო გარ-

თაბა, რომ ენერგიითა და სიტყვებით სავსე ძველი ქართველები ერთი-ასად უფრო განცხორებდნენ ხოლმე. ახლანდელმა ხალხმა კი დაკარგა უწინდებური სიტყვითა და ენერჯია და ამასთანავე საზოგადოდ უკვლავ გართობა-თამაშობამ და მხიარულებამ ჩვენი ხალხისამ დაჭკარგეს წინანდელი ძალა და სიტყვითა.

ძველად ჯიროთობას თავისი ცუდი მხარეცა ჰქონდა. ერთმანეთზე გადაკიდებულნი, მოსისხლე მტერნი დგებოდნენ მოპირდაპირე დასებში და ცდილობდნენ ერთმანეთის ჯავრი ამოეყარათ. თუ კი შემთხვევა მიეცემოდა, მოჯიროთე, ვგონებ, სასიკვდილოთაც არ დაზოგავდა თავის მტერს. მით უფრო განუდუღლად ასრულებდნენ თავის გულის წაღიას, რომ პასუხის გებაში არავინ არ ეძლეოდა, რაც უნდა მარცხი მოეხდინა ასპარეზობის დროს. ხშირად მოხდებოდა, რომ ზოგი უთვალად ბრუნდებოდა სახლში, ზოგი ება-ახვეული და ბეკრი გულ-ზე-ხელ დაკიდებული...

ერთ ღრმს მოხუცებულისაგან (გოტუნა ენისასგან საჯავახოში) გამიგონია შემდეგი ამბავი. როცა გურიელს კემსახურებოდი, მიაძხო მან, ახალი ჯვარ-დაწერილი ვიყავი და, ბატონს თუძცა ბეკრი ვებვიწე, მაგრამ ცოლთან წასვლის ნება არ მოძცა. მოთმინებიდგან გამოსული, ერთ ღამეს მოვასტე ჩემ ბახას და გავწიე შინისაკენ. მინამ შუაღამე შესრულდებოდა, თრმცო ვერსი გავიარე და მიკუდი სახლში. მიკუდავრსე ჩემს ცოლს და გამოვიწიე ისე უკან. გათენებამდე ისე ბატონისას გაკხნდი, მაგრამ ვიღაცამ მიმტერა და დამაბეზლა ბატონთან. ბატონი ძლიერ გაწერა და კაცები მომიჩინა და სრულად მომისპო სახლში წასვლის იმედი... ერთ დღეს ბატონმა ჯიროთობა გამართა და თვითონაც შამოგუკრია. მე წინააღმდეგ მხარეზე გავდექი და — დატრახახებით არ ვიტყვი ჯიროთის სრ-

ლამი ერთი ბიჭი ვერ მაჯობებდა, — გამოვიდა ბატონი ჯიჩითის სასრულად თუ არა, მე უკან გავედი, გაჯავრებით ვესრულე ჯიჩითი და «ში კაკალ» მარცხენა თვალში მოვარტყე!.. ბატონმა იცოდა, რომ ჯავრი მჭირდა იმისი, მაგრამ თამაშობა იყო და რაღას მეტყოდა!..

ეს მაგალითიც განმარტავს სხვათა შორის უწინდელის ჯიჩითის ხასიათს. ჯიჩითობის შემდეგ ხშირად იმართებოდა ბურთაობა.

რეგულარ ბურთაობდენ ცხენოსნები, ეს უკეთ ავწერე. ახლა კიბუკი რჩიოდნენ სიტყვას ქვეითი ხალხის ბურთაობაზე. ქვეითი ხალხის ბურთაობა. ჯიჩითთან ბურთაობაც დაწყდა იმერეთში. — მე საგნად მაქვს აღებულად ძველი თამაშობანი და მამასადამე ახლანდელ თამაშობებზე ლაპარაკი მეტი უნდა იყოს აქ... მაგრამ საქმე ის არის, რომ ბურთაობა ძველადაც სცოდნიათ და ახლაც იციან. იდეა, რეგულარ ძველებურის ისე ესლანდელის ბურთაობისა, ჩემის აზრით, ერთი და იგივე უნდა იყოს. ამისთვის ვგონებ მეტი არ იქნება ჩავუერთო აქვე ახლანდელ ბურთაობის მოკლე აღწერილობა.

ბურთაობა იმართება დიდ დღესასწაულებში ან სახალხოდ დღეობებისა და ქალაქობათა დროს. საბურთაო ადგილად შედელებისა-და-გვარად ირჩევენ ტრიალ მინდორს, გრძელსა და თვართს. მინდორის სიგრძეზე, თავში და ბოლოში, აღნიშნულია საზღვარი, სადამდინაც ბურთი უნდა მიიტანონ. ხალხი იყოფა რეგულარად. გაყოფა სხვა-და-სხვა ჩაირად მოხდება ხოლმე. ან იყოფიან ისე, რომ ცოფიანები ცალკე არიან და უცოფიანები ცალკე, ან საბურთაო ადგილის მიხედვით: შემოურები უკეთებენ და ქვემოურები ქვეითებენ და სხვ.

საბურთაოდ გამზადებულ ხალხით აივსო მინდორი. ცო-
ლიანი უცოლოს დასცინის და უცოლო ცოლიანს. «ბიჭებიც
არ ვიქნებით, თუ თქვენ ხელი არ აგალებინეთ თქვენს ცოლებ-
ზე!» ემსახრება უცოლო ცოლიანს. — «ისეთ საქმეს გიზამთ,
რომ თქვენს დღეში ქალი არ წამოგუყვას!» უზასუხებს ცო-
ლიანი...

სამღვდელთა თუ სხვა წარჩინებული პირი ცხენზე ზის და
ბურთი ხელში უჭირავს. ეს იწვევს ხალხს საბურთაოდ. ხალ-
ხი რაღაც საკმაოდ შეგროვდა, მოთაურძმა რიხიანის ხმით ერთ-
ხელ კიდევ მოიწვია ხალხი და მძლავრად შეაგდო მალა ბურ-
თი და თვითონ კი განზე გადგა. ხალხმა იგრიალა და ათასი
ხელი ერთად გაემურა მალლით მომავალ ბურთისკენ. ბურთი
ჩაუვარდა ხელში ერთ ღონიერ ემაწვილს, მაგრამ იმან გაწდა-
სრულადაც კერ მოასწრო, რატი გატი ერთად ეცა. ემაწვილმა ჩა-
იგდო ბურთი მარცხენა მკლავსა და მკერდს შუა და მარჯვენა
ხელით მტერს იგებებს. ცოლიანები ერთი მკერდსა სცვლიან.
მაგრამ მძლავრი მკლავები ვერას გზით ვერ გაუხსნეს ღონიერ
ახალ-გაზდას. საქმე გასჭირდა. ათიოდე უცოლო ბიჭებმა ერ-
თმანერთს შირობა მისცეს და შევიდნენ სახელში, სადაც ბურთია.
რეგორც იყო მივიდნენ ბურთის მქონესთან და ჩუმიად აცნობეს
თავისი განზრახვა. ბურთის მქონემ იცნო უცოლონი...

არ გაუკვლია სამი წამსაც, რომ ძახილი მოესმა: «ბურთი
გააპარეს, ბურთი გააპარეს!» მართლაც, ცოლიანებს რომ ბურ-
თი იმავე ადგილას ეგონათ, შიშველ უცოლოს ხელში, მკერე
უცოლო ბიჭს გამოუზარებია ბურთი და თავმოკლუჯილი მიწ-
ის «ლელოსკენ». ჯგუფი უცბად დაიშალა და ახლა იმას გა-
მოედევნენ უკან. მაგრამ ბურთიან უცოლოს თუბებში დიდი სი-
მარდე ეტყობა: ბევრი ცოლიანი დაედევნა, უკვლა უკან დააგდო,

ბევრი ცოლიანი წინაც შეხვდა იმას და ცდილობდა შეემსგებებინა, მაგრამ ბევრს იშორებს თვითონ თავის ღონიერ მარჯვენა ხელით. მასთან ერთად მიწიან რამ მარჯვე ბიჭები: ერთი მარჯვენა მხარში შედგომია და მეორე მარცხენაში. ესენი შეუღიან მას გაჭირვების დროს და უბეჭებენ დამხვდურებს... ამ სამმა ბიჭმა მალე გაიმინდვრეს და მთელი ხალხი შორს დასტოვებს უკან. უცოლოებმა დასძახეს გამარჯვების ყიყინი და მძლავრად გასრულილი ბურთი გარდასცვიდა ჯეჯეს.

ასეთი ანის დღეს ბურთაობა ჩვენში, დაახლოებით, მაგრამ აქაც ის უნდა გავიმეორო, რასაც ჯიჩითზე ვამბობ. ახლანდელს ბურთაობას იმ ბურთაობის მესამედი სიტყვაჟეჯეჯე არა აქვს, რეგორიც ქქიანია ამ რცა—რამეცა წლის წინად. წინედ რომ თავის ნებით მოისწრაფოდუნ საბურთაოდ სიამოვნებით და სიხარულით, დღეს დიდი ხეწინითაც გაჭირდება საბურთაოდ ყმაწვილების შეგროვება: ზოგი იძახის «წელი მტკიცაო», ზოგს ეზარება, უბეტესი ნაწილი კი იძისთვის არ იღებს მონაწილეობას, რომ არ სცადაიან. დიდებს თავი დაკანებოთ, პატარა ყმაწვილებსაც თითქო შესჯავრდათ თავისებური ბურთაობა.

დასასრულ, ბურთაობის აღწერილობის შესავსებულად მოვიყვანოთ ის სიტყვები, რომლებსაც ვაზ. «კავკასში» ვხეულობთ ძველ ბურთაობის შესახებ:

«ახლანდელ ვერის ხიდის ახლოს, თბილისიდან მცხეთაში მიმავალ გზის მარცხნივ, გაშლილია მინდორი, რომელსაც საბურთალო ქქიანს. გარდმეცემით ვიცი, რომ წინად ბურ-

თაობას, რომელიც აქ იმართებოდა, ჰქონდა სამხედრო ვარჯიშობის ხასიათი. თვით საქართველოს მეფეებიც კი იღებდნენ მონაწილეობას ამ ვარჯიშობაში. ვინც გაიმარჯვებდა, მიართმევდნენ ხელმე ძვირფას ვაშლს, ესე იგი მომჭრელებულ მეტაფორის ბურთს. საბურთუთიდან იყო ეს თამაშობა გადმოტანილი თუ შორეულ აღმოსავლეთიდან შემოვიდა ჩვენში, არ ვიცით. სამწუხაროდ, ამ სამეფო გართობის დაწვრილებითმა ცნობებმა ჩვენამდის ვერ მოაღწიეს. აღბად ერეკლე II-ს მეფობის უკანასკნელ დროს, სხვათა შორის ეს თამაშობაც გადაგდეს და მივიწყეს. ამას დავსძინოთ შემდეგი: აღმოსავლეთის ხახლთა ზღაპრებში ხშირად შეხვდებით, რომ ბურთაობაში მოჭრის ვაშლის საშეგარდა იმართება ხელმე «ერთხობროლა» (ЕДИНОБОРСТВО). სომხთ მწერლების თქმით ამ გართობას დიდ პატივსა სცემდნენ არაბების ხალიფები და შემდეგ მაჭმადიანთ მბრძანებლები²⁸.

საქართველოში დიდ პატივისცემაში იყო ჭიდაობა და კრივი. ამათში მხელად ჭიდაობაში მოაღწია დღევანდლამდე.

ჭიდაობა. ჭიდაობა ერთი უძველესთაგანი გართობაა. ჭიდაობას ქართველი ხალხი იხსენიებს ძველთაგან-ძველ ზღაპრებში, სადაც დეკები და სხვა-და-სხვა არა ჩვეულებრივი არსებანი მოჭმედებენ. ხალხს გამეფებს ხელმე თავის ზღაპრებში გმირად თავისი მსგავსივე არსება, ვატი, და აჭიდავებს უზარმაზარ დეკთან და მაინც ვატი სჯობნის ამ საშიშარ ქმნილებას. დროქნის ბაუბაუ-დეკმა ყარაღანი და მუხლებამდის მიწაში ჩაფ-

²⁸ Кавказъ 1882 г. № 173—174

ფლანკი, მოიქნია ყარამანმა ბაყბაყ-დევი და წელამდი დამალა, ბოლოს მოიქნია ბაყბაყ-დევი ყარამანმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა და ყელამდი დამალა, თავი მოსჭრა და ტანს მიწა წაყარა: ასე აგვიწერს ჩვენი ხალხი დევებთან ჭიდაობას.

ჭიდაობა უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე «აქრობა»-ღა. ჭიდაობა და აქრობა ერთმანეთისაგან იმით განიხილებიან, რომ «აქრობაში» იარაღით იბრძვიან და ჭიდაობაში კი უიარაღოდ, ღონით და ხერხით ეჭიშვებიან ერთმანეთს.

ამის აქრობაში ერთ ერთს ფაჯავანს უთუოდ სიკვდილი მოულოდნელად, სიკვდილი ფიზიკური და არა მხოლოდ ფსიქოლოგიური. ჭიდაობა კი იმართებოდა და იმართება ჩვენს დროშიც მხოლოდ ძალისა და სიმარჯვის გამოსახენად და სახელის მოსახვეჭად. ამ მხრით ბევრ ფაჯავნებს გაუთქვამსთ სახელი ხალხში. ჩვენი ხალხი ქებით და დიდებით იხსენიებს თავის საყვარელ ფაჯავნებს: ხიზამბარულს, ჩიტო კალატოში-შილს და მრავალს სხვებს.

ყოველ განთქმულ ფაჯავანს თავისი მოწინააღმდეგე, მოჭიშვე უჩნდებოდა, და ერთი კი არა — რამდენიმე ერთად, სახელგანთქმული ფაჯავანი უთუოდ უშიშრად უნდა გასულიყო თავის მოჭიშვესთან. ფაჯავანს რომ უკან დაეხია, ხალხი უთუოდ მიშინავდა და პატივი მოაკლდებოდა.

როგორც ჩვენს დროში, ისე წინუდაც ჭიდაობა იმართებოდა სახალხო დღესასწაულებზე. ამ დღესასწაულებზე იკრიბებოდა აუარსებელი ხალხი აღნიშნულ ადგილს. ხალხი მით უფრო მეტი მიდიოდა, რომ აქ ეგულებოდა სახელგანთქმული მოჭიდავნი. მართლაც, მოჭიდავნი საქართველოს ყოველ კუთხიდან განგებ იკრიბებოდნენ ამისთანა დღესასწაულებზე. დღეობა ისე

ძვირად გათავადებოდა, რომ ჭიდაობა არ გამართულადყო. ყოველ ფალავანს ჭყავდა თავისი მომხრეები, თავისი პატრონები ანუ, ახლანდელი ენით რომ ვსთქვათ — თავისი პარტია. ეს პარტია ამხნეებდა თავის ფალავანს და ყოველ-გვარ შემწეობას აძლევდა. ფართო მინდორზე ხალხი შეიკრებოდა დიდ წრედ. ერთი რომელიმე პარტია გამოიყვანდა თავის ფალავანს და წრეში ჩაყენებდა. წრეში მდგომი იწვევდა მორჩეს საჭიდაოდ. მორჩეც მალე გადიოდა. ზურნა დაჭკრავდა საჭიდაოს და იმართებოდა ჭიდაობა.

გაზ. კავკასიის აღწერილობით მორჩილად წლებში ჭიდაობა ჩვენში იმკვარადვე იხატება, როგორც ჩვენ ესლა მოგვყავს ეს აღწერილობა. აი მოედანი, სადაც ჭიდაობა უნდა გამართოს. ფართო წრეს იგროვებენ არტყის აყარებელი ხალხი. სამიოდე ახლავანი ვაყვანი დადის წრეში და იცავს წესიერებას. ფეხშიშველი და დამკლავებულნი მოჭიდავენი გამოდიან მოედანზე. ზურნა გაცხარებით გაჭვივის. ზურნის მხიარულ ხმასზე მოჭიდავენიც მხიარულად, ცეკვით და თამაშით უკლავს წრეს. ხშირად ერთმანეთს, აჯავრებენ და თითქმის ცდიან ერთმანეთის ძალას და ღონეს. ამ დროს აჭა, მსწრაფად, ელვასავით მისწვდა ერთი მათგანი და მიუხტა მეჭამშეს. ეს უგანასკნელი ცდილობს, როგორმე მარჯვე დრო აიჩიოს და კარგს ალავს ჩასჭიდოს მაგრად ხელი. მაგრამ ჭხედავს, რომ ცუდად არის საქმე, და ისეკ მარდად და სისწრაფით დაუსხლტა ხელიდამ. ცოტა გაითამაშა და კიდევ მიჰყავდა მშიერ ვეფხვასავით. ახლა კი მილავრად დაჭკრას ბეჭებზე და მარჯვედ ჩასჭიდა ხელები. ერთი თვალის დახამხამებაზე გადმოიღო მხრებზე, ფეხები მალე შეათამაშებინა და ზურგით მიწაზე გაშხლართა. გამარჯვებულნი ფალავანის პარტიამ იგრილდა და აიტაცა ხელში

თავისი მოჭიდვაჲ და ისე განცვილს შორს ერთი კიყინით და
 «ბარქაჯას» ძახილით. გამარჯვებულნი აავსეს სარეზინით. და-
 მარცხებულნი ფაფაკი და მისი პარტიკა — დიდად დაღონ-
 ბული მოშორდა მოედანს.

მაგრამ ხშირად მოჭიდვანი მტრებად გამოვლინდნენ ხელ-
 მე ერთმანეთს. ხშირად წაქცევის დროს გამარჯვებულნი ფაფა-
 კანი სტუმს დამარცხებულს! ამგვარი მოქმედება სარეზინოდ ამ-
 დაბლებს განთქმულ ფაფაკს და მეორედ — პირ-და-პირ ეწი-
 ნაადმიდებენ ჭიდაობის წესდებისა და კანონებს, რომელიც
 ხალხს ჩუქურბად გარდაქცევია.

მასწავლებელი ნებას არ მძლავრებს დახატულ სრულად ჭიდა-
 ბის წესდებულს. გარდამოცემით კი ვიცით, მაგ., რომ მოჭი-
 დავა ფაფაკს თავისი მოპირდაპირესთვის უთუოდ ზურგი უნ-
 და დაეკრეკინებინა მიწაზე: უამისოდ სრულ ჯობნად არ ჩა-
 თვლებოდა დამარცხება.

კრივი. ჭიდაობაზე არა ნაკლებ ჭეკანობას ჩვენს ხალხს
 კრივი. ეს განთობა გადავარდა მე-19 წელთ დასაწყისში. კრივი
 კარგად აქვს აღწერილი თავ. დაგ. იოსების-მეს ბებუთაშვილს
 თავის ავტობიოგრაფიაში.

კრივი იყო რა ნაირი: მუშტის კრივი და სარდათის კრი-
 ვი. მუშტის კრივს მართავდნენ ზათხულში, ქალაქის ქუჩებში,
 და სარდათის კრივს ზამთარში ქალაქს გარედ. განსა-
 კუთრებით საყურადღებო ყოფილა სარდათის კრივი. ბრძო-
 ლას იწყებდნენ პარტის ბავშვები და ათავებდნენ დიდები. რეგულარ-
 ჭიდაობას, ისე კრივისაც ჭეკანია თავისი წესდება, ხალხის ჩუქ-
 ურბაზე დამყარებული. კრივში წარმოდებული იარაღი, სარტყელი,
 ქუდი თუ ნახაღი — ითვლებოდა კანონიერ ნადავლად ანუ ალა-
 ფად.

«როცა კრივი ქალაქში გაიმართებოდა, ამბობს ზემოხსენებული ბებუთოვი, მსუურებლები, ქალი და კაცი, ადიოდენ სახლების სახურავზე, ავსებდენ ბანებს და იქილამ შესცქეროდენ ომს და ამხნეებდენ გამბედავ მებრძოლთ თანაგრძნობის აღმჩინით. და როცა ქალაქს გარედ იბრძოდენ შურდულებით და ხმლებით, მსუურებლებს წინ-დაწინვე ჭქონდათ დაკავებული გორები და მალაღი ადგილები. იქილამ კარგად ხედავდენ ყველაფერს ქვევით, ღელეში და ხეობაში, სადაც ჭქუნდა ბრძოლა...

«კრივს განსაკუთრებით ახალ-გაზდობა, მისდევდა. ეს საგვირგელოც არ არის. ქართულ ქალს ერთი-ათად უფრო ტურფად ეჩვენებოდა ის ვაჟი, რომელიც კრივი გაიმჯრებდა და სახელს გაითქვამდა. მოკრიპენიც, წასაკვირგელია, რომოდენათაც სახელის შოვნას ცდილობდენ, იმდენათვე სწადდათ და ცდილობდენ თავის გამჩინას თავიანთ ღორთავ თვალის სინათლისა სასიამოვნოდ და სასიქადულოდ-

«კრივს ჭქონდა თავისი ჭემიარტად კარგი მხარე. ქართული კაცი პატარაობილამვე იწვრთნებოდა სამხედრო ხერხებში, ავარჯიშებდა თავის საღ გონებას და გამჭვრეტელობას, რომელიც მას ბუნებით დაჭყლავია, ვარჯიშობდა სიძარდეში, სისწრაფეში—ერთი სიტყვით, კრივი ქართული იქნდა ყველა იმთვისებათა, რომელნიც ძვირფასნი არიან სამხედრო საქმეთათვის.

«საზღაოთის კრივი ომს იწყებდენ შურდულებით, რომლებითაც ესოდენ ქვებს თავის მოწინააღმდეგეთ. შურდულები პატარანი იყვნენ, უფრო სათამაშონი, და არა იმგვარნი, როგორცთაც ხმარობდენ საომრად მაგალ. ძუელი ხალხნი.

თავდაპირველად მუშურდულენი თოფების მსგავსად მოახდენდენ ცოტადენ არეულობას მტრის რაზმებში. მერმე მუხმ-

აქნი დაწინაურდებოდნ და ხელდახელ დაეროდნ. ამათ უხმაკუ-
ბოდნ მეშურდულენი, რამეღნიც ისე ახლო მიჭყებოდნ მათ,
რამ უშურდულად ხელთ გაისროდნ ქვეს. ამ შემთხვევაში
ქვესგან სათვარად ჭქონდათ ნაბდები.

გვიგის, სხვათა შორის, ესწრებოდნ აგრეთვე წარჩინე-
ბულნი პირნი და რუსის მხედართ-მთავარნი: მაგალ. თავ. ცი-
ციანოვი, გრიგოლოვი, თავ. ვარანცოვი და სხვა... 24)

დავით ბებუთოვს თავის დღიურში მოჭყავს ერთი დღის
სარდათის გვიგის აღწერილობა. მით უფრო სანტერესოა ჩვენ-
თვის ეს აღწერილობა, რამ ბებუთოვს თვითონ მიუღია მონა-
წილეობა ამ გვიგის და ყველაფერს დაწვრილებით მოგვით-
ხრობს. აი რასა სწერს ბებუთოვი:

აუღმთავრესი სარდათის-გვიგები იმართებოდნ ყველაერთში
და თავდებოდნ დიდ-მარხვის პირველ დღეს. ამ დღეს აქვს თავ-
ვისი ისტორიული სახეაწოდება—ყვენობა ანუ ყვენების აჯან-
ყება.

ყვენობა. ყველაერთის ორშახათს დილა აღრიანად ქალაქის
ორთავე ნაწილებში 25) აიჩივდნ თითო ყენს, მოჭრთავდნ იმათ
მდიდრულად და დასვამდნ ტასტზე გამოჩენილ ადგილას, სადმე
ჯვარედინს გზაზე. აქედამ ეს ვითომ ყენები ადგილად ხელავ-
დნ ყველა გამკლეს და გამომკლეს. თითოეულ ყენის-
თვი სცალკე მდიდრულად მოართული ცხენი უჭირათ ქუჩაში

24) Военный сборникъ 1876 г. кн. 3 и 4: Автобиограф. Да-
вида Осиповича кн. Бебутова.

25) სიონის სობორო ჰყოფდა ქალაქს ორ დიდ ნაწილად: ჩრდი-
ლოეთით მდებარეობდა ერთი ნაწილი ქალაქისა და სამხრეთით—
მეორე.

აქვე ახლავს იუვენს ევენის ჯარის რაზმები, რომელთაც ქუჩების სახელები ერქვათ. თითოეულ რაზმს წინაუძღვდა სახელგანთქმული მოკრივე. ევენის ბრძანებით ყოველს გამოკლავს, რომელიც მათ უბანს არ ეკუთვნოდა. ახდევინებდნ ხარკს. მუბაირალე და რამდენიმე მისი თანაშემწენი მიწბოდნ იმ გამოკლავისაკენ, რომელსაც ევენი უჩვენებდა. მუბაირალე გარდაუღობავდა გზას გამოკლავს, დაურჭობდა წინ ბაირალს და ევენის სახელით ითხოვდა მისგან ხარკს. უარსაც არავინ არ ეუბნებოდა და აძლევდა ფულს საშუალების-და-გვარად. შამომწირველს გზას უთმობდნ, ტრიუმფით აცდილებდნ და ხმამაღლად აღვიარებდნ მისს სახელს და შამონაწირვის რაოდენობას. ევენის ხაზინადარი სწევდა დაკთარში შამომწირველის სახელს და შამომწირულ ფულებს. ეს გრძელდებოდა სადილოებადის. ხასდილევს ევენები დასეირნობდნ ქუჩებში, თავ-თავის სამთვლობელში. მოწინააღმდეგენი თუ შეხვდებოდნ ერთმანერთს, პატარა შეტაკება მოხდებოდა, მაგრამ მარტო უნცროსებს შორის.

საზოგადო ბრძოლის დღეთ იყო ამოჩჩეული ყოველთვის დიდ-მარხვის პირველი კვირის ორშაბათი. ყველაიერის ორშაბათი დამ დაწყებული შაბათადი, ამ დღის ჩათვლით, დიდძალი ხაზინა გროვდებოდა ხალხი.

კვირას, დღით გაიმარტებოდა, მოლავარაკება წინააღმდეგ მხარეთა შორის. გზავნიდნ დესპანებს ანუ მოციქულებს, რომლებიც ევენის ბრძანებით მოითხოვდნ წინააღმდეგ მხარესაგან ხარკს ან დამოჩჩილებას. ამ შემთხვევაში ორივე მხარენი ხმარობდნ სხვა-და-სხვა ცბიერებას და ხრიკებს: ცდილობდნ რომლისამე რაზმის მოსყიდვას ან თავისკენ გადატყუებას. ორგულაობა და გაცემა მოხდებოდა, მაგრამ ძვირად. ფულის გაყოფის დროს

თუ დაჩქებულა უკმაყოფილად რომელიმე ქუჩის რაზმი ის ან უმტყუნებდა ყვეს და ან სულ თავს ანებებდა ბრძოლას.

«კვირას ნაშუადღევს ყეინები, ერთი ზედა-უბნიდამ და მუარე ქვედა უბნიდამ, ერთი დიდი აბით გავიდენ ქალაქს გა- რედ: ერთიც და მუარეც გაიმართა თავ-თავის ალგს ცინის- კარების მოშორებით.

«იმ დღეს, რომელზედაც მე ვლავარაკობ, ბრძოლა და- ნიშნული იყო სოლოლაკში. ჩვენი ყეინი წინ მიდიოდა ცხე- ნით: იმას გარემოტყმული ჰყავდა თავისი წარჩინებული პი- რები და მის წინ მიჰქონდათ ბაიჩალები, ყოველ ქუჩიდაც თი- თო. რაზმების თავში მიდიოდენ სანჯანდარნი და უკრავდენ ზურჩანზე, დაფ-დაფზე, ბობლანებზე და დიდ-უშეკლებულ გამა- ვრუებულ საყვირზე დარტოტოზე. მოძღვრები საკრავთა ხმაზე მღეროდენ სამხედრო სიმღერებს. მოშაირნიც ხმას აყოლებდენ წინწილებს და მოუთხრობდენ ხალხს წასულ დროის გმირების ღვაწლსა და სიმამაცესა. ყველაზე წინ მიდიოდენ მსტუნავი მოთამაშენი, ბერკები დამსხარა ბიჭები. ჯარნი მიჰ- უვებოდა ყეინს და თან მიჰქონდა სურსათი და სასმელები.

«როცა გამავიდოდენ ქალაქს გარედ, მებრძოლნი იჭერ- დენ იმ სტრატეგიულ პუნკტებს, საიდანაც ფიქრობდენ მუარე დღეს ომის დაწყებას. ორივე მტრული მხარეები დაბანაკებო- დენ ერთმანეთის პირის-პირ და მთელ დღეს და მთელ იმ ღა- მეს ჭიფობაში ატარებდენ. მაგრამ ამავე დროს არ ივიწყებდენ არც სამხედრო თათბირს და თავდარიგს: არჩევდენ თავ-შესა- ფარს ან თავს-დასასხმელს ადგილებს, ცდილობდენ შეეტყოთ ჯაშუშების შემწეობით მტრის განკარგულება. რადგანაც გან- მუარეკრავთა სახელები ყველამ იცოდა, ამისთვის ძლიერ

საჭირო იყო ცნობების შეკრება, რომ სცოდნოდით—ვისთვის
რამდენი ჯარი ჩაებარებიანთ და ვინ საითკენ გაეგზავნათ.

«მომხატის ისეუკ გაიმეორეს ერთმანეთში მოლაპარაკება
დესპანებისა და პარლამენტურების შემწეობით. მოლაპარაკება
განგრძელეს დიდის თურთმეტ საათამდის, იმ აზრით, რომ
მსურებულ ხალხისთვის მიუცათ დრო გამოსულიყო ქალაქს გა-
რედ და დაეჭინა ადგილები.

«გაიცის თვალის მიმზიდველს და რაღაც უჩვეულებრივ
განსხვავებულ სურათს წარმოადგენდენ ქალები, რომლებიც წე-
რებისათვის მიემწვრილებოდნენ გორების წვერებზე. ეს პოეტურად
მწვრივი ქალებისა ამხნეებდა მოკრივეებს და თითოეულს მათ-
განში აღძრავდა სურვილს, რომ დაენახებინა თავისი ვაჟ-გაიცე-
ბს იმ თვალებისთვის, რომელნიც იმას შესტყუროდნენ.

«თურთმეტ საათზე თავ. ციციანოვი მოვიდა თავის ამა-
ლით და ზედა-უბნის სხვა მსურებულთ შორის ისიც გადმო-
დგა სოფელის მთაზე. უკუა დაწმუნებულ იყო, რომ
გაცხარებულ იმდენ მოხდებოდა. ისიც დაჯერებით სწამდათ,
რომ გამარჯვება დაჩიებოდათ ზედა-უბნელებს, რომლებსკენაც
ყოფი თვით მხედართ-მთავარი. უკუა მოუთმენელად ელოდა
იმის დაწყების ნიშანს.

«მოლაპარაკება გათავდა. ზურნამ დაუკრა ძველებური სა-
ომარი სიმღერა ზღაპრულ გმირზე, ქორეოლიზე. დამსურუ-
ბელმა ღმერთობის დროაღმა აცნობა უკუას იმის დაწყებას.

«ბრძოლა დაიწყო ჩვენ, ქვედა-უბნის ბავშვებმა. მე გა-
დახტი წინ და სხვებთან ერთად დაიწყო შურდულით ქვების
სროლა. ქამარზე მეკიდა ხის ხრძალი და მარცხენა მხარზედ
საფარად ნახადი მიკინდა. ახლა რომ მიუვლით, მოწინააღმდე-
გნი ხმალი იწვევდნენ ერთმანეთს. ერთი გამბედავი ყმაწვილი

დახტოდა ჩემ წინ და იფანჯდა თავს ჩემი შურდულისაგან. უეცრად მოვარდა ის ჩემთან. ჩვენ შევიტაკებით და დაკუწეთ ცემა ერთმანეთს ხრძეებით. ჩემი მოქიშვე დაკტერი, მაგრამ მეც გამიზო იმან წარბი. ამ დროს უეცრად მოვარდა მამა-ჩემი, რომელიც იქვე მსუურებლებში იდგა და რომელსაც შევემჩნეო ბრძოლაში. ჩვენ, ახალ სასწავლებლის²⁶⁾ შაგირდებს, აკრძალული გვქონდა კრიკში გარეკა, და ამისთვის, ჩემდა ფრიად სამწუხაროდ, მამამ გამომიყვანა და უნდოდა სახლში გაგვბრუნებო. მე დაკუწეთ ტირილი და ბეჭი ხვეწნის შემდეგ, რომელიც იქნა, დამტოვა მსუურებულთ შორის. მაშინ მამა-ჩემმა მომხანა სახლი და თავის ხელსახოცით შემიკრა გახუტული წარბი. შემდეგ ჩამოაგდო ბიჭი ცხენიდან და მიბძანა შეჯდომა და მასთან დარჩენა. მე არ მოვმორბობვარ ბრძოლის ადგილს გათავებამდის, თუმიც ძლიერ მსწუხებდა გახუტულის წარბის ტვიკილი.

«ქვის სრულა და ხელ-ჩართული გრძელდებოდა რომელიც წინედ, ისე რომ დამლევა და ჯობნა არც ერთ მხარეს არ ეტყობოდა. რომელიც სჩანდა, ცადაცასი ეშინოდათ და ცადაცა სულადენ. უეცრად, ნაშუადღევის პირველ საათზე, ჩვენმა მტრებმა შექმნეს ერთი ჩოჩოლი და ალიაქოთი. იმათი ცანძები წავიდ-წამოვიდნენ აქედ-იქით. მთის წვერზე დამწკრივებული მსუურებლები გარდავიდნენ მეორე მხარეს. ჩვენები მოემზადნენ ერთად თავ-დასაცემად და დაიკავეს ყველა მისავალი ადგილები და ბილიკები, რომლებიც სოლოლაკის წვერზე აღიოდნენ. ამის მიზეზი იყო შემდეგი: ჩვენმა უეინმა ჩუმად შუალამისას გაგ-

²⁶⁾ კეთილშობილთა პანსიონი, რომელიც გაიხსნა თბილისში მე-30 წლებში.

ზანა ერთი წაზმი სოლოლაკის გარშემოსავლად, ბარე ეჭვს
ვერსზე, სოფელს ტახახმელას. ამ წაზმს ჭქონდა ნახმანები
გასუფიყო მრძახათს და ასე — თორმეტ საათზე გარდმოშვე-
ბოდა სოლოლაკის მთას და მოსწოლოდა მტერს. ამასთანავე
მთაზე, მქრთ-ყანიდამ დაწყებული, ამ წაზმს უნდა დაეყენებინა
საუკეთესო მეშურდულები, რომ მტრისთვის ზურგში დაეწოთ
სოლოლაკი.

«გარშემოზღუდულ წაზმის მოწივავე კატები გამომხდენ
მტრის გვერდზე თუ აწა, იმ წამსვე უფროსმა მხედრებმა და-
იჭირეს უნცროსების ადგილი და იერიშით წავიდნენ მთისაკენ.
მრავლად გამოვიდნენ მეშურდულები ათასობით და სეტ-
ყვასავით მიასყარეს ქეები ერთმანეთს. დაჭრილები თავს ანებებდნენ
ბრძოლის ველს და იმათ ადგილს იჭერდნენ სულ უფროს-უფროსი
მხედრები. ყოველით გაცხარებული შეტაკება იყო: მომხდურებს
მრავალ წააქცევდნენ, ცდილობდნენ მთიდავად გადმოგდებოდა. მაგრამ
ამხანაგები ეშველებოდნენ და რძი ისევე გათანასწორობოდა ხოლ-
მე. ბრძოლა გაგრძელდა თითქმის ერთ საათს და ქვედა უბ-
ნელებმა ვი მოახერხეს მანც ნახევარი მთის დაკავება და
თავს იფარავდნენ ქეებისგან, რომელნიც ზევიდამ ზუზუნით
მოჭქროდნენ. ამ დროს გარშემოვლელი წაზმი მთის წვერ-
წვერ გაყოლებით მივიდა მტერთან და შეეტაკა ჯარის ერთ
ფრთას. ზედაუბნელებს, რაღა გზა ჭქონდათ, ამ წაზმის წი-
ნაღმდეგ უნდა გამოეყვანათ თავისი საუკეთესო მოგრივე და ამ
გვარად თავისი ძალა უნდა შეესუსტებინათ.

«უეცრად მოისმა საშინელი ყვირილი. განთქმულ მე-
ბრძოლთა სახელი ეჯვასავით მოუფინა მთელ ხალხს და ყველას
მომჩებს რაღაც ელექტრონულმა ნახერწვალმა გაურბინა ძარ-
ღებში. ზურჩისა და საყვირების გამაყრუებელი ღრიალი მოე-

ფინა შორს მთელ არე-მარეს. რძი ცუცხლებს ანთო. იბრძო-
 ჟენ მხლელად ხმლებით, ჭკებს აღარ ხმარობდენ: კრივის წე-
 სით ხმალ-და-ხმალ შეტაკებაში ჭკის სრულად მხდალად ით-
 ვლებოდა.

«ზედა-უბნელები შესუსტდენ და უგუ-იქცენ. ჭკედა-უბნის
 მებრძოლთ დაიჭირეს მთა და მტერი გაიქცა სოფოლაკის ხე-
 რბისაკენ.

«შურდულის ჭკებმა მიაწიეს თავ. ციციანოვსმდისაც და
 მასშინ კი უკან დაიწია. უკან-დგენა საერთო შეიქნა. გაქცეულს
 მტერს გამოკვიდენ უკან ხეობაში და მისდიეს თვით მთავარ-
 სარდალის სასახლეში, რომელიც იქ იდგა, სადაც ეხლას
 არის, მაგრამ მასშინ ქალაქს გარედ იყო და გარშემო კრტუა-
 ბალები და ტრიალი მინდვრები. ქალაქის უკელა კარები დაკე-
 ტეს, რომ გაქცეულები ქალაქში არ შეტვირთულყვნენ.

«თავ. ციციანოვს თავისი ამალით და წარჩინებულ თავა-
 დებით ერთად მიაჭენეს ცხენები სასახლესთან. ციციანოვი ჩა-
 მოხტა ცხენიდან და ავიდა პარმალზე (ბალკონზე) და უცდიდა
 ბრძოლის გათავებას. ციციანოვს აცნობეს, რომ მარცხის მი-
 ზეზე უფიქროს თვით ზედა-უბნის უკანი, ამას არ მიატოვა თა-
 ვის სახელგანთ მორიგესთვის, საატლასთვის, იმდენი ფული,
 რამდენსაც ეს უკანასკნელი თხოვლობდა, და ამით შეურაცხ-ყო-
 თა მიუყენებინა მისთვის. გულ-ნაკლულმა საატლამ, და მასთან
 ერთად რძიოცმა თუ რძიოც-და-ათმა საუკეთესო მკომრებმა,
 გარდასწვიტეს არ მიუღოთ რძიში არავითარი მონაწილეობა.

«—აიგეჩა ის—უბნებოდენ თ. ციციანოვს—ზის აიქ, მთა-
 წმიდის (წმ. დავითის მთის) ძირში და დასტანის უკანს.»
 «თ. ციციანოვმა უბრძანა მორეკანათ საატლ. რძილსაც
 უკანასკნელი გამოცხადდა, მთავარ-სარდალმა ჭკითხ: «შეგოდინა»

რძი ისე განახლო, განდევნო მტერი და ამით ისე აღადგინო ზედა-უბნის სახელი?» სასტომ დაიდო ხელი გულზედ, რეგორც არის ჩვეულება აღმოსავლეთში, და მოახსენა: «დემკმა დღეგრძელება მოგანიჭოს, ჩემო ხელმწიფე! თუბრა ყეინმა მაწყუენა მეც და ჩემს ამხანაგებსაც, მაგრამ ახლა შენ ხარ ჩვენი მთავარი და წინამძღოლი, და შენი სიტყვები ჭეშმარიტია ჩვენთვის. მე შენ გემორჩილები. მართალია, ჭკუდა-უბნიდამ ჩემთვის მეტოქეობის გაწევა შეეძლო მხოლოდ შერმაზანს, რომელსაც მე პატროვს ვსტემ, მაგრამ მე შეგიტყუე, რძი ისა და ბეკრი სხუებიც დაჭრილი ყოფილან, თუ დადლილ-დაქანცულები, ჩვენ კი, ბარე რძიმოც-და-ათი კაცი, ჯერ სულაც არ შეესუფავართ რძში. მე მგონია, რძი თუ ყველანი ერთგულად და მონდომებით დავეცემით, გამარჯვებულნი ჩვენ ვერ გაგვიძლებენ. მე გთხოვ მხოლოდ ერთი მეოთხედი საათი დამაცადოთ, რძი გარდავსტე ჩემს ამხანაგებს თქვენი ბრძანება.»

«სასტომ მიიღო თ. ციციანოვისაგან ერთი ქისა ოჭრო. დაბლა რე ჩავიდა, გამეფცხადა ამხანაგებს მხედართ-მთავარის სურვილი და უთხრა: «თქვენ რღონდ მარჯვნივ და მარცხნივ დამითარეთ, და მოწინავეებთან ბრძოლა კი მე მომინდვთ, ნუ გეშინიანთ!»

«ზურნამ დაუკრა გამარჯვების სიმღერა, «ქოროღლი». დორორტორტოს ღრიალმა გვაცნობა რძის დაწეება. ხალხმა ერთ-ხმად შესძახა: «სასტომ მოდის, სასტომ!..» აჭა სასტომც! ვუხვსავით მივარდება იგი ხან ერთს და ხან მეორეს და სტემს სარდასტით. ჭკუდა-უბნის მომხრეები ყვირიან და უძახიან შერმაზანს, რძი მოეშელოს და შეაჩეროს სასტომ, მაგრამ შერმაზანი არსადა სჩანს. ჭკუდა-უბნის ჯარმა კვლავ გაუძლო და გაიქცა. სასტომ დაუდევნა იმათ და თითქმის ასული იყო სოლო-

ლავის მთაზე, საიდანაც ის ფიქრობდა გარდაუყარს მეტოქეობა
ხრამში. ამავე წამს კილაც მეშურდულემ მოახვედრა იმას ქვა
მარჯვენა თვალში... სასტო წაიქცა. შეიქნა ერთი გამწარებუ-
ლი შეტაკება და აჩუქდა: ერთ მხარეს უნდა და გაეყვანა
თავისი წინამძღოლი, მეორე მხარე არ აძლევდა ნებას და იყო
შეუპყარნი ბრძოლა.

«თავ. ციციანოვი მივიდა ცხენით ბრძოლის ადგილს. იმ
წამსვე გაგზავნა თავისი ამალი და მოხუცნი თავადნი და უბრძა-
ნა მოესპოთ რძი და მოეძებნათ ის მეშურდულე, რომელმაც
დააჩუქა კრივის კანონი და ხმლებით ბრძოლის დროს ქვით
თვალთ გადმოსხარს სასტოს.

რძი მოსპეს, სასტო გადაჩნა ცოცხალი, მაგრამ მარ-
ჯვენა თვალი დაკარდა. მუხთალი მეშურდულე ვერ იპოვნეს.
ამ დღეს საკვდილით აჩაპინ მოძიკდა, რადგან ბრძოლაში
დაიცივეს კრივის წესნი, იმ ერთი შემთხვევის გარდა, რომელიც
ახლა მოვიყვანეთ. ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ თავგახეთქი-
ლები, თვალწაგარდნილები და ცხვის-პირ დამტყრულები ცო-
ტანი არ ყოფილან. საშოკაროდ კარგა ძალი დაჩნათ.»

ამით ვათავებ ბასს გართობათა შესახებ. რამდენათაც მა-
სალებმა ნება მომცეს, ვეცადე დაწვრილებით გამომეხატა თი-
თოეული თამაშობა. თუ წვრილობითი მასალები მის მეტი არ
დაგვჩენია, რაც მე მოვიყვანე, იმ შემთხვევაში დახმარების ამო-
ჩენა შეუძლიანთ მხალხლ ძველ კაცებს, მოხუცებულებს. ბევრს
ამათგანს ახსოვს სხვა-და-სხვა თამაშობანი თავის ცხოვრებიდან
და ბევრი ისე იცინა თავიანთ მამა-პაპების გადმორცემით. საჭი-
რია ეს ცნობანი შეიკრიბოს და ამგვარად შეივსოს ნაკლულე-

ვანება ამ წერილისა. ახლა მივმართავ იმთ, ვისი ვალეც არის პრაქტიკულად განხორციელება ჩვენს ხალხში სხვა-და-სხვა სა-
განჯიშო გართობა-თამაშობათა. თითქმის უკულა ჩვენი «ნასწავლ-
ნი» იმას ცდილობენ, რომ ხალხს «სწავლულად» ეჩვენონ! და რა
არის მათი «სწავლულობა»? — ის რომ ხალხის მხარეულების და
ქეთვის დროს ჩუმად ისხდენ და გართობასა და თამაშობაში არავი-
თარც მონაწილეობა არ მიიღონ და იდგნენ განზე ხელ-გულ და-
კრუთით!... გრწამდეთ და გჟეროდეთ, რომ ხალხი, მართა-
ლად, მოიწონებს თქვენს სიჩუმეს და სიმშვიდეს და უკულა ამას
მიაწერს თქვენს «სწავლას», მაგრამ იცოდეთ, რომ თქვენ ამ-
გვარ მდგომარეობით ხალხს გულს უწყლულებთ და მხარეულე-
ბის ხალხს ართმევთ. მას ვეცადეთ, რომ ხალხს არ ვათქმე-
ვინათ ჩვენზე ცარიელი სიტყვები: «ეს ნასწავლი ვადაა!»
ვეცადეთ რომ ხალხმა ასე სთქვას ჩვენზე: «ჭირში მოჭირნეა
და ღებინში მოღებინე».

თუ ნასწავლი არ მოეჩივებიან ხალხს არც ჭირში და
არც ღებინში, თუ ნასწავლი ჭირშიცა და ღებინშიც დაეხმა-
რებიან, ხალხი აღარ იქნება გულ-ძვირად და შეიძლება მოვიხ-
სენათ მასთან პოეტის სიტყვებიც, რომელიც ამბობს:

«ყამთა დროთ ვერა შესცავლეს მის გული ანდამატისა!
იგივე მხნე, იგივე მღერალი, მოყვარე თავის მიწისა»!..

პეტერბურგელი სტუდენტი.

ქ. პეტერბურგი.

იანვარი 1883 წ.

ქართული თეატრი

ზამთრის სეზონი. საზოგადოების ყურადღების მიქცევა. ანტრეპრიზა. ყაყანი, მისი უსაფუძვლოება და უსარგებლოება განხილვა კერძოობითი: 1, მოთავეობა და მართვა სცენისა. 2, აქტიორები და აქტრისები. 3, რეპერტუარი. 4, პუბლიკა.—დრამატის საზოგადოების მომავალი საზრუნველი საქმე.

წელს ზამთრის სეზონის ქართული წარმოდგენები დაიწყო კენკნისთვეში და თბეჭკლის სამამდე ერთ-გვარის მდინარეობით გათავდა. შეესწირეთ მანდლი ღმერთსა, რომ შარშანდელის მრთულას წლის მიუყრების შემდეგ თეტრმა სიცოცხლე გამოიჩინა, მიძინებულმა გამოიღვიძა, და იმუდინათ შეკვირდეთ მისს დარბაზში; მოგვაგონდა ქართული თეატრის უკეთესი დღეები, ამ სამი-ოთხი წლის წინაღ ნახული. გული შეგვიტოვდა, გრძნობა გაგვიანდა. საზოგადოებამ ნელ-ნელა დაიწყო სიარული, თითქოს უკან იხედებოდეს და ფეხის უკუქცევას ავიწყლებდეს. საერთოდ ამ ორივე წელს უფულობის გამომავალი თუ ქართული წარმოდგენები, რუსულიც, სომხურიც და სხვა კონტრაქტები ანუ აქტივებიც ტფილისის საზოგადოებისაგან საკმაოდ მიგდებულა შეიქნა. საერთო მიზეზი უფულობა ყველასთვის დაეტყო ცხოვრებაში და ყველასვე მომართებულად თეატრს.

მაგრამ მაინცა და მაინც ესტეტიკური სიტკბობა კაცის

უჭკველი მოთხოვნები და გაჭირებულს დროსაც საზოგადოებაში მოიპოვება რაოდენიმე ნაწილი, რომელსაც ვერ გაუძლია უთეატროდ; რაც უნდა შეჭირვებული იყოს, ხანდახან შესვენება, გართობა, დროს გატარება უნდა, და ამაღ სთულის თეატრსა. ჩვენში დღეს ასე ვხედავთ. წელს შარშანდელზე მომატებულად დაიწყო საზოგადოებამ თეატრში სიარული, მომატებული ყურადღება მიაქცია; მწერლობაც თვალ-ყურს ადევნებდა, მეტადვე რუსული.

მიზეზი ამ ყურადღების მიქცევისა და სიარულისა ის იყო, რომ ჩვენს სტენაზე გამოვიდნენ ჩვენი ნიჭიერი მოთამაშენი, რომელნიც წელიწადი მეტი იყო არ გვეხსნა, შეიკრიბა დრამატული დასი, საკმაოდ დიდი და შეუწყობილად, კვირაში ორჯერ, იმართებოდა სპექტაკლები. ეს ყველა იმას უნდა მივაწეროთ, რომ გამოჩნდა ერთი კაცი, რომელმაც ივისრის ანტრეპრეზანტად ქართულის თეატრისა. წინათ მართალია რამდენჯერმე სხვა და-სხვა პირებმა ივისრის ანტრეპრეზანტობა, მაგრამ მათი მოთაგობა არ გვახსოვს, რომ მრთულ წამართის სუზონს, ესე იგი ენკენისთვიდამ თებერვლამდე გაგრძელებულიყო. თითო-ორ თვეს იქნებოდა და მერე აქტივობის ამხანაგობა მუშაობდა. ანტრეპრეზანტობის ფული უნდა, რომ თავი დაუჭიროს აქტივობას, გაუძღვეს ხარჯს, თორემ მოთამაშენი ეცლებიან, იშლება დასი და რასაკვირველია, თვით ანტრეპრეზანტაც. ამისთანა დაშლის შემდეგ აქტივობი ან ამხანაგობას მართვენ, ან სრულიად იშლებიან და თეატრი იკეტება. ესეთი შემთხვევა რამდენჯერმე ვხსნეთ. წელს ბატ. ნებიერიძემ დაიწყო და ბოლო გაატანა მრთულს სუზონსა.

ამ შემთხვევამ საკმაოდ დაგვანახვა, რა მნიშვნელობა აქვს ანტრეპრეზანტობას თეატრისათვის. რაგონიცა ვსთქვით, მისის დახმა-

რებით შეიკრება წელს დრამატული დასი, მისი ნიჭიერი წევრები და საზოგადოება მიიზიდა. მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც ხალხმა ცოტათი მიუხშირა სიარულსა, იმ დროს ერთი ნიჭიერი აქტივისტი ბ. სათარგოვისა სტენაზე აღარ გამჩნდა. ამ გარემოებამ ააყვანა ზოგიერთნი, და ასე ეგონათ ეს არის თეატრი დაიღუპა, თითქოს ამისთანა შემთხვევა იშვიათი ამბავი იყოს, რომ სტენიდან ან ერთი აქტიური გავა, ან მუცა და თეატრი თეატრად დარჩება.

მაგრამ იმ ზოგიერთებში, საზოგადოება მანც ამას შესამჩნევად ყურადღებას არ აქცევდა და დადიოდა; მართლაც, ნამდვილად საზოგადოებას არ შეუძლია თავი დანებოს თეატრს, თუ კომისიას ჰყავს რამდენადმე რიგიანი დასი და ამ დასში რამდენიმე ნიჭიერი მოთამაშე. ეს ცხადად გასაგებია: კსთქვით ადგანან მუშაგნი ერთ რომელსამე საქმეს; ჩვენ გვინდა იმათი მუშაობა ვინახოთ, იმათი ნამუშევარი, ნასაქმარი: არის თეატრი, გვიანდა წარმოდგენა გაჩვენონ იმისმა მუშაგებმა, აქტიურებმა. მაყურებელნი ზოგჯერ არ გამყოფილდებიან იმათის ნაწარმოების ნახვითა, უნდათ თვით მათი ვინაობა გაიცნონ, ცდილობენ დაახლოვებას, ბევრჯერ წიკილმანი მათი ცხოვრების ყოველივე ვითარება უნდათ შეიტყონ.

რა საჭიროა ეს? იმისთვისაა, რომ უფრო გარკვევა ცოდეთ ვინაობა. დიად გარკვევა, თუ მისის ნიჭის და ნაშრომის დაფასებისთვის ეძებთ მას, თუ საქმეს იჭერთ მასთან. თუ არა და, რა საჭიროა, თუ სალაშარაკო მასალათ გინდათ?

სალაშარაკო მასალა, ჭირი ყოველ საქმეზე, ყოველ კაცზე უეჭველია, როდესაც საქმე ან კაცი საჯაროდ, საქვეყნოსავარკუნებელად გამოდის. მაგრამ ჩვენ ერთი უბედურება გვმძაბობა. ჩვენი საზოგადოება პატარაა, ძალიან ახლოსა ვართ ერთ-

მანერითან. თეატრი და მისი მსუურებელნიც დაკვიკვილვართ ამ ურთიერთობას. ეს გარემოება ახდენს საქმეს. ერთი ღონისძიებაა ამ შემთხვევაში რომ უკეთესმა და გონება-გახსნილმა, ნასწავლმა საზოგადოებამ უური მოიურუოს და გულისებსა და პუბლიკას შუა კედლად აუგოს, არ გადმოიტანოს გულისების და აქტიო-რების ცხორება საზოგადოებაში. რა ხდება გულისებში, აქტიო-რ-აქტიოებს შუა და ანტრეპრენიორსა და დასს შუა, რად გვინდა ვიცოდეთ? დარჩეს იმათში. რას დაკვიკვით რომლისამე საქმის გამკეთებლის შინაურს ცხორებას ცოლ-შვილთან ანუ მოჯამაგირე-ამხანაგებთან. ამ ლაზარაკით რომ საქმეს კშეკლდეთ ნამდვილის საქმით და არა ლაზარაკით, ძალიან გარკვი იქნებოდა. მაგრამ აქ მარტო მითქმა-მოთქმა, საზოგადოებაში უსაგნო ლაზარაკის ყინის გაღვიძება და გულის წახდენაა. თეატრში იმიტომ მიკვიკვირთ, რომ დაკვიკვით, წარმოდგენა ვნახოთ და არა იმიტომ, რომ ერთი აქტიო-რ მოვიწონოთ და მოკვი დაკვიწონოთ. ერთის სიტყვით ჩვენ, მსუურებლებს, ხელი არ უნდა გვიქონდეს, თეატრის თვარდა რომ დაკვიკვიბა, იმის შემდეგ არც აქტიო-რებთან, არც ანტრეპრენიორთან — რას შერებთან, როგორ მოქმედებენ, რა ერთობა აქვთ ერთმანერთში, როგორ ცხორებენ და სხვა.

ჩვენის თეატრის მსუურებელმა საზოგადოებამ საკმაოდ გამოიჩინა სიფხიზლე და არ დასდია იმ ყაყანს, რომელსაც ზოგნი რაღაცა დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ.

რაც შეეხება წარსულ სეზონს, საჭირო იქნება რამდენადმე მას დაკვიკვირდეთ და გამოკვიკვიოთ დღევანდელი მდგომარეობა ჩვენის თეატრისა. მისი გამოკვიკვივა და ცოდნა გვიჭირება, და რამდენადც დაწკრილებით გამოკვიკვივით, იმდენად იქნება უფრო მეტი ღონისძიება მოუზოვოთ სტენის გაუმჯობესობის საქმეს.

ჩვენ მხალღად წარმოვადგენთ იმას, რაც იყო; მას ახსნას, მის ნაკლულეკანების მიწებებს ან შეკვებით.

რეგულარულ მოკიხსენეთ, წელს ანტრეპრიზა გამოუჩნდა ჩვენს თეატრს და შეჭკობა დასი. უამისობით შესაძლებელი იყო დასის სუსტი ყოფილიყო, რეგულარულ შარშან. სამწუხაროდ ანტრეპრიზის მართლაც ფუფუნად ან ეუფთა თეატრის საქმისათვის; მას ეჭირება რეჟისორობა, რომლის თანამდებობას ასრულებდა პ. გ. ყიფიანი. ჩვენში ჯერ აქამდე თეატრს ან გამოუჩნდა ნამდვილი რეჟისორი, რომელსაც შეეძლოს პიესების ამოჩხვება და დადგენა. ეს მეტად შესაძინევი იყო მით, რომ თუმცა ბუკრი პიესა საკმაოდ მოწყობით იდგმებოდა, მაგრამ თვით პიესებში ფოკი ასეთები ერეოდა, რომელთაც მხალღად საუბარწვილად ვარჯიშობდა ჩაითულება. აგრეთვე შესაძინევი იყო უანსამბლობა. ფოკს მშვენიერად მოთამაშეს, მშვენიერად აღმსრულებელს რომლისას გვერდს უდგა მოუხერხებელი მოთამაშე. ძველს აქტიორთაგანს ჩამდენსამე ან ერეობოდა წვრთნა, ცენტრადენი წარმატება. ფოკჯერ გაიგონებდით სხვა-სხვებით ლაპარაკს, ან უხეიროდ ხელების ხმაკებას და სხვას, რომელთაც მცირედის გაწვრთნით შეიძლებოდა გასწორებუდიყო.

ამას საყუდურად ან ჩავუთვლით ანტრეპრიზის ან ეხლანდელ რეჟისორს. ვიცი, რომ მათ სურდათ თუბი უკეთესი რეჟისორი, მაგრამ ვერ იშოვეს. მოკიხსენეთ მხალღად აღსანიშნულად, რაც იყო.

აქტიორებს თუ თვალად გადააკლეთ, წვეკანდელი დასი საკმაოდ სრული იყო. მონაწილეობა ჰქონდათ ამ დასში ძველნაცნობთა და ახალთა: ყიფიანს, აწუჩრელს, ტუვიკელს, ბუნას, თვით ანტრეპრიზის, ნუბიკიძეს, და აქტიორებს: გაბუნას, ავალბეილისას, გორინთლისას, მძინარევისას, ანდრო-

ნაკაშვილისას. ამათთან ხანდისხან მონაწილეობას იღებდნენ გარკვეულ პიროვნებებს. საზოგადოებრივად ამ დროს რამე გადაწყვეტილი არაფერი წარმოუთქვამთ რაიმე, ძნელია. შესამჩნევია იყო ისა, რომ წელს დასო უკეთესი გეგმანდა შარშანდელზე. მაგრამ ცალ-ცალკე რამე გავსინჯოთ აქტივობების თამაშობა, მასზედ კერძო კომიტეტით — უკეთესად დახელოვნდნენ, ერთობათ წინ-სკლამ: უმეტესი ნაწილი ისევე ისეთის მეტყველების ხელოვნებით დაჩვენდნენ, ისევე ისეთის მახვრად-მოხვრით, ისეთის ნაკლულებებისა და ისეთისავე ღირსებით. დასიღამი შეგვიძლია მთხი ადვანიშნით, რომელთაც ერთობათ წარმატება. პირველნი ამათში არიან აწუხრელი და ტყვიაკელი, რომელთაც ემჩნეოდნენ ნიჭთან მეტადინებობა. თუ შრომის უმეტეს, შეუძლიათ კარგი ადგილი დაიჭირონ დასში; ერთი ფენი გაიმავრა კიდევ აწუხრელმა. ბ. გუნისას და გამრეკელს ერთობათ ნიჭი, ჯერ ახლად გამოსულნი არიან, ხელოვნების შრომა წინ უძევს და თუ დასძლიეს ეს შრომა, შეუძლიათ სასტენო ძალად შეიქნენ.

საზოგადოებრივ ნაკლულებებსა მოთამაშეთა ბევრად წარმოსდგებოდნენ, კვლავით, იმისგან რომ რეპერტიციები ცოტა ჭქონდათ, რადგანაც კვირში მრავალ იმართებოდნენ წარმოდგენა, და ერთნი და იგივე აქტივობები თამაშობდნენ. მერვე მიზეზი იყო მათ მოვიხსენიოთ, ესე იგი ურყეველობა. ნაკლულებებისათვის ცოდვა იქნება ღირსებაც არ ვახსენოთ. ღირსებას შეადგენდა ისა, რომ სტენას ემჩნეოდნენ უმეტესი მოწეობა, აქტივობებს მომართებულნი ხალხის; პიესებს საკმაოდ ცოცხლად თამაშობდნენ და რომლებიც თითქმის უფრო გაკეთილი ჭქონდათ, ვიდრე წინათ გვინახავს. იგივედ მოვიხსენიოთ უანსამებლობა; ეს შეეხება ზოგიერთს პიესებს და არა საზოგადოებრივ ეკლასს. ზოგი პიესები, მაგალითად სუნდუგანისა და ცაგარლისა კარგის

ანსამბლთ ითამაშებოდა. საერთოდ წარმოდგენების შემდეგ მა-
ყურებელს ხშირად არ შეხვედრია შემთხვევა ეთქვას, რომ პიესა
ცუდათ აასრულეს.

შესამჩნევი და საგრძნობელი ნაკლულევანება მეტად დაე-
ტყო ქართულს რეპერტუარსა. უმეტესი ნაწილი პიესებისა ძვე-
ლი დაწერილები და რამდენჯერმე ითამაშები წარმოდგინეს.
ეს ნაკლულევანება წინა წლებზე მომატებით წელს გამოჩნდა და
რასაკვირველია, რომ საზოგადოებას, რომელსაც ბევრჯერ ნა-
ხული აქვს, ვერ მიიზიდავდა. ზოგი პიესა ვგონებთ მეექვსედ
თუ მეშვიდეთ იყო დადგმული, როდესაც რომ მისი ღირსება
შუათანად ჩაითვლება. ახალ პიესებში პირველი ადგილი ბ. ავ-
ქსენტი ცაგარლიას «ხანუძას» ეკუთვნის, რომელმაც საზოგა-
დოება დააკმაყოფილა და წარმოდგენილ იქმნა კარგათა. მე-
რე პიესა «მკითხავი» გადმოკეთებული ჭარხაძე ილ. ჭავჭავა-
ძის «ვატია — ადამიანი დამა», — სუსტი გამოდგა, თუმცა ქარ-
თული მკითხავი დედა-ვაცის სურათს ლამაზათ გვიხატავს.
ღანაჩინმა ახალმა ნაწერებმა სრულებით შეუმჩნეველად ჩაიარა,
რადგანაც მათ საყმაწვილო კარჯიშობა უნდა უწოდოთ; სჯობ-
და რომ ორიგინალურ პიესების წერის ნაცულად, რუსულიდამ
ან სხვა ენებიდამ გადმოკეთებინათ ჩვენის ცხოვრების სახამსო
თხზულებანი. წერა ორიგინალურის სასცენო თხზულებებისა სა-
სურველია, მაგრამ მას ეჭირება უბირველესად ნიჭი და მასთან
შეკველად წერაში დახელოვნება, ცოდნა, შრომა, დრო. რო-
დესაც ყველა ესეები ერთად ძნელი მოსაპოებელია, არა სჯობ-
ბია, რომ პიესები გადმოკეთდეს ან გადმოითარგმნოს სხვა
ენებიდამ? ეს საჭიე პირველად ჩვენის მწერლების საზრუნველია
და მათთან აქტიოროებისაც. ყველგან აქტიოროები საკმაოდ შრო-
მას ეწევიან სასცენო პიესების წერაში, ან თარგმნა-გადმოკეთე-

ბაში; არც ჩვენს აქტიორებს დაუკლავთ ეს შრომა, მაგრამ უფრო ახლა არის სასურველი ზრუნვა ამის, რადგანაც, როგორც შემოთ მთავრისთვის, ჩვენი რეპერტუარი სულ დაიბრტყა. მთავალ სერონებისთვის უჭკველად საჭიროა მომზადება ახლის პიესებისა, და ნამდვილებს თუ უცადეთ, ძალიან გაჭირება დაგვადგება. ერთი ღონისძიებაა აქ: ან გადმოკეთება ან თარგმნა.

შემოხსენებულნი ნაკლულებებისანი არიან მიზეზნი, რომ რამდენადაც სასურველია და შესაძლებელია, იმდენად ვერ იზიდავს თეატრი ჩვენს პუბლიკას. წინათა ესტეკით, საზოგადოებამ უყრადლება მიაქცია წელს ჩვენს თეატრსა, ამ სიტყვით ის კი არ გვინდოდა გვეთქვა, რომ ძრთელი საზოგადოება მიეზიდნოს. ჩვენი თეატრის მსურველები პუბლიკა, მეტად ჭრელი საზოგადოებაა. აქ ხედავთ იმისთანა კაცებს, რომელთაც პარაფის და პეტეობურლის თეატრები მოუკლავთ, უნახავთ დრამატული სცენები, ოპერები, აქვე არიან ტოილისის იტალიურ ოპერებზე და რუსულ დრამატულს წარმოდგენებზე აღზრდილი ნაწილი; აქვე ხედავთ კარგა შესამჩნევ ნაწილს მსურველებთა, რომელთაც ჯერ არა თეატრში, არა ცირკში არ უკლავთ, რომელთაც დარბაზში შესვლა-გასვლა და ჯდომაც ვერ ეხერხებათ, რომელნიც სპექტაკლის დროს ხმაურობენ, კასკასებენ ხან-გრძლივ და თადარდით მოტანილს კეფს ან ჩურჩხელას ღეჭენ, ხელში ძუძუ-მწკვარა ემაწვილი უჭირავთ. ეს განსხვავება მსურველებთა, მართალია ამძიებს თეატრის მუშავთა შრომას, მაგრამ ისე არა, როგორც ვეროპიელს შეუძლია წარმოდგინოს. ეს გარემოება ერთის მხრით კიდევ უადვილებს სცენას თავის განზრახვის აღსრულებას იმით, რომ კარგად ნათამაშევი პიესა მოლიერისა ანუ შექსპირისა, შილლერისა ანუ სხვა დიდის პოეტებისა სრულიად არ ეუცხობება ამ ჭრელს საზოგადოებას.

შეგვიძლია გადაწყვეტილი ვსთქვათ, რომ ამ ექვსის წლის განმავლობაში ქართულის თეატრის არსებობამ ძლიერი მოქმედება იქონია არა ერთს და არს ვაძვირებ, რომელიც დაბალ საზოგადოებას ეკუთვნის. თეატრის შესავალთან თუ დაჭკვირვებისათ, ნახვდით ხოლოდ ჯგუფად ქალაქის ხელმძღვანელებს, ანუ პატარა მოვარეებს, რომელთაც ბასი ჰქონიათ: თეატრში წავიდეთ, თუ მივიტანხანაშია, და ნახვდით ერთ ნაწილს, რომელიც ძალაზე იდგა, თეატრში წავიდეთ, დროსაც გავატარებთ და ჯგუფსაც ვისწავლით. ამ დღიურად მიუშინებთან ან მოვარეობთან ვინ იცის თეატრის წყალობით რამდენი ამაღლებული სულით და გონებით იქმდის, რომ ვარგი და ღირსეული შვილი შექნადა ოჯახისა, გარე-გარე სიძინეს და ათას-გვარ გარყვნილებას გადაჩინდა. ამ მიუშინებთან ხელმძღვანელთან უფროდ შეძინებულს არა ერთი, რომ თეატრისთვის თავ-გამოდებულად უფროდ, რომელიც ადრე მიუშინებ-გარყვნილების და ღვინის სძინესათვის.

ხუგუშად და მომავლის შრომის გასამხნეებლად, ვგონებთ, საკმაო იყოს ეს გარემოება. მაგრამ ხუცე იმ მოთხრობილებას დაკვირვებთ, რომელიც უეჭველად საჭიროა ნამდვილის ხელმძღვანელისათვის და რომელსაც მოთხრობის გონება-გახსნილი საზოგადოება. მიწოდების და აქტივობის მიშრობილებას, თეატრის გამძღვრებებს ჰმართებთ მეცადინეობა, და შეძლებით ვი შესამდებულა ამ ორ-გვარის მადურების დაკმაყოფილება.

მომავალი გაზაფხულის ანუ ზამთრის სეზონი მართლაც საზრუნველია. ბ. ნებეჩიძე, რომელიც ამბობენ, ალარ აზივებს ანტრეპრენიორობას. სხვაგნით ჯერ-ჯერობით არსადამა სჩანს რამე თქმულა, რომ ვისმე სურდეს. მაშასადამე, ადვილი

მოსალოდნელია, რომ შარშანდღისთანა ამავე დაქმნითოს
ქართულ თეატრსა, ესე იგი, მიუხიდას და მიიძინოს. ამისა-
თვის თადარიგის დაჭერა მოუხდება დრამატულ საზოგადოე-
ბასსა.

წელს დრამატულის საზოგადოების მოღვაწეობა მხო-
ლოდ ის იყო, რომ ანტრეპრენიორს ათხივასთვის ტანისამო-
სი, რომელიც ნახევრად წამხდარი გამოდგარა და მოუკლელ-
ბით მალე იქნება სრულიად განაცრდეს. დრამატულ საზო-
გადოებას წინათ ჰქონდა ბიბლიოთეკა და რეპერტუარი; ეხლა
ამბობენ, ესეებიც ცუდს მდგომარეობაშია, ასე რომ მომავალ-
ში შესაძლებელია ხელ-ნაწერი რეპერტუარი კვლავც კი მოიპო-
ვოს სადმე, ვინც შემდეგში მოისურვებს სპექტაკლების მარ-
თვასა. არ იპოვება არსად ერთად შეკრებილი ხელ-ნაწერი რე-
პერტუარი, გაფანტულია აქ-იქ სხვა-და-სხვა კაცის ხელში.
ამას შეეკრება უნდა და ხსენებულის საზოგადოების მოვა-
ლოებას.

დრამატულ საზოგადოებას ღონისძიება არა აქვს. დიალც,
მართალია. მაგრამ ვგონებთ ამის შეკლა შეილება. დარწმუ-
ნებული ვართ, რომ არიოდჟერ «კეთხვის-ტუალის» სურათ-
ები რომ დაიდგას საზოგადოებრივ თეატრში ბატ. ზიხის ესკი-
ზებით, დიდ-ძალ ხალხს მიიზიდავს. როგორც ყური მოკვი-
რავს, ენინა ბ. ბარათოვისა, რომლის მეტადინეობითაც
დადგიული იქნა ცხრილი სურათები ზიხის დროს, და რომ-
ელიც ხშირად ქველ-მოქმედების საქმისათვის მოღვაწედ გვინა-
ხავს, ავირებს დრამატულის საზოგადოებისთვის ამ დიდ-მარ-
ხვას ზიხის ესკიზებით ცხრილ სურათების გამართვასა.
იქვე უნდა ვიქონიოთ, რომ ამ თვრიად პატრივ-საწყემ განზრ-
ხვას ჩვენი უმაღლესი საზოგადოება ისეთისავე გულ-გეთილო-

ბით მიიღებს მონაწილეობას, რეგულარულ პირველად მიიღო. ხარჯი და იმედები ჯაფა არ მოუნდება, რეგულარულად, რადგანაც მაშინდელი სამზადისი დრამატული საზოგადოებისა აქვს შენახული. ამ სურათებს გაქდა ნაადრევობებზე ერთი-ორი სპექტაკლი რომ გაემართათ ჩვენის უმაღლეს საზოგადოების წევრებს, დაწმუნებულნი უნდა ვიყოთ, ვარცა ბლამად შეიკრიბებოდნენ თუ არა, რომელიც შეიძლება მომავლის წამთრის ანტრეპრეზენტისათვის შესაწევრად დაენიშნათ, რეპერტუარის, გარდერობის შესახებ და სხვა საჭიროებისათვის მოემართებინათ. დრამატული საზოგადოების დახმარება უკვე აღად მომავალში საჭირო იქნება და დაწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ მის დახმარებლად თეატრი დაგვეკავებინა, ან სულ ვაუბით იჩინებულა. ანტრეპრეზენტის ადმინისტრაციის იმედი თითქმის არ უნდა გვქონდეს. წლებადელი შემთხვევა, შემთხვევა იყო და ამისთანა გარემოებას ძნელად თუ ვნახავთ. ამბობენ, რომ წელს ანტრეპრეზენტის წინა მიუცაო.

ვიცით რომ თეატრის ყოველთვის მომართული თუ არა უჭირება იმაზე, რაც შემოსავალი აქვს. ამ მომართულის შიშის დრამატული საზოგადოების საზრუნველია და შეუძლია კიდევ იშორეს, მაგალითად იმ გვარის დონისძიებით, რეგულარულ შემთხვევაში მოვიხსენიოთ. წელიწადში ორას-სამასი თუმანი რომელიც სამე საზოგადოებას არ გაუჭირდება შეჭვრბობას, თუ მისი მოთხოვნი შიშისას გასწევს. ტოვლისში რამდენიმე საზოგადოებაა, ყველანი ასურსებენ დონისძიების მოპოებას, შრომას, — რაღა მარტო დრამატული საზოგადოება დაიბადა ასე უილაჟო და დავრდომილი? ამისთანა ცხველი, ნაყოფიერი, მშვენიერი საგანი წინ უძევს. მრთული ტოვლისის უმაღლეს და უმაღლეს საზოგადოებას თეატრზე აქვს მიქცეული ყურად-

ღება, მას უჭირავს ძლიერი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში; აქ ერთად იყრიან მწერალნი და მსუურებელნი, მსოფლიო გენიოსების ნიჭნი აქ ეშლებიან სულთ მშობრ-მწყურვალეს და ღაწობს, დღიურს მუშავს; აქ ქართული ხელოვნება იზრდება და უნდა ადგილიზარდოს გემოვნება, გრძნობა, სიკეთე, კეთილის სიყვარული, გონება უნდა გაგვიწმინდოს, ადგამადღოს მუდამ დღიურის მწიკლავანის ცხოვრებისაგან, — ეს ხელოვნების ტაძარი, ეს სცენა, ეს თეატრი, ქართული თეატრი, ასე შეუწევნელად თავ-მინებებული უნდა დარჩეს? ნუ თუ სიტყვების ძარღვი მართლა შეწყდა და გულმა ძგერა შეაყენა?!

მისრწნილი.

მისრწნილი ცუცხლთან მიმჯდარა, არ მისდის მისხუცს ძილთა,
მისხუცობა ნაკურჩხლებს, რაგორც რამ ციცა ფრთხილთა;
სულ ამოუწყდა ცოლ-შვილი, არ შერჩა შვილის-შვილთა,
ძლივს-ღა ილოღნის ფათასა, არ უღვას ერთი კბილთა!...
სიკვდილსა ნატრობს მუღამა, საუღარში დაიარება,
მასთან არავინ არ დადის, არც სხვას ის მიუგარება,
მუღამ წელს რჩჳურ, მარხვამი, უთუოდ კრიარება,
ჳურ ვერ ეღიწსა სიკვდილსა, — ღმერთი თუ მოესმარება!...

თ. რაფ. მრისთავი.

ყარაჩულელი ლოთი

ვუძღვნი «პეპოს» ავტორს

მე რამ ვლართებ, შენ რას გაშლი, ძმობილად?
ბატონებო, ან შენ, კეთილშობილად?!

მე ქრისტე ღმერთს კანტოთ გაუჩენივარ,
ლართებას ჩუნი წესი, ადათი...
მითამ რამ! თქვენისთანა ვაყუბი
ბიჭობაში არ მუყათა არც ათი!

მე რამ ვლართებ, ვის რას გაშლით, ძმობილად?
ბატონებო, ან შენ, კეთილშობილად?!

არ მკადრულაობთ და დაცინვით მიუყრებთ,
თითქო მე ღმერთს მეტი გაუჩენივარ!...
მე წოგსავით არც ძმასა ვკლავ, არც ვზარავ
და ღარიბი ლუკმისა მამითმუნი ვარ.

მე რამ ვლართებ, ვის რას გაშლით, ძმობილად?
ბატონებო, ან შენ, კეთილშობილად?!

ჯანთა-ტანჯვით ალალ ლუკმას ვძეოულაბ,
 მთელი კვირა რთულს სულ ასე ვიწურავ;
 კვირა დღეს კი გამოკდივარ ძმა-ბიჭში,
 უარსა-რღულ ლურჯ ჭედს ბპერდზე ვინურავ;

—
 კვირას ვლართაბ, ვის რას გიშლით, ძმობილარ?
 ბატონებო, ან შენ, კეთილშობილარ?!

—
 ვინუბობ, ვუვირი, მუშტის ტრიალიც მიუვარს:
 უსამართლეს არ ვის ჩამოურჩები!...
 მაგრამ ლალატს ძმა-ბიჭს მე არ გაუწევ
 და იმისთვის ციხეშიაც დაკლავები!

—
 მე რამ ვლართაბ, ვის რას გიშლით, ძმობილარ?
 ბატონებო, ან შენ, კეთილშობილარ?!

—
 ჩვენი ბიჭი ჩიტავით იხადება:
 დღეს ვიშოვი, დღეს ვჭამ, ვარ ბედნიერი...
 რა! რა ვუთხრა იმ მილიონის პატრონს,
 ყუთში ფულს ჰკეტს, თითონ კვდება მშვიდრი!

—
 მე რამ ვლართაბ, ვის რას გიშლით, ძმობილარ?
 ბატონებო, ან შენ, კეთილშობილარ?!

—
 ძუნწი კაცი ჭკუანაზედ არ ცხორებს!
 რა!.. გაუწუდეს მდიდარ-ძუნწებსა ქაქი!..
 მე რამ მოკვდე, ბპერდებით, ძმებო-ჯან,
 დამახალათ ზედ თაკზედ სასუ დოქი!

კვირას კლათობ, შენ წას გიშლი, ძმობილო?
ჯათ-ბიჭშის აბა წა ნახე ცუდი?!..

მეც კაცი ვარ, წატომ ეგზე მიუყრებ?—

მეცა მხუწავს თავსედ ნამუსის ქუდი!

ა. ცაგარელი.

23 იანვარი.

ბიბლიოგრაფია.

«Извѣстія Кавк. Общ. Истор. и Археол.», ტ. I,
მეორე გამოცემა. 1884 წ.

თბილისში იბეჭდება სამეცნიერო ჟურნალი: 1) «Извѣстія Кавк. Общ. Исторіи и Археологіи» დ. ზ. ბაქრაძის რედაქტორობით; 2) «Записки» და «Извѣстія Кавк. Импер. Геогр. Общества» ჯ. ზაგურსკის რედაქტორობით. ამ ჟურნალებში შევხვდებით მრავალს საინტერესო მასალას ჩვენი ქვეყნის ისტორიისა, გეოგრაფიისა, ეთნოგრაფიისა, ეთნოლოგიისათვის და სხვ. შეძლებისამებრ, ვეცდებით დრო-გამოშებით გავაცნოთ მკითხველებს შინაარსი ზოგიერთის სტატიებისა, რომელნიც უფრო საყურადღებონი იქმნებიან. დღეს ჩვენ გვსურს წარვუდგინოთ მკითხველს ანგარიში «Извѣстія Кавк. Общ. Исторіи и Археологіи»-ის პირველ ტომის მეორე გამოცემის შესახებ.

ამ ტომში დაბეჭდილია: ა) გათხრა «რედკინ ლაგერის» სასაფლავისი—გეგმითა და ნახატებითა ნ. ი. წილასანისა; ბ) «სჭრიდენ თუ არა საქართველოში რქოს ფუფს?» ა. კ. კომაროვისა; გ) «ახლად პოვნილ ნაწიეკტზე» წყაროთაგან განხილვისა საქართველოს ისტორიისათვის» დ. ზ. ბაქრაძისა და კიდევ ოთხი სხვა წერილი, რომელთაგან ერთი «ძველეთაგან ხილვა საქართველოს მხედრობისა 1082--1222» თ. თა-

თარ უან დადიშკულისანისა უკვე დაბეჭდილი იყო «იუნიის» 1883 წლის № 10-ში. მკითხველების უურადლებას მივაქცევთ ამ უამად მუარე და მესამე წერილებს, რომელნიც უფრო საყურადღებონი არიან საზოგადოებისათვის.

ავტორი წერილისა «სჭრიდენ თუ არა საქართველში რქოს ფულს?» ა. ვ. კომაროვი დიდი ხანი იმყოფებოდა (ახლა ა. ვ. კომაროვი «ახალ-თექეს» უფროსად არის.) და სწავლობდა ჩვენს ქვეყანას. რამდენსამე წელიწადს იგი იყო «სამთელ სამმართველოს» უფროსად და ამ დროს ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის მივიწყოფულ მხარეებში და ამ მოგზაურობის დროს იგი, თვისის პიკლავიკის მოკალაურობის გარდა, მეცნიერებასაც ემსახურებოდა: ავროკობდა ცნობებს ხალხის ზნე-ჩვეულებაზე, ისტორიაზე, იქნდა ძველს ფულს, ძველს სახსოვართა და ნაშთებს და სხვ. და სხვ. ამ გვარად მან შეიძინა დიდი კოლექცია ძველ სახსოვართა და ნაშთთა და მრავალი ცნობანი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და ეთნოგრაფიიდან; ეს იყო მიზეზი, რომ იგი დაინიშნა თბილისის არსულლოგიურის კრების «მოსამზადებელის კომიტეტის» თავმჯდომარედ და ეს თანამდებობა მან შეასრულა ფრიად სინდისიერად და გულ-მოდგინედ. მართალია, ბევრი არ უწერია ა. კომაროვს, მაგრამ რაც უწერია, იმითაც სჩანს, რომ მას კარგად გაუცვინია ჩვენი ქვეყანა.

ზემოხსენებულს წერილში კომაროვი ამბობს: «აქამდის ნუმიზმატიკებმა იციან მხოლოდ რამ ქართული რქოს ფული. რამე მოჭრილია მეფე ერეკლე მეორის დროს. ფულის ერთ მხარეზე ერთ-თავიანი არწივია, რომელსაც მარჯვენა ხელში უჭირავს სამეფო ბურთი, მარცხენაში კვერთხი; მეორე მხარეზე კი არაბული წარწერაა: აჰი, თვით-მზერებელი! მოჭრილია

თბილისში. წელიწადი ერთზე აზის 1203 (1788), მეორეზე 1211 (1796). ერთი ამათგანი ეკუთვნის გრაფ ტოლსტოებს, მეორე აზის საიმპერატორთა აკადემიის სამეცნიერო მუზეუმს. თუმცა ზოგიერთნი ამტკიცებენ, რომ კავკასიაში გვინახავს რუსუდანის და თამარის რქოვას ფულის, მაგრამ აქამდის თვისი აზრის დასამტკიცებელი საბუთები არ წარმოუდგენიათ. ეს პირნი შეცდომაში შეჭყვას რუსუდანის იმ ფულებსა, რომელთაც ხანდისხან ჭზოულაობენ ფარსის მხარეს. ხოლო ეს ფული რქოვასი არ არის (ლანგლუა).

ძველებურს სასათუჯაოებში ვი ჭზოულაობენ ქართულს რქოვას ფულსა, რომელიც მიემსგავსება ლიზიმახის, ანტიოქების და სირიის მუთების ფულსა. ამ ფულების ერთს პირზე გამოჭრილია პირის-სახე თავ-საკრავით, მეორე მხარეს ვი დახატულია მჯდომარე იუპიტერი ანუ მინერვა. თუმცა არსებობენ ამ ნაირი ფულები, მაგრამ ჯერ არათურით არ არის დამტკიცებული, რომ იგინი ქართულნი არიან. ჯერ-ჯერობით კვამყოფილდებით იმითიც, რომ იგინი საქართულოში არიან მოჭრილნი.

ისტორიამ დღევანდლამდე იცის შემდეგი ქართული ფული:

1) რქოვასი—დრაჰმანი, *) რომელიც ხმარებაში შემოვიდა ვახტანგ გორგასლანის დროდამ (446—499 წ. ქრ. აქეთ). შემდეგში სახელ-წოდება ამ ფულისა გარდაიქცა ფლუ-

*) «დრაჰმანი, ფული ძველებური; წონა 24 კერატისა ან 96 კროთლის (ძველ-თესლის ქერის) მარცვლისა (იხ. ვისრამიანი გვ. 462 დუქსიკონში).

რად, რომელსაც ღირებულებით ედრებოდა სომხურს ტაგეგანს და არაბულს დინარს (ლანგლუა). *)

2) ქართული ფული X—XII საუკუნეებში სრულიად მიემსგავსება ბიზანტიის ფულსა. ეკელა მაშინდელი ფული — ოქროსი, ვერცხლისა და სპილენძისა ცნობილი იყო საფასურად და ერქვათ საზოგადო სახელი ფული. ამას გარდა X—XII საუკუნეების ოქროს ფულს ერქვა: დუკატი და ბოტანიტი. ამ ნაირი სახელ-წოდება დაერქვა კოსტანტინე დუკის **) (1059—1067) ფულებსა, გავრცელებულსა საქართველოში ჭაგრეთვე ნიკიფორ ბოტანიტიასას (1078—1081 წ.) ესრეთნი სახელ-წოდებანი იხმარებიან მწიკლთაშიაჲც და წარწერებზედაჲც (ლანგლუა).

3) არაბთა მწიკალი ყაზვანი (XIII საუკუნისა) თავის გეოგრაფიაში თბილისის აღწერილობაში, ამბობს ანამ ქალაქში ნახამთ დინარსა, რომელსაც ჰქვიათ პერპერა. ეს კარგი ფულია, სირიულის წარწერით და კერპების გამოსახულებით. ყოველი დინარი იწონს ერთს მისხალსა. ოქრო მაღალი ღირსებისაა. შეუცდომელად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს ფული იჭრება აფხაზთა ქვეუნი მუჟუთაგანა.

*) Essai de classification de suites monetaires de la Géorgie par M. Yictor Langlois. pl. VI № 3.

* ესეთი აზრი ა. კომაროვისა მით უფრო შესაწყნარებელია, რომ კოსტანტინე დუკის მოადგილეს მიხეილ VII დუკას (1071—1078) ცოლად ჰყვანდა ასული ქართველთ მეფის ბაგრატ IV-ისა მარიამ. ამათ დროს საბერძნეთში იჭრებოდა ფული და ამ ფულებზედ გამოსახულნი იყვნენ მარიამი და ქმარი მისი იმპერატორი მიხეილ VII დუკა.

ამას ლანგლუა დასძინებს, რომ აქ ლაპარაკია ბიზანტიის
ფულზედ და თვით სახელ-წოდება—პერპერაც ბერძნულია.

დ) შერიფ-ედინი თავის ისტორიაში ამბობს: «საქართვე-
ლს მეფემ გიორგი V^{II} (1395—1407) მონგოლების თბი-
ლისიდან მოსაშორებლად თემურლენგს გაუგზავნა 1,000 ოქ-
როს ფული, რომლებზედაც ეწერა სახელი ამ ქვეყნის დამპყრო-
ბელისა. მართლაც ამ საჩუქარმა იმოქმედა: მონგოლთ დასტო-
ვს საქართველ და მიემართნენ ბელაქნისკენ (ლანგლუა).

ე) მე XV ს. ნახევრიდან მე-XV^{III} საუკ. დასაწყისამ-
დის საქართველში ქართული ფული აღარ იჭრებოდა*. მაშინ
ჩვენ ქვეყანაში გავრცელებულიყო ვეცხლის ასპრნი ტრაპიზონ-
ის კომნენებისა, სახელწოდებით ქ. კირმანეული (წოდებულა
სახელისაებრ იმპერატორის მანუილისა). შემდეგში, როდესაც
შაჰ-აბასის მოადგილეებმა თბილისში დააარსეს ზარათუნა, კირ-
მანეული გავიდა ხმარებიდან და შემოვიდა სპარსული ფული,
რომლის ნიმუშებს ეხლაც შეხვდებით. მათგან უძველესზე აწე-
რია 1060 წ. გიჯრისა (1650), უახლესზე 1160 წ. (1748)
ამ უკანასკნელ საუკუნეში (მე-XV^{III}) ოსმალონიც სჭრიდენ
ფულსა თბილისში. სულთნის აჰმედ III ფულზედ აწერია:
1115 (1703), 1135 (1722), სულთნის მაჰმედ I-ის ფულ-
ზედ 1148 გიჯრისა (1735 წ.) ამავე საუკუნეებში ქართული
ფულის სახელ-წოდებანი იცვლებიან სპარსულებად: აბაზი, შაუ-

* გამოჩენილი და შეუღარებელი ნუმიზმატიკოსი თ. მიხეილ ბა-
რათაევი თავის თხზულებაში «Нумизматическіе факты грузинска-
го царства» ამბობს, რომ ფულის ჭრა შეჩერდა XIV საუკუნის
დასაწყისს (გვ. 16) და ფულის ჭრა ხელ-ახლა დაიწყო მეფის ვან-
ტანგ მე-VI-ის ძის ბაქარისაგან (1716—1719 წლ.)

რი, თუმანი. თუმანი პირველად ხმარებულა გიორგი VIII გუჯარში (1460) წ., რომელითაც მეფე აფასებს სისხლსა ქვენი ფნეკელების (ქსნის ერისთავების) წარმომადგენელებისას. ამ გუჯარში სწერია: ავინც მოჰკლავს წევრსა ამგვარისასა, იგი გადინდის გვარის სასარგებლად 70,000 გირმანეულსა, რომელთაგან ყოველი ფასობს ორს შაურს და სულ შეადგენს 4,000 თუმანსა ქართულის ვეცხლის ფულითა (აზნგლუა).

3) შაჰუნა ორბელიანის მატრიანეში სწერია: «შაჰ სულთან იბრაჰიმმა გამოგზავნა თბილისში ფულის მჭრელი და მოსჭრეს: სამ-აბაზიანი, შაურიანი და ოქროს ფული თითო 30 შაურიანი (ბრასე).

4) ქართული ოქროს ფულის სიმცირე, მეფის ძის თეიმურაზის აზრით, აიხსნება იმით, რომ, რაც ოქრო იპოვებოდა საქართველოს მადნებში, ყველა იხმარებოდა მეფეთ სასახლის სამკაულისათვის და დანაშთენი კი ისუიდებოდა, რადგან ფულის ჭრასზე ისე გასუიდა უფრო სასარგებლო იყო (Journal Asiat. p. 14).

5) მეფის ვახტანგის დასტულებასში (§ 61) ჩამოთვლილია ქართული ფული: თუმანი, ციქილა, მარჩილი, მინალთუნი, აბაზი, შაური და ბისტა.

თ) ვახტანგის კანონთ გრებულში მოხსენებულა: «მეფის გარდა ყოველი კაცი, რომელიც მოსჭრის ფულურსა ანუ სპილენძის ფულსა, მალაღსა ანუ დაბალ ფასიანსა დაისჯება ორივე ხელის მოჭრით. ერთი ხელი მოეჭრება იმას, რომელიც იხმარებს ამ ნაირს ფულსა».

ი) შაჰუნა ორბელიანი ამბობს: «ჩვენ მეფეებმა (თეიმურაზ II და ერეკლე II) ვეცხლის და ოქროს ჭურჭლისაგან

მოსჭრეს ფლური და კეტხლის ფული, რომ ჯარისათვის მიუცათ ჯამაგირი, ეს იყო 1752 წ. (ბრლსუ).

კ) წაალ რბილუიანისაგან გამრჩენილის მოგზაურის გულდენშტედისადმი მიწერილი წერილიდამ (1772 წ.) სჩანს, რომ ამ დროს საქართველოში იხმარებოდა ერეკლე II რქრლს ფული (ბრლსუ Nist. de la Georgie T. p. 385).

ლ) გუჯარი ერეკლე II-ისა, 1778 წ. ვწირავ სინაის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრს, ადგილს, საცა ღმერთი ქუხილითა და ჭეჭითა, ცეცხლითა და მიწის ძვრითა გამოეცხადა მოსესა, 50 ყურუშსა (35 მ. 50 კაზ.) და აგრეთვე წმიდა სინაიზე მოსახსენებლად იმ ქრისტიანებისა, რომელნიც აგარიანთაგან ამხროცალ იქმნენ აგრისში და განჯაში, ვწირავ ახტადის კეტხლ-რქრლს მადნიდამ 200 ყურუშსა (150 მ.)—პ. იოსელიანი «Опис. Тифл.» გვ. 18).

მ) მადნების უფროსის თავ. სოლომონ მელიქიშვილის გენ.-ლეინ. კნორინგისადმი 29 მაისს 1801 წელს მოხსენებაში მოყვანილია შემდეგი ცნობანი: მთის მადნებზე მუშაობს 200 ბერძენი, რომელნიც დაბარებულნი არიან გუმიშ-ხანიდამ (ტრაპიზონის მხარეში). მადანნი იჯარით გაცემულნი არიან. სპილენძი 12,000 მანეთად, რქრლ სულ მოლად მეფეს ეკუთვნის; ერთ ფუთ კეტხლზე კი მეიჯარადრეთ უნდა აძლიონ მეფეს 150 მანეთი (იხ აქტ. археогр. ком. Т. 1. გვ. 516); როგორცა სჩანს ბუტკოვის ჩვენებიდამ (ტ. II, გვ. 188) ახტადილდამ მეფის ხაზინაში შემოდიოდა ყოველ-წლივ 100,000 მანეთამდე*.

* ამ წერილით ვათავებთ ლაპარაკს ქართულის ფულზედ, მეორე წერილით ჩვენ ვრცლად მოვილაპარაკებთ ქართული ფულის ისტორიაზედ.
მ. ჯ.

მეორე საუკუნადღებო წერილი, როგორც შევითარეს ვსთქვით, არის ბ. დ. ზ. ბაქრაძისა.

ასრე იწუებს თავის წერილს ბაქრაძე: შემდეგ ვახტანგის «ქართლის-ცხორებისა», საქართველოს წარსულის შესასწავლად სრულ სახელმძღვანელოდ ითვლება შრომა ვახტანგის შვილის ვახუშტისა, რომელიც გარდაიცვალა მოსკოვში 1772 წელს. ეს შრომა დაბეჭდა აკადემიისაგან თრანსიულის თარგმანიტურთ. იგი შეიცავს ქართველთ ისტორიას 1744 წლამდე; ვახუშტი ადგა შემდეგ სისტემას: ჯერ საქართველოს აღწერს გეოგრაფიულად ცალკე-ცალკე ხეობებად და შემდეგ მოჭყავს ისტორიას იმავე ქვეყნისა, რომელიც გეოგრაფიულად აღწერა. ბრძანებ კი გეოგრაფიული ნაწილი განაცალკევებ და ცალკე დაბეჭდა ამ სათაროთ: Description geographique de la Georgie, ამასვე დაურთა რუკანი ვახუშტისა.

თუმცა ვახუშტი, განაგრძობს ბაქრაძე ჩვენ დროზედ ახლად სცხორებდა და ისიც მოსკოვში, სადაც იგი სწერდა ისტორიას, მაგრამ, ჩვენდა მოულოდნელად, მისი წყარონი, რომელიც მას ხელთა ჰქონდა თავის შრომის შედგენის დროს, ვერც ბრძანეს—ვახუშტის მოღვაწეობაზე ცნობათა შემავრთებულს—და ვერც ჩვენ აქამდის ვერ გვიპოვნია. თვითონ ვახუშტივე ამბობს, რომ მას ჰქონია შემდეგი წყარონი: 1, ძველი გარბების წიგნი იმერთა გულათიდაძე; 2, მესხური დაკითხი ხუთ ნაწილად, 3, ძილის-პირი ანუ ირმოსი ეტრატზე დაწერილი იმერეთიდაძე; 4, ქრთლელგოიურნი წყარონი, შედგენილნი ტლამაძესაგან; 5, გუჯარნი ბარათაშვილებისა ბეთანიიდაძე, გუჯარნი თუმანიშვილებისა და სხ.

მე სრულად არ მავიკრებს ის გარემოება, ამბობს ბაქრაძე, რომ ქართულნი ისტორიულნი წყარონი ძნელი საპოვნ-

ნელნი აწიანო: ეს აიხსნება მით, რომ ივინი უყურადღებოდ აწიან დაშთენიანი და ჯებიანი კერძი სახლებში და მონასტრების ბიბლიოთეკებშია, აწამედ მე ის მაკვირებს, რომ ვახუშტის წყარონი, რომელნიც შემდეგ მისის სიკვდილისა, ეჭვი არ აწის, დაშთა მის შემკვიდრეთა, კელარ გვიზონია და შესაძლებელიც არის, რომ ივინი უჭმად ჭყრის სადმე და იქნება კიდევ დაუწვავთ, რეგორც მეტი ბარგია.

ზემოხსენებულ **«ნაწიკეტი»**, რომელიც უეჭველად არის ვახუშტის წყაროს **«მესხურის დაკითხის»** ნაწილი, ვიზონი, განაგრძობს ბაქრაძე, განსვენებულის ისტორიკოსის ვ. იოსელიანის ბიბლიოთეკაშია. ვახუშტი მესხურს იმიტომ ეძახის, რომ მასში მოიხურობიან მოთხრობანი სამესხოს ანუ სამცხე-საათაბაგოს ათაბაგებზე, რომელთა მიუღობელობას შეადგენდა მტკვრის ზემო ნაწილი და ჭოროხის მთელი ხეობა.

ეს **«ნაწიკეტი»** დაწერილია სქელ ქალაღზე, შესდგება მხოლოდ 32 გვერდ. და იუროფება რე ნაწილად: პირველი ნაწილის მეოთხე გვერდზე არის შემდეგი საინტერესო წარწერა გიორგი მთაწმინდელისა: უწყებულ არს ყოველთათვის, ამბობს გიორგი მთაწმინდელი, რომელ თხრობისამებრ წმიდათა მამათა ჩემთა, მე უღირსმან ძღვრულ-მოხარობმან გიორგი დიდის შრომით ხელ-ახლა გადმოვიღე ბერძნულადამ ქართულად დაკითხი და შევასწორე იგი თანახმად მრავალთა თსაღმუნთა განმარტებათა, აწ ვთხოვ ყველას, ვინც მას გადასწერს, არაკითარი ცუდილება არ შემოიღოს, არც დააკლოს, არც მოუმატოს რამ, რადგან რაც საჭირო იყო დასამატებელი ან დასაკლები ყველა ჩვენ დაუმატეთ და დაკლებით თანახმად ქართულის ენის განიხთა. ჩემი სიტყვების სიტყმობით დასამტკიცებს მთელი

სახეობითი და უკულა დაკითხნი, თუკი ვისმეს მოუნდა ახლად გადათარგმნა— ღმერთმა აკურთხოს მისი შრომა. ხელად ჩვენს თარგმანზედ კი თავს ნუ შეიჭირვებს და წმ. მამა ეკთიმეს ნუ მოიყვანს მოწმად, რადგან თუმცა ამან სთარგმნა დაკითხნი, მაგრამ გადამწერმა სრულად გაურყვნა და უსარგებლელ ჰყო სახმარებლად, მერედ კი ეკთიმეს ალარ კადუთარგმნიან იგი (დაკითხნი).

ეკთიმე და გიორგი მთა-წმინდელნი (პირველი აღესრულა 1026 წ., მერე 1065 წ.) ითვლებიან ათონის იკერიის მონასტრის ამშენებელთა შორის. ამ პირთ მთელი თვისი სიტყვებზე განატარეს ათონზე. იგინი უკულაზე უკეთესნი მთარგმნელნი იყვნენ სამღვთო და საეკლესიო წიგნებისა ბერძნულიდან ქართულს ენაზედ. სკათა შორის, ეკთიმეს მიეწერება თარგმანი დაკითხნის განმარტებისა, გიორგის კი დაკითხისა.

მერე ნაწილი, გინა განყოფილება ამესხურის დაკითხნის ნაწიკეთისა ისტორიულად და შეიცავს ცნობებს 26 წლისა—1561 წ. 1587 წლამდე. ეს დრო იყო უკანასკნელი წამები იმ დიდის დროისა, რომელიც დაიწყო რძმალთა მოძრაობიდან (XIV საუკუნიდან) და დასრულდა, სკათა შორის საქართველოს სამთავრობელს—სათაბაგოს დაპყრობით და მთელი ჩვენი ქვეყნის დამბუნებით. სპარსნი და რსიანნი იბრძვიან საქართველოს დაპყრობისთვის, ბრძოლის მოედანზე ჩვენ ჯერ ვხვდებით შაჰს თამაზს, მერე ხუდაბანდს, სულთანს სულეიმან დიდს, მერე სულამ II და მურად III მისის შესანიშნავის სარდლობით ლაღა-ფაშით. ნაწიკეთი თავდება ახას დიდის შემოსვლის წლით. აღნიშნულ დროს საათაბაგოში მოქმედებენ: ქაიხოსრო II, უარყუარე V, მანუჩარი II და იმის შემდეგ მისი შვილი მანუჩარი III. ეს მანუჩარი მოსწამლა მის-

მა ზიძამ, ქაინოსრო II-ის შვილმა, ბექამ, რომელმაც მაჭმადა-
ნობა მიიღო და 1625 წელს დანიშნულ იქმნა ფაშად საათა-
ზგოსი (დაურქვა სათარ-ფაშა). ამ დროდგან იწყობა ფაშობა ამ
ქვეყანაში.

აი ამ შირებს შეეხება ბაქრადის «ნაწიკეტი», რომელიც
წარმოგვიდგენს ცნობებს ქაინოსრო II ოჯახის გენეალოგიაზე
და აგრეთვე გვიჩვენებს ისტორიულ ასპარეზზე მოქმედებას მი-
ლის ოჯახის წევრებისას. ამ «ნაწიკეტის» გენეალოგიური ნტო-
ბანი ისრე სრულნი არიან, რომ აჭარბებენ აკადემიკოსის
ბრესესაგან შეგროვილ წყაროების შინაარსს, რომელიც მოთ-
ხრობილია მის წიგნში Tables geneolog. et statist. des
dynast georgiennes. მაგალ. ამ წიგნში ქაინოსროს ძე ან-
კო არ არის ნახვენება, თამარი კი საეჭვოდ არის მოხსენებუ-
ლი Tables-ში მზე-ჭაბუკი, ცოლი რომელია მოხსენებულა
ასულად გიორგი II გურიელისა, თუმცა «ნაწიკეტი» გაუწყებს
რომ იგი ყოფილა გურიელის როსტომის ასულა. ამას გარდა
«ნაწიკეტში» ვხვდებით შემდეგ ცნობებს: აქორონიკონს 252
(1564), აგვისტოს 12, შაბათს, ღამის ორ საათს, მე-ნ დღეს
მთვარის თვისას ციხის ძირში დაიბადნენ ვასილი და ბექა (შემ-
დეგში სათარ-ფაშა), მამასადამე ვასილი და ბექა ტყუბები ყო-
ფილან. სხვა ადგილას არის თქმული: «22 წლის მზე-ჭაბუკმა
ჯვარი დაიწერა გურიელის როსტომის ასულს რომელმაც, რომ-
ელითანაც იცხორა ერთი წელიწადი და 2 თვე; 11 იანვარს,
პარასკევს, 9 საათზე დღისა, აქორონიკონს 260 (1572)
ღვთის რისხვა მოკლინა მის მშობელსა, რადგან მზე-ჭაბუკი
გარდაესახლა ამ ქვეყნიდამ სოფელსა მართალთასა 23 წლისა;
საღმთო საკაცობამდი (церковное совершенолѣtie) აკლ-
და 2 თვე. იგი იყო სრული ზნითა, აღზრდილი სარწმუნო-

ზასა ზედა ქრისტესა, ღვთის-ნიერი, მშენიერი მწიგნობარი, მგალობელი და მჭევრ მუტუკელი; ტუბილი მოუბარი, ძღუდელთა სასულიერო პირთადმი თავაზიანი; იცოდა კითხვა და ლაპარაკი სპარსულებს, ლაპარაკობდა არაბულადაც და თურულადაც, მუუდარებელი მსროლელი და მეჭირითე იყო. ჭკუიანას ჯერეთ არ უნახავს მსგავსი მისებრი».

ამნაირივე დაწვრილებითი ცნობანი მოჭყავს «ნაწიუკტი» შესახებ პოლიტიკურის ამბებისა საათაბაგოში. რსმაღონი იმერობუნ ჩილდიჩს. განახლებუნ ყარსსა. ჭოროხის სუობა კი მთლად მათ გუთვნილებაში შედის. ამას ბაქრადე დასძინებს, რომ ეს ცნობანი, როგორც ქრონოლოგიურის, ისე ფაქტოგურის მხრით თითქმის არ განსხვავდებიან გამძერისაგან მოყვანილ ცნობებისაგან მის Hist. de l'Empire Ottomané ში.

«მესხური ღაუთნია», რომელსაც ჩვენი «ნაწიუკტი» ეკუთვნის, ამბობს ბაქრადე, მით უფრო შესანიშნავია, რომ იგი ფსალმუნთა პირი კი არ არის, არამედ პირველ თარგმნილ დედანია და ამის გამო დიდად სამწუხაროა, რომ იგი სრულად არა გვაქვს ნაშრონი. როდის დაიწერა ეს «ნაწიუკტი», ამასუდ ცნობებს ვპოვობთ 10—13 გვერდზე ამასუ მანუსკრიპტში, საცა მოყვანილია სინოდიკი ანუ მოსახსენებელი ფურცელი ბაგრატიდების შთამომავლობისა, რომელთაც ნათესაობა ჭქონდათ ათაბაგების შთამომავლობასთან; აი როგორ: პირველი მუხრანის მფლობელის ბაგრატის ასული — დედის-იმედი იყო მუუღლე ქაიხოსრო II და დედა მანუჩარ II, უვარუვარე V, ბექა II (სათვარ-ფაშა), მზე-ჭახუგისა, ვასილისა, თვალ-შენიერისა, იანგოსი და თამარისა. ძმანი დედის-იმედისნი — არჩილი და ერეკლე შესამჩნევად მოქმედობენ საათაბაგოს ისტორიაში. ეს სინოდიკი ასრულებუნ ბრესკეს Tables genealogiques-ს

ახალის სახელებითა და გვიგინებენ ახალს პირებს: ბაგრატიის ცოლს ელენეს და მათ შვილებს იონათანს და თევდორეს, არჩილის ასულს ელენეს; დახრცილებად გვიგინებენ: ბაგრატიის ცოლს ელენეს, და მათ შვილებს ერკულეს, იონათანს და თევდორეს. ამათგან ბაგრატი აღსრულდა 1539 წ., არჩილი 25 ნოემბერს 1582 წ. ამ ხანს ეკუთვნის დრო «ნაწყვეტის» დაწერისათვის ამბობს ბ. ბაქრაძე. თავის დასკვნას ბაქრაძე აფუძნებს, სხვათა მოწმობის, და რა საფუძველზე: «დამწერი ამ მოთხრობათა არის თანა-მედროვე დაწერილის ამბებისა, ამბობს ბაქრაძე, რადგან დამწერი შიგა და შიგ თავის-თავს იხსენიებს პირველ პირად. მაგ. «ქორონიკონს 299 (1571), 4 აგვისტოს ბატონი არჩილი მობრძანდა აწყურს და ჩვენ, დიდი ხნის ერთმანერთის უნახველნი, შვიკუარკნით ერთად» («ნაწყვეტის» 29 გვ.); მეორე ადგილას: «ქორონიკონს 260 (1572), 17 ოქტომბერს, ოთხშაბათს ახალციხიდან ჩვენ გავემგზავრკნით გასაცვილებლად თვალ-შეკნიერისა ყაზმინში. 30 ოქტომბერს, ოთხშაბათს გავედით წყაროსთავიდან; პარასკევს ჩვენ, ძმანი და დანი, ერთმანერთს გამოვემშვიდობეთ ჭალაში. 11 ნოემბერს, კვირას, ჩვენ, ძმანი და დედა ვანაში გავეყარეთ ჯარსა. თვათონ თვალ-შეკნიერი იმ დღეს იყო გორს, ჩვენ კი მივედით ჯამასხვს. როგორც შევიტყუთ, თვალ-შეკნიერი 20 ნოემბერს წავიდა ერკუნიდან. რაღამის შემდეგ მოხდება — დამოკიდებულთა უფლის ნებაზედ («ნაწყვეტის» 11—12 გვ.) «ნაწყვეტის» შემდეგი ნაამბობიდან სჩანს, რომ თვალ-შეკნიერი დიდ-ხანს შეუპურიათ სპარსეთში და 1 ნოემბერს 1579 წ. კი იგი დაუძწევდევიათ ალამუტის ციხეში და მხოლოდ 1582 წელს გაუნთავისუფლებიათ.

ამის შემდეგ ბ. ბაქრაძე ამბობს, რომ ამ «ნაწყვეტიდან» უსარგებელიათ რამდენსამე პირსათ. ვახუშტის — თავის ისტორიის

შესადგენად, ბრესსეს — შესადგენად Chronique georgienne (1373—1703 წ.) და იმისვე შესადგენად Suite des annales (1472—1624). ეს უკანასკნელი ბრესსეს ფრანსისკოზად გადუთარგმნია იმ ამესხურის დაკითხვის პირიდაც, რომელიც 1761 წელს კილსტ დეკანოზს წაჭარბას გადუღის დედნიდაც. ცალკე წარწერილობაში წიგნის ბოლოს წაჭარბას ამბობს: «მე მინახავს სამი პირი ამ ქრონიკისა, რომლებშიც არაფერი ეწერა იმის მეტი, რაც ამ პირშია.

ბრესსეს მრავალი შეცდომები შეჭვარკვისთვის Chronique georgienne-შიც და კისაც მით სარგებლობა უნდა, დიდის სიფრთხილით უნდა სარგებლობდეს ამ მასალითაც მაგალითად მრჩევას ზოგიერთი ადგილები «ნაწიუკტიდაც» და ბრესსეს Chron. georg.-ნიდაც.

Chron. georg.-ნიდაც.

«ნაწიუკტიდაც».

- გვ. 14 ქაჭის ციხე დაუჭირა.
- გურგაქ შემოგვირიგდა.
- ელჩი გავგზავნეთ ყანთან
- გვ. 17 ბატონიშვილი შეებნეს ურუმთა
- 18 იმ წამს გამოტკვარეს ჭხახულო სასანჯახოდ მისცეს.
- თუში აღარ ამოსწუვიდა
- თვალ-შეწიერი დაიჭირეს შირვანის ციხე საშენეს.

- გვ. 18 ქაჭის ციხე უკომოჭირა.
- გურგაქ შემოგვიწყო.
- ელჩი გაუშვით ყანთანა.
- 22 ბატონები შეებნეს ურუმთა
- 22 იმ წამს გამოტკვარეს, ციხეები გამოართვეს და ხახულო სასანჯახოდ მისცეს.
- 23 თუში აღარ ამოსწუვიდა.
- ყანმა თვალ-შეწიერს გატეხი გაუგზავნა, სადგომი დაავადებინა და ყოჩხიბაშს მიაბარეს; დაიჭირეს შირვანი, ციხე საშენეს.

— ქართლის მეფემ პატრონი სვიმონ ყანმაშაძე ხუდაზანდამ გამოუშვა.

— მოვიდა ლაღათაშა ქართლსკუ, მოვიდეს სომხითს და ლაპარაკობდეს

22 შირვანს შეიბნეს, ამოსწვიდეს, ციხე დაწვეს.

11 ბუღანის შვილი იასონ

— აცნობა ოღდის ქვაბიდამ

13 კარნულის ციხეს უღალატეს

— თოხსას სიხლი დაკწით

15 ყელს მოადგეს; ყელი წავართვით; ყელს შეიყარა

17 ხვანთჭრის ლაშქარი და ლაღათაშა მკელ ციხეს მოადგეს.

26 დიასამიძემ ეღია შემოდას ციხეს სავაღინ შვილი საღალატოთ შეუყენა

14 გავილაშქრეთ ენკენისთვეს ბ-სა.

15 ამასკე იანვარს ე ოთხშაბათს თმოგვი წაართვეს

— ქართლის მეფე პატრონი სვიმონ ტყუილ იყო. ყანმა გამოუშვა.

25 ლაღათაშა ქართლსკუ იდგა, მოვიდეს სომხითს და ლაპარაკობდეს.

26 შირვანს შეიბნეს, ამოსწვიდეს ლაშქარი, ციხე დაწვეს.

15 ბუღანის შვილი იასონ.

15 აცნობა ოღდის ქვაბიდამა.

17 კარნუთის ციხეს უღალატეს.

— თოხსას სიხლი დაკწით.

19 ყელს მოადგეს; ყელი წავართვით; ყელს შეიყარა.

21 ხვანთჭრის ლაშქარი ლაღათაშა მკელ-ციხის ციხეს მოადგეს.

30 დიასამიძემ ეღია დემოთიას ციხეს, სავაღინ შვილი საღალატოდ შეუყენა.

18 გავილაშქრეთ ენკენისთვეს ნახევარ და ქაჯის ციხეს მოვადექით ღვინობისთვეს ორსა.

19 ამასკე იანვარს 6 ოთხშაბათს თმოგვი წაართვეს

თვეს ღ აქეთ იმავე დღეს
ყულო წავართვით.

და აქეთ იმავე დღეს ყულო
წავართვით.

24 ქორენიკონსა სამე მუხ-
რანთ ბატონის ბავრატის
შვილი მუხრან ბატონი
ვახტანგ მიიწვალა ივა-
ნობის თვეს დამდეგსა.

28 და პატრონი მანუჩარ თან
წაეტანა ივანობის თვეს
დამდეგსა, ქორენიკონსა
სამე პატრონის ვახტან-
გისაგან ღმერთი გაწის-
ხდა.

26 ახალციხე და გორი ააშე-
ნეს ურუმთა აგვისტოს
დარბაზითგან წელთა შვი-
დი ათას ოთხმოცდა
თორმეტსა (7092—1584)

29 ახალციხე და გორი ააშე-
ნეს ურუმთა აგვისტოსა
დარბაზითგან წელთა შვიდი
ათას ოთხმოცდა თორმე-
ტსა—7094 (1586).

დასასრულ ჩვენ ვიდევ ვიტყვით, რომ ფრიალ საჭიროა
დააჩსდეს ჩვენში საისტორიო წიკე. უამისოდ საფუძვლიანად
შესწავლა საქართველოს ისტორიისა შეუძლებელია. უცხო პირ-
ნი ჩვენს ისტორიას ისე ვერ შეისწავლიან, როგორც ქართუ-
ლი წიკე. იმ უცხო პირთა გამოკვლევებში, თუნდ ეს პირნი
იყვნენ ისეთნი მცოდნენი საქართველოსა, როგორც იყო გან-
სკენებულნი ბროსე, ყოველთვის იქნება ანაქრონიზმები, უნებ-
ლივი შეცდომანი და სხვ. წარმოადგინეთ, თუ ბროსეს ვერ
შეუგნია მნიშვნელობა შემდეგთა ფრაზათა: «პატრონიან მანუ-
ჩარ გვირგვინი იკურთხა», «დედის-იმედი ყოფილ დებოჩა»
და იგი უთარგმნია ამ ნაირად: «პატრონიან მანუჩარ ჯვარი
დაიწერა» და «დედის-იმედი, აწინდელი დებოჩა» (იხილეთ რე-
ძიკე ხსენებულნი ბაქრაძის წიკილი გვ, 22); ვიდევ ვიმეორებთ,
თუ შესანიშნავმა გრუზინოლოგმა ბროსემ ამისთანა უბრალო რა-
მები სინამდვიე ლითუკრებადასთარგმნა, მამ რას უნდა მოკულოდეთ

იმ მრავალთა უცხოელთაგან, რომელნიც ბევრით დაბლას დგან-
 ნან ბრძოლად თავიანთის ცოდნით ვაკვასიანად საზოგადოდ
 და საქართველოზედ კერძოდ! და აი ამიტომ, ვიმეორებთ,
 დროს საქართველოში იხილეს საქართველო ისტორიული წიგნი
 ჩვენთა წინა-პატივს წაჩსულთა საფუძვლიანად შესასწავლად და
 გამოსარკველად.



შანაშვილი.

ყურნალი «ნობათი»-ს გამოცემა 1885 წელში.

(წელიწადი მეორე)

საყოველთაო ყრმათა სჯკითხავი სურათებიანი ყურნალი

„ნობათი“

პედაგოგიურის ნაწილის დამატებით — მშობელთა და აღმზრდელთათვის — მომავალს 1885 წელში გამოვა იმავე პრეგრამით, მიმართულებითა და სივრცით, როგორც 1884 წ.

ყურნალზე ხელის-მოწერა. წლიური ფასი ყურნალი «ნობათი»-სა — ქაჯაქში დარბებით და გარეშე გაგზავნით, დაჩხა იგივე, ე. ი. ოთხი მან. მარტო ნახევარი წლის ხელის-მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი ღირს ათი შაური.

საფულის მასწავლებელთ შეუძლიანთ გამოგზავნენ: თავდა-პირველად ორი მან. და დანარჩენი ორი მანათიც — მანში; რომელთაც ამ რიგად ხელის-მოწერა ჰსურთ, პირ-და-პირ რუდაქციას უნდა მიმართონ.

ხელის-მოწერა მიიღება: თბილისში — ყურნალ «ნობათი»-ს რედაქციაში, ალექსანდრევის ბაღთან, ხაზინის გვერდით, თუძანიშვილების სახლში № 7. და შავრდლის წიგნის სააგენტოში. ქუთაისში — ძმ. ჭიჭიძეების წიგნის მაღაზიაში. გორში — ეკ. ფურცელაძესთან და თელავში — ივ. ჩოხტაძის შვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію грузинскаго педагогическаго журнала «Н о б а т и».

რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. დულაძე.

„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(годъ пятый)

Журналъ, какъ и прежде, будетъ выходить въ 1885 г. по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ

листовъ, по прежней программѣ,

при содѣйствіи многихъ прежнихъ и нѣкоторыхъ новыхъ сотрудниковъ, въ томъ числѣ: К. Д. Анциферова, А. Я. Ашеберга, С. М. Арцруни, Ф. К. Бакало, Д. З. Бакрадзе, О. А. Быкова, Г. О. Івиніева, А. А. Гребенщикова, Я. И. Гурлянда, К. В. Долгова, И. Я. Долголенко, Г. А. Жаншѣева, Д. И. Кипіани, Д. В. Квиркелія, П. М. Лебединскаго, А. Е. Носа, П. А. Опочинина, Я. И. Рашета, М. А. Селитренникова, Н. П. Смиттена, В. Д. Спасовича, А. Т. Тимановскаго, Я. Г. Теръ-Іоаннисяна, В. А. Хлѣбникова, Н. И. Чижевскаго и др.

Независимо статей общаго юридическаго характера по вопросамъ гражданскаго и уголовнаго права и судопроизводства, межевымъ, нотаріальнымъ, судебнo-военнымъ и пр., а также о внутренней жизни Кавказскихъ судовъ и о вопросахъ дня,—въ 1885 г. будутъ помѣщены: грузинскіе законы царя Вахтанга, съ необходимыми предисловіемъ и примѣчаніями, и продолжены изслѣдованія законовъ: армянскихъ—по Мхитару Гошу, еврейскихъ—по Маймониду, мусульманскихъ, собственно Кавказскихъ народностей; ихъ адаты и пр.—Кромѣ того, Ст. І. Гулишамбаровъ, Н. А. Шавровъ и др. обѣщали статьи по вопросамъ Финансовымъ и экономическимъ; П. И. Коваленскій, З. А. Блюмъ, Г. И. Еджубовъ, А. А. Павловскій и др.—по судебнo-медицинскимъ.

Пріемъ подписки, объявленій и розничная продажа: Тифлисъ, Сололакская ул., д. кн. меликова и въ Центральной Книжной торговлѣ.

Подписная цѣна на журналъ съ доставкою и пересылкою: на годъ—10 р., на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 20 к., на мѣс.—1 р. 25 к.

Расзрочка въ платежѣ денегъ допускается—для годовыхъ и полугодовыхъ подписчиковъ.

Желающіе пріобрѣсти журналъ за прежніе годы уплачиваютъ; за 1881 г.—8 р. 20 к. и за всѣ послѣдующіе по 10 руб.

Иногородные подписчики «Юрид. Обозр.» имѣютъ право на полученіе, чрезъ редакцію, свѣдѣній о положеніи ихъ дѣлъ въ Тиф. судеб. учрежд.—въ текстѣ журнала безвозмездно, письменныя и телеграфныя—по соглашенію съ редакціею журнала.

Редакторъ-издатель А. С. ФРЕНКЕЛЬ.

IX ბიბლიოგრაფია «Извѣстія Кавк. Общ. Истор.
и Археол.», ტ. I, მეორე გამოცემა. 1884 წ. . . . 138

X ბანცხადებანი

რედაქციისაგან.

ამ ნომრისთვის აწუბილი ტრაგედია კორნელისა «სინა»,
თარგ. ალ. ჭავჭავაძისაგან, აღარ დაიბეჭდა.

განცხადება.

ამა 1885 წელს ჟურნალს «ივერიაზედ» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მახათი.

ხელის-მოწერა მიიღება, როგორც «ივერიისა» აგრეთვე «დროების» რედაქციებში. პირველი იმყოფება მიხეილავის ქუჩაზედ, გ. ქართველიშვილის სახლებში, (მისაკალი ეზოდაძე), ხოლო მეორე სასახლის ქუჩაზედ, სახლი დ. სარაჯიშვილისა.

მთაწარისში, ჭილაძის მაღაზიაში.

ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ნათაძესთან.

თელავში განო როსტომიშვილთან.

ქალაქს გარეშე ხელის-მოწერით წერილი ზე ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисѣ

Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ» иль «ДРОЭБА»

მსურველთა შეუძლიან ერთის წერილით დაიბარონ გაზეთი «დროება» და ჟურნალი «ივერია» ადრესით.

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, კთხოვით, მაღე აცნობონ რედაქციას.